ჯვარი ვაზისა

1

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1979

ჯვარი ვაზისა – შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს
ოქით (IV ს.)

ძველი აღთქმა



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის

ილია მეორის

ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით

მშვიდობა ყოველთა!

ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმიდესი და უნეტარესის,
ილია მეორის

ქრისტეს შობის ეპისტოლე

ღვთივრჩეულ ყოვლადსამღვდლო მღვდელთმთავართა,
პატიოსან მღვდელთა, ღირსთა ბერ-მონოზონთა და
ყოველთა კურთხეულ შვილთა
საქართველოს ავტოკეფალური წმიდა სამოციქულო
მართლმადიდებელი ეკლესიისა
მამულის მკვიდრთა და მცხოვრებთა ჩვენი სამშობლოს
საზღვრებს გარეთ

„პირველითგან იყო სიტყვა... მისთანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა, და ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ი. 1: 1, 4–5).

ქრისტეს მიერ საყვარელნო და ძვირფასნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელთმთავარნო, მოძღვარნო, ანგელოზებრივი სახით შემოსილნო ღირსნო ბერ-მონოზონნო, ძმანო და დანო — ძენო და ასულნო წმიდისა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისანო, მკვიდრნო საქართველოისა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

სასიხარულო და საცხოვნებელ დღეს, როდესაც ჩვენ ვახსენებთ ქვეყნად მოსვლას ღვთისა მამისაგან უწინარეს საუკუნეთა შობილ მაცხოვარს, რომელსაც მოციქული იოანე ღვთისმეტყველი უწოდებს სიტყვას, გულითადად მოგილოცავთ ამ მშვიდობისა და სიყვარულის ზეიმს, ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ვხმობ: გიხაროდეთ, რადგან ჩვენთანა არს ღმერთი!

ჩვენ ვადიდებთ იესო ქრისტეს შობას, მხოლოდშობილს, წმიდას, თანაარსსა მამისა და სულისა წმიდისა და ამასთან ერთად მტვირთველსა ადამიანის ბუნებისა, მწყალობელსა მეზვერეთა და ცოდვილთა, აღმღებელსა თავის თავზე კაცობრიობის უბედურებათა, ცრემლთა, ტკივილთა და განსაცდელთა, რამეთუ ყოველივე ეს მან იტვირთა ჩვენთვის, რომ აღესრულებინა ჩვენი გამოხსნის დიდი საიდუმლო. იესო ქრისტე — ღმერთი ღმერთთაგანია, ნათელი — ნათლისაგან, რომელიც დღეს, ხვალ და მარად ღვთაებრივ დაუსრულებელ ცხოვრების პროცესში იშვება წიაღთა ღვთისა მამისაგან.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“[1].

იგი არა ჰგავს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის ჩვეულებრივია, ის თითქოს მარტოა და უცხოა ჩვენთვის, მაგრამ ამავე დროს უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასია. საწყლებთან მას სურს იყოს ღარიბი, მდიდართ იგი მოუწოდებს მოწყალებისაკენ, დევნილებთან იგი დევნილია, განსაცდელში მყოფთან განსაცდელის მტვირთველია, მომაკვდავთან — იგი ჯვარცმულია. მან იტვირთა თავის მხრებზე ადამიანი მთელი მისი სისუსტით, რადგან მხოლოდ ის ერთია შეუძლებლის შემძლებელი, და სწორედ ამაშია მისი დიდი მისია როგორც მხსნელისა. მაცხოვარს უყვარს ღარიბნი არა მათი სიღარიბისა გამო, არამედ იმიტომ რომ ისინი მდიდარზე მეტად ცდილობენ გაიგონ და შეიგრძნონ სულიერი საუნჯენი. პირიქით, სიმდიდრე ატყვევებს ადამიანის გულს იმდენად, რომ მას უკვე ავიწყდება ყოველივე და იკეტება საკუთარ ეგოიზმში, იგი უკვე აღარ ისწრაფვის სულიერებისაკენ, არამედ იფარგლება და ისაზღვრება მხოლოდ უხეში მატერიით. ასეთებზე მაცხოვარი ბრძანებს: „შვილებო, რარიგ ძნელია სიმდიდრეზე დაყრდნობილთათვის ღვთის სასუფეველში შესვლა! უადვილესია ნემსის ყუნწში აქლემის გასვლა, ვიდ-

[1] პირველშეწირულის საღმრთო წირვიდან.

რე მდიდრის შესვლა ღვთის სასუფეველში“ (**მარკოზი** X, 24—25). დროა ადამიანმა აახილოს თავისი სულიერი თვალი და განსაზღვროს: რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი; დროა ადამიანმა გადასინჯოს სულიერი და მატერიალური ფასეულობანი.

როდესაც მორწმუნე ადამიანი რეალურად შეხედავს ცხოვრებას, თავის გარემომცველ სამყაროს, მიდის დასკვნამდე, რომ მიწიერი ჩვენი ცხოვრება — ეს არის მხოლოდ ნაწილი რაღაც დიდისა, განუსაზღვრელისა, ეს არის მხოლოდ მომზადება მარადიული და უკვდავი ცხოვრებისათვის. მაგალითად, თუ ანტიკური ადამიანისათვის სასწაულნი და გამოცხადებანი იყო ჩვეულებრივი საღმრთო მოვლენა, თანამედროვე ადამიანში ის ხშირად იწვევს უნდობლობას, ან უკეთეს შემთხვევაში — გულისტკივილს, რადგან მას არ შესწევს უნარი მისი ახსნისა და შემეცნებისა.

ქრისტეს შობის დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ შევიცნობთ, რომ იესო ქრისტე ისტორიაში არის განსაკუთრებული რეალობა, დროების შემობრუნების ნიშანსვეტი, ახალი ადამიანის საწყისი. შეხედულებანი მის პიროვნებაზე განსხვავდებოდნენ და ამჟამადაც განუწყვეტლივ სცილდებიან ერთმანეთს. მისთვის და მისდამი რწმენის გამო იღვრებოდა სისხლი და ცრემლი, იმიტომ, რომ „ეს არის მოწმობა, რამეთუ საუკუნო სიცოცხლე მოგვცა ჩვენ ღმერთმა, და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (I-იო. V, 11). ამ რწმენით, ამ სულიერი სათნოებით ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი კეთილმორწმუნე ერი. ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც ჯვარედინდება აღმოსავლური და დასავლური აზროვნება, ამიტომ ჩვენთვის როგორღაც უფრო გასაგებია იესო ქრისტეს პიროვნების აღწერის ელინისტური ხასიათი, მოცემული სიყვარულის მოციქულის იოანე ღვთისმეტყველის მიერ, რომელიც აზროვნებდა არამეულად და წერდა ბერძნულად.

ახალშობილმა ყრმამ დაჩრდილა საქართველოში მანამდე არსებული წარმართული რელიგიები და სულიერად გარდაქმნა ადამიანი. ამჟამად საქართველოს მიწა წმინდაა, მის წიაღში განისვენებს მაცხოვრის კვართი, ივერია არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი, აქ ქადაგებდნენ მოციქულნი ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, აქ შეასრულა თავისი სამოციქულო მისია მოციქულთა სწორმა და ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ, აქ ბევრი წამებული დაგვირგვინდა, ივერია ბრწყინავს მღვდელთმთავართა და ღირსთა მამათა ღვაწლით, ამ მიწაზე გვესმის ჩვენ საიდუმლო სიტყვები, რომლებიც ოდესღაც მოისმინა ღვთისმხილველმა და დიდმა წინასწარმეტყველმა მოსემ: „გაიხადე ფეხსაცმელი ფერხთაგან შენთა, რადგანაც მიწა, რომელზედაც დგახარ, ადგილი წმიდა არს“ (გამ. III, 5).

დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია საგალობელი, რომელიც ანგელოზებმა იგალობეს ბეთლემსა ზედა ქრისტეს შობის ღამეს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა II, 14). მშვიდობა, რომელიც აუწყეს ანგელოზებმა, წარმოადგენს კაცობრიობისათვის არსებით აუცილებლობას, როგორც წყარო, რომელიც აღვიძებს წყურვილს ხალხთა შორის მადლიანი მშვიდობისათვის, როგორც სიყვარულის მოვლენა, რომელიც საფუძველია მეგობრობის, მშვიდობიანი ურთიერთობისა და ხალხთა ცხოვრების აყვავებისა. ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა — მოუტანოს ხალხს სიხარული. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გარეგანი მშვიდობა — სიწყნარე, სიმშვიდე, ცხოვრება სისხლის ღვრისა და ომების გარეშე — წარმოადგენს შინაგანი სულიერი სამყაროს შედეგს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, რომლის შესახებაც გვაუწყა წინასწარმეტყველმა ისაიამ: „და დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად, და ლახვრებსა მათსა მანგლად: და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი, და არღა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა“ (ისაია II, 4).

სიყვარულის განსაკუთრებული გრძნობით მე მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, რომელნიც ცხოვრობთ ჩვენი მამულის საზღვრებს გარეთ; თქვენ არ ხართ დავიწყებულნი, ჩვენ გვახსოვხართ და ყოველთვის ვლოცულობთ თქვენთვის. არ დაივიწყოთ თქვენი სამშობლო — მზიური საქართველო, მის კურთხეულ მიწაში განისვენებენ თქვენი დიდებულნი წინაპარნი, გახსოვდეთ და შეისწავლეთ მშობლიური ქართული ენა, წაიკითხეთ და შეითვისეთ ჩვენი მდიდარი საეკლესიო და კლასიკური ლიტერატურა, რომელიც სულიერად გაგვამდიდრებს და გაგვაერთიანებს.

ჩვენი საერთო მიზანია — ვიყოთ ერთად.

ქრისტეს მოყვარენო ძმანო და დანო, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ თქვენ ყველას ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს და გისურვებთ, რომ ღ ვ თ ი ს ს ი ტ ყ ვ ა — მ ა ც ხ ო ვ ა რ ი იშვას თქვენს გულშიც, რომ ის თქვენთან იყოს განუშორებელად და მარად გესმოდეთ მისი სანატრელი ხმა: „არა დაგიტეო შენ, ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ, ნუ შესცდები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ, და მოგეკრძალე შენ მარჯვენითა მართლითა ჩემითა“ (ისაია — XLI, 10).

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა. **ამინ.**

ი ლ ი ა მ ე ო რ ე, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

1978-79 წ.
ქ. თბილისი



ბულგარეთის პატრიარქთან

კონსტანტინეპოლისაკენ

საუბარი ჟურნალისტთან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი!

1979 წლის 1—13 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში მიმდინარე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს) სხდომაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ამ საბჭოს, როგორც ეკუმენური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის, საღვთისმეტყველო ბაზისი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის ეკლესიათა თანამეგობრობა, რომელიც აღიარებს ჩვენს უფალს იესო ქრისტეს ღმერთად და მხსნელად“.

ემს-ი წარმატებით წყვეტს ეკლესიათა ცხოვრების საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ, მორალურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებს. მისი მთავარი და საბოლოო მიზანია არა მარტო ეკლესიათა გაერთიანება, არამედ, (დღესდღეობით) ისეთი აქტუალური პრობლემისადმი სიყვარულითა და ჭეშმარიტებით მსახურება, როგორიცაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება. ემს-ში გაერთიანებულია თითქმის ასი ქვეყნის სამასამდე რელიგიური ცენტრი. საბჭოთა კავშირიდან მასში შედის: საქართველო, რუსეთი, სომხეთი, ესტონეთისა და ლატვიის ეკლესიები და ბაპტისტთა გაერთიანება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემს-ის წევრია 1962 წლიდან.

ილია მეორე ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად ყოფნის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ემს-ის დეპარტამენტის — „ეკლესია და ცხოვრების“ — მუშაობაში, როგორც მისი წევრი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევა უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ქართული ეკლესიის არსებობის მთელ მანძილზე ასეთი აღიარება არა რგებია არცერთ მწყემსთმთავარს.

საქართველოს უძველესი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მისი ღვთისმოსავი მრევლი ულოცავს თავის ღირსეულ წინამძღვარს უფლის ამ დიდ მადლს და უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი მორწმუნე ერისა და ქართული ეკლესიის სასახელოდ, ჩვენდა სასიხარულოდ.

საპატრიარქოს მემატიანე მ. თარხნიშვილი

უფლისმიერი სიყვარულით!

* * *

მცხეთისა და თბილისის უნეტარესო მთავარეპისკოპოსო და კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოსი!

ქრისტეს მიერ ყოვლადსაყვარელო, გამორჩეულო ძმაო და თანამწირველო ჩვენო, მეუფეო ი ლ ი ა!

ძმურად, უფლისმიერი სიყვარულით ვეხვევით თქვენს ღირსეულ უწმიდესობას და ზესრული სიხარულით მოგმართავთ: მსოფლიო საპატრიარქომ განიხილა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომისიის დასკვნითი სხდომის შედეგები იამაიკაზე და დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით აღვივსენით თქვენი ყოვლადღირსეული უნეტარესობის ამ საბჭოს ერთ-ერთ თავმჯდომარედ (პრეზიდენტად) არჩევის გამო.

გულითადად გილოცავთ, თქვენო უნეტარესობავ, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, ყველა თქვენი წმიდა ჩანაფიქრის განხორციელებას.

ძმური სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით,
თქვენი ღირსეული უნეტარესობის ქრისტესმიერი საყვარელი ძმა,

მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი

* * *

გულითადად გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტობას. გისურვებთ ღვთის უხვ მოწყალებას თქვენს წმიდა საქმეთა განხორციელებაში.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით
მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი
პიმენი

* * *

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო!

დიდი სიხარულით შევიტყვე, რომ თქვენ არჩეული ბრძანდებით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად.

ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ სომხეთის ეკლესიისა და პირადად ჩემი მოლოცვა. მიიღეთ კეთილი სურვილები. გისურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეს საპატიო საქმე დაეკისრა თქვენს უწმიდესობას — ჩვენი მოძმე ქართული ეკლესიის მამათმთავარს, ქართველი ერის ღირსეულ შვილს, ჩვენს მეზობელსა და მეგობარს. გვწამს, რომ თქვენ არ დაზოგავთ ძალასა და ენერგიას ეკლესიათა შორის ეკუმენური კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის და ხელს შეუწყობთ კეთილი ნების ადამიანთა წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის საქმეს, — პრობლემებისა, რომლებიც დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს აღელვებს.

წარმატებას გისურვებთ ამ ახალ სარბიელზე, სადიდებლად ქრისტეს მცნებისა და ეკლესიისა.

უფლისმიერი ძმური სიყვარულით,
ვაზგენ პირველი
ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი

* * *

გულითადად ვულოცავ თქვენს უწმიდესობას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევას!

უღრმესი მოვალეობის შეგნებით სავსე თქვენმა მოღვაწეობამ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქისა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მასშტაბით გაწეულმა წვლილმა — დიდი შეფასება და აღიარება დაიმსახურა.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებითს ენერგიას; ასევე, დიდ წარმატებებს იმ მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმეთა შესრულებაში, რომლებსაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ახორციელებს მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის დაცვის გზაზე.

გერალ გიოტინგი
გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული საბჭოს თავმჯდომარე

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევის გამო მიმდინარე წლის იანვრის თვეში ინფორმაცია გამოაქვეყნეს გაზეთებმა: „იზვესტიამ, „კომუნისტმა“, „ზარია ვოსტოკამ“, „თბილისმა“, „სამშობლომ“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტის, უწმიდესი და უნეტარესი ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს

საღდგომო ეპისტოლე

„მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისაი“ (მათე. 28:20).

ძვირფასნო და ქრისტე იესოს მიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელო მღვდელთმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ამა სოფლის ამაოებათა დამტევებელნო პატიოსანნო ბერ-მონოზონნო, ხორციელნო და სულიერნო ძმანო და დანო, შვილნო საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიისანო, მკვიდრნო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ივერიისა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ!

ჩვენ ვქადაგებთ და აღვიარებთ ქრისტეს, ჯვარცმულსა და აღდგომილს, რომელიც დღეს განსაკუთრებული ძალით მოგვმართავს თითოეულ ჩვენთაგანს: „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილადმდე და მოგცე შენ გვირგვინი იგი ცხოვრებისაი“ (გამ. 2,10). მაინც რომელ რწმენაზე, რის ერთგულებაზეა აქ ლაპარაკი? უპირველეს ყოვლისა — ღვთიური საწყისის, ქვეყნიერებისა და სამყაროს მმართველი და მფარველი უმაღლესი გონების რწმენაზე, ქრისტიანის სახელის ერთგულებაზე, მშობელი ხალხის და მამულის ერთგულებაზე, იმ ჰუმანური პრინციპების ერთგულებაზე, რომელთაც წმიდა ეკლესია ქადაგებს.

ყველას, ვინც ამ მაღალი იდეალების ერთგულნი ხართ და რომელნიც მიილტვით მათკენ, გულითადად გილოცავთ აღდგომას დაუსაბამო ლოგოსისას, რომელიც მორწმუნეთ „ცხოვრების გვირგვინით“ ამკობს:

ქრისტე აღსდგა! ამ სიტყვებშია ჭეშმარიტების გამარჯვება! ამ სიტყვებშია საიდუმლო ზეშთაგონება და სასიხარულო მოწოდება, სიყვარულის მისალმება და მშვიდობის წადილი!

ქრისტე აღსდგა! ეს ორი სიტყვა მოიცავს ორთავე სიცოცხლეს, აერთებს ორივე სოფელს, აკავშირებს მიწას ზეცასთან, ქმნილებას — შემოქმედთან, ადამიანს — ღმერთთან!

ქრისტე აღსდგა! ამ სასიხარულო და მადლიან სიტყვებს იმეორებდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები; ეს სიტყვები გადაეცემოდა ბაგიდან ბაგეს, თაობიდან — თაობას და ავსებდა ადამიანებს იმ სიხარულით, რომელიც მარადიული სიყვარულის წიაღიდან მომდინარეობს!

პასექი ქრისტესი — ეს ის დღეა, როდესაც მორწმუნე ადამიანის უკვდავ სულს თვალთახედვა მიენიჭება და მის წინაშე წარმოჩინდება მანამდე უხილავი, მაგრამ მუდმივად შენაგრძნობი დაუსაბამო საწყისი. ესაა შეხვედრა ორი სამყაროსი — გარეგანისა და შინაგანისა. ამ სულიერი გაცისკროვნების დროს ადამიანის წინაშე თითქოსდა უსასრულობა გადაიშლება და მატერიალური სამყაროს მიღმა ის იწყებს სხვაგვარი სამყაროს ხილვას. ამ დღეს ადამიანი სრულიად შეერწყმის მისთვის უჩვეულო სულიერ სამყაროს და შეიგრძნობს სრულ ჰარმონიას ღმერთთან!

ღვთაებრივი ენერგიით მადლმოსილთ შესწევთ უნარი, გარდა მატერიალურისა, სხვა სამყაროც დაინახონ. ისინი ცხადად ხედავენ სიკვდილზე ქრისტეს გამარჯვების კანონზომიერებას. აღდგომილი ქრისტე არის განმათავისუფლებელი; მან იმისათვის დასდო თავი სასიკვდილოდ, იმისათვის დაჰყვა უხეში მატერიის ძალას, რომ ეს მრისხანე გამანადგურებელი სტიქია თავისი ღვთიური ძალით დაემარცხებინა! დიახ, ჩვენ გვწამს და აღვიარებთ ქრისტეს აღდგომილს! ანდა როგორ შეიძლება არ გვჯეროდეს ქრისტეს აღდგომა, როდესაც ვხედავთ, რომ ყველა მოციქული ქრისტეს აღდგომის ქადაგებისათვის იტანს წამებას და სიკვდილს და სასიკვდილო წამების დროსაც კი ისინი არ სწყვეტენ აღდგომილი ქრისტეს ქადაგებას! აღდგომილი მაცხოვრისადმი რწმენისა და სიყვარულისთვის, სამშობლოსადმი სიყვარულისთვის დაათხიეს სისხლი ჩვენმა სახელოვანმა წამებულებმა: წმიდა დიდმოწამე გიორგიმ, არგვეთელმა თავადებმა — დავითმა და კონსტანტინემ, ქართველმა მეფეებმა — არჩილმა, ლუარსაბმა, დიმიტრი თავდადებულმა, ქეთევან დედოფალმა და მრავალთა სხვათა.

მთავარი, რაც ქრისტიანობამ ჩვენს ხალხს მოუტანა, არის ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, ახალი ქრისტესმიერი ცხოვრება. იესო ქრისტემ თავისი პიროვნებით ჩვენ დაგვანახა ღმერთი, ღმერთი, რომელიც ადამიანისთვის მახლობელი და ძვირფასი შეიქმნა და ამით მან ჩვენი ცხოვრება აზრით, სიხარულითა და სილამაზით აავსო!

აღდგომილმა მაცხოვარმა განმაკურნებელი ბალზამით მოუშუშა რა ანტიკურ სამყაროს ზნეობრივი ჭრილობები, იმედი მოუტანა გამოფიტულთ და სასოწარკვეთილთ. ქრისტეს აღდგომის ღვთაებრივი საიდუმლოს აღქმას ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ შინაგანი, სულიერი გამოცდილების მეშვეობით, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რწმენასაც და ცოდნასაც. ცოდნა და რწმენა განუყრელადაა დაკავშირებული და ავსებს ურთიერთს. როგორც ამბობს ეკლესიის ცნობილი მასწავლებელი და ფილოსოფოსი კლიმენტი ალექსანდრიელი (†215 წ.), „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე“[1]. ყოველი მეცნიერება, — ამბობს ის, — დაფუძნებულია პირველსაწყისებზე, რომელნიც წარმოადგენენ თვალნათლივ ცხად ჭეშმარიტებებს — აქსიომებს. მათი დამტკიცება შეუძლებელია და ისინი მიიღებიან მხოლოდ რწმენით. უკეთუ ხილულ საგნებზე მეცნიერებას და ცოდნას საფუძვლად უდევს რწმენაზე დამყარებული დებულებები, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს უშუალო კავშირი აქვს უხილავთან და ღვთაებრივთან. რადგანაც მხოლოდ წმიდათა გულით შეუძლიათ იხილონ ღმერთი (მათე 5,8), და ზნეობრივი სრულყოფა კი არის თავისუფალი ნებისყოფის შედეგი, ამდენად, რელიგიური რწმენაც თავისუფლების შედეგად ჩაითვლება. მეორე მხრივ, თუ ცოდნა დაფუძნებულია რწმენაზე, რწმენაც, თავის მხრივ, მტკიცდება ცოდნით, რომლის გარეშე ის შეიძლება მყარი არ აღმოჩნდეს. კლიმენტი ალექსანდრიელი დაასკვნის: „უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული — მეგობრად ღვთისად“[2].

მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ კავშირი მასთან, ვინც წარმოადგენს რწმენისა და ცოდნის წყაროს. როგორც წერს III საუკუნის მეცნიერი ორიგენი, — „ღმერთი არის უმაღლესი გონება და, ამავე დროს, საწყისი ყოველივე გონიერი ბუნებისა და აზრისა“.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რელიგიური გრძნობა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც გაუნათლებელი ადამიანებისათვის, ასევე თანამედროვე ცოდნის მწვერვალებზე მდგომი დიდი მეცნიერებისათვის. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ რელიგიური გრძნობა არის ადამიანის უკვდავი სულის ნიჭის ნაყოფი. ცნობილმა ასტრონომმა კამილ ფლამარიონმა პარაფსიქოლოგიური მოვლენების გამოკვლევის შედეგად ჩამოაყალიბა ოთხი მნიშვნელოვანი თეზისი:

1) სული არსებობს სხეულისგან დამოუკიდებლად;

2) მას ახასიათებს მეცნიერების მიერ ჯერაც შეუცნობელი თვისებები;

3) მას აქვს მანძილზე მოქმედებისა და აღქმის უნარი;

4) მომავალი მზადდება წარსულით და სულს აქვს წინასწარგანჭვრეტის უნარი (კ. ფლამარიონი. „უცნობი ფსიქიკური მოვლენები“. სპბ. 1852 წ.).

ამგვარად, წარმოიშვა ცოდნის ისეთი ახალი სფერო, როგორიცაა პარაფსიქოლოგია, რომელიც მეცნიერებას უხილავ რეალობას უკავშირებს და მატერიალური სამყაროს მიღმა ხედვის შესაძლებლობას გვაძლევს. ვაცნობიერებთ რა ყოველივე ამას, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობა იყო და რჩება ჩვენთვის მძლავრ, თვითმყოფად მამოძრავებელ ფაქტორად. „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“ (პირველშეწირულის წირვა).

რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე?! ჩვენ ვიცავდით ქრისტიანობას და ქრისტიანობამ გადაგვარჩინა ჩვენ! როგორც ამბობს ტერტულიანე, სული ჩვენი ბუნებით ქრისტიანია აქედან გამომდინარე დადებითი შედეგებით. დღეს ჩვენი მოზეიმე სულები ერთხმად უგალობენ და შესთხოვენ მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს: მოგვმადლე ჩვენ, ზეციერო მოძღვარო, ჩვენი დიდი წინაპრების რწმენის ძალა, სასოების შეურყევლობა და მხურვალება მათი სიყუარულისა!

მოგვმადლე ნიჭი, რომ ამქვეყნიურ ხმაურში გავიგონოთ მარადიულობის სიჩუმე და სიმშვიდე, რომ სამარადისოდ შეგერწყათ და ვიხაროთ შენთან!

როდესაც წუთისოფლის ბნელ გზაზე დაღლილნი და გზააბნეულნი შევჩერდებით და აღარ გვეცოდინება საით წავიდეთ, მოგვმადლე ცხოვრებისეულ ქარიშხალში შენი ნათელი სახის ხილვა და შენი მშვიდი გამამხნევებელი ხმის გაგონება:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისაი“!

დიახ, ჩვენთან, ჩვენს ხალხთანაა მაცხოვარი სამარადისოდ! გიხაროდეთ, რამეთუ

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

ი ლ ი ა მ ე ო რ ე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 1979 წ.

---

[1] კლიმენტი ალექსანდრიელი. „სტრომატი“. წ. V, თ. I.

[2] იქვე, წ. 1, თ. 6.

ერთსულ და ერთზრახვა

კარდინალი ი. ვილებრანდსი თბილისში

მიმდინარე წლის 9—14 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი **ილია მეორის** მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ვატიკანის კარდინალი **იოანე ვილებრანდსი** — პრიმასი ჰოლანდიისა და მთავარეპისკოპოსი უტრეხტისა, ვატიკანის ქრისტიანული ურთიერთობის დეპარტამენტის პრეზიდენტი. სტუმარს თან ახლდნენ: ვატიკანის სამდივნოს წევრი, მღვდელი **იოანე ლონგი** და მონსინიორი **ვირვოლი**.

10 მარტს საპატიო სტუმრები მიიღო **ილია მეორემ**. კათოლიკოს-პატრიარქმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში მათი ჩამობრძანების გამო. ესაუბრა საქართველოს ეკლესიის წარსულსა და აწმყოზე... სიამოვნებით აღნიშნა, რომ თანდათან აღდგენას იწყებს ვატიკანსა და ქართულ ეკლესიას შორის არსებული საუკუნოვანი ურთიერთობები, რომელნიც ბოლო საუკუნეებში მთლიანად შეწყვეტილი იყო. იგივე ფაქტი კმაყოფილებით აღნიშნა კარდინალმა ვილებრანდსმა. ჩვენი მიზანია, ისევ აღვადგინოთ და გავაძლიეროთ რომისა და საქართველოს ეკლესიების ქრისტიანული ურთიერთობაო, — ბრძანა მან.

ვილებრანდსმა **ილია მეორეს** გადასცა რომის პაპის **იოანე-პავლე მეორის** საჩუქარი: ოქროს ჯვარი, რომლის შუაგულში დევს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრის წმიდა ნაწილები, აგრეთვე დასურათებული „აპოკალიპსისი“, წმიდა სახარება და ახალი კათოლიკური კალენდარი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის წმიდა ტაძრები, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

სიტყვები, წარმოთქმული სიონის საპატრიარქო ტაძარში 11 მარტს

კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის სიტყვა

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, კარდინალო ბატონო იოანე! რომის უძველესი და სახელოვანი ეკლესიის მაღალო წარმომადგენლებო! ყოვლადსამღვდელონო საქართველოს ეკლესიისანო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულო სამწყსოვ!

ჩვენი გული აღვსილია სიხარულითა და მადლიერებით ღვთისადმი. დღეს ერთად აღვავლენდით ლოცვას ორი უძველესი ეკლესიის წარმომადგენელნი: რომის კათოლიკური და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მკვიდრნი.

ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს. ჩვენ გვაერთიანებს ერთი უფალი ჩვენი — იესო ქრისტე, ერთი რწმენა, ერთი სიყვარული. ამ რწმენაზე და სიყვარულზე იყო დაფუძნებული ჩვენი ურთიერთობა წარსულში, ამასვე დავეყრდნობით მომავალში.

დღეს ხარობს და გვლოცავს წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული — დამაარსებელი საქართველოს ეკლესიისა; დღეს ლოცვებს აღავლენს ჩვენთვის წმიდა მოციქული პეტრე — ფუძემდებელი რომის ეკლესიისა. ისინი ხომ ძმები იყვნენ. როგორც ბრძანებს წმიდა მოციქული პავლე ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში, ჩვენს ეკლესიათა შორის: „...ერთ არს ღმერთი და მამაი ყოველთაი“... (ეფეს. 4:5—6).

ჩვენში ურთიერთობა ახლა არ იწყება, მას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ბედნიერი იყო ის დრო, როცა ეკლესიები ერთითა პირითა და ერთითა გულითა ადიდებდნენ სახელსა უფლისასა, ერთი ბარძიმით ეზიარებოდნენ წმიდასა და ცხოველმყოფელსა ხორცსა და სისხლსა მაცხოვრისასა. შემდეგ ეს ერთიანობა დაირღვა. ბოროტმა დასთესა ღვარძლი. კაცმა ეკლესიაში შეიტანა ადამიანური ელემენტი. მიუხედავად ამისა, ჩვენში დარჩა ძალა ურთიერთმიზიდულობისა, ძალა, რომელიც უფლისაგან გამოვალს და რომელმაც დღეს შეგვაერთა ამ ჭაღარა წმ. სიონის თაღებს ქვეშ. დღეს ჩვენ გვაერთიანებს იმედი, რომ ნამდვილად დადგება დრო ნეტარი და რეალური ერთიანობისა. ეს ურთიერთსულიერი მიზდულობა კავშირდება ურთიერთსიყვარულით. ეს არის ის მისტიკური ერთიანობა, რომელიც მომავალი ეკლესიური ურთიერთობის საწინდარია.

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველდა უკანასკნელ პერიოდში. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიგიძღვით თქვენ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდლოესობავ, ბატონო კარდინალო. თქვენ ეწვიეთ საქართველოს ეკლესიას ჯერ კიდევ უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ ე ფ რ ე მ მ ე ო რ ი ს დროს და აღადგინეთ ძველი ტრადიცია. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამას და ვლოცავთ თქვენს შრომას.

სულ ბოლო დროს უწმიდესი პაპის წარმომადგენელმა მონსინიორ ვ ი რ ვ ო ლ მ ა მონაწილეობა მიიღო ჩვენი ეკლესიის დიდი მამის, უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ დ ა ვ ი თ მ ე ხ უ თ ი ს გლოვის დღეებში.

ჩვენი წარმომადგენელი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი ესწრებოდა პაპის ი ო ა ნ ე - პ ა ვ ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი ს დაკრძალვას და უწმიდესი პაპის ი ო ა ნ ე - პ ა ვ ლ ე მ ე ო რ ი ს ტახტზე აღსვლას. იხსნება დიდი ასპარეზი თანამშრომლობისა. დიდი იმედით ვუყურებთ უწმიდესი პაპის ი ო ა ნ ე - პ ა ვ ლ ე მ ე ო რ ი ს მომავალ მოღვაწეობას და ვიმედოვნებთ, რომ ის ისევე ემსახურება კაცობრიობის პროგრესულ და ჰუმანურ პრინციპებს, როგორც მისი დიდი წინამორბედნი.

ღმერთმა დალოცოს რომის კათოლიკური ეკლესია და მისი მამათმთავარი, უწმიდესი პაპი ი ო ა ნ ე - პ ა ვ ლ ე მ ე ო რ ე. ღმერთმა ჩვენი ერების საკეთილდღეოდ განაძლიეროს და აკურთხოს ჩვენი ურთიერთკავშირი და ნაყოფიერი თანამშრომლობა.



იოანე პილებრანდსის სიტყვა

თქვენო უწმიდესობავ!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამ უძველეს, მთავარ სალოცავში.

მეორეჯერ მქონდა პატივი და ბედნიერება, ვწვეოდი თქვენს მშვენიერ ქვეყანას, დავმტკბარიყავი კათოლიკოს-პატრიარქ ე ფ რ ე მ მ ე ო რ ი ს სტუმართმოყვარეობით, გამეგო ბევრი რამ ქართველი ხალხის შესახებ. მოხარული ვარ, რომ კვლავ მომიხდა თქვენს რელიგიურ ცენტრში ჩამოსვლა. ღმერთმა დალოცოს, თქვენო უწმიდესობავ, ჩვენს ეკლესიებს შორის განახლებული ურთიერთობა და მეგობრობა. ამ რამდენიმე თვის წინ, ჩვენი მწუხარებისა თუ ზეიმის დღეებში, საქართველოს უწმიდესმა სინოდმა და მორწმუნე ქართველმა ხალხმა გამოხატა თანაგრძნობა და თანადგომა როგორც ლოცვებითა და წერილობით, ასევე — პირად წარმომადგენელთა რომში გაგზავნით. ეს იყო ნიშანი ჩვენი საერთო ქრისტიანული ერთგულებისა და იმედისა. ჩვენ ამას დიდად ვაფასებთ. ამ ერთგულებას ხანგრძლივი და დიდი ისტორია აქვს.

წ მ ი დ ა ნ ი ნ ო ს სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ ტანჯვისა და აღმავლობის საუკუნეებში გამოატარა და, საერთოდ, ქრისტიანული ტრადიციები ღრმადაა შესული ამ უნიჭიერესი ხალხის სავსებით უნიკალურ, ზეპირ თუ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში; მასში მუდამ ძლიერი შთაგონებით ფეთქავდა ქრისტიანული სული, — ამას ღაღადებს ის მრავალმხრივი სამონასტრო ცხოვრებანი როგორც აქ, საქართველოში, ასევე ქრისტიანული სამყაროს მრავალ კუთხეში. ქართულმა არქიტექტურამ და სასულიერო მწერლობამ სათანადო გავლენა მოახდინა მის საზღვრებს გარეთაც. თქვენი სიმტკიცე და ერთგულება ქრისტეს მიმართ აღფრთოვანებს ყველას. გვამხნევებს წინსვლა, რომელსაც საქართველოს ეკლესია აღწევს თქვენი ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს მომდინარეობს თქვენი სასულიერო, ჭეშმარიტად ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციებიდან, რითაც, ამავე დროს, დამაჯერებლად განიჭვრიტება მომავალი.

ლ ო ცვ ა
ჟამსა ურთიერთმეგობრობისა
და ურთიერთსიყვარულისა
სიონის დიდებულ საპატრიარქო ტაძარში

სიტყვები, წარმოთქმული საზეიმო მიღებაზე

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე:

დიდი ხანია, რაც ქრისტეს მოძღვრებამ გადალახა ყველა გეოგრაფიული და ეროვნული საზღვარი და კაცობრიობის მარადიული ნეტარებისა და სასოების ღვთიურ საწყისად სიყვარული აღიარა. გვჯერა, რომ მაღალყოვლადუსამღვდელოესი კარდინალი, ბატონი იოანე ქრისტეს მიერ ძმური სიყვარულისა და ურთიერთდაახლოების ამ გრძნობამ ჩამოიყვანა ჩვენს სამშობლოში.

საქართველოში ქრისტიანობა იმ დროს შემოვიდა, როდესაც ნერონის ცეცხლს ჯერ კიდევ არ შთაენთქა ძველი რომი. ცნობილია, რომ მაცხოვრის კვართი მისი ჯვარცმის შემდეგ ჩამოიტანეს საქართველოში. ამ კვართის მადლს მოჰყვა პირველი ქრისტიანული რწმენა, — აქ იქადაგეს მოციქულებმა: ა ნ დ რ ი ა პ ი რ ვ ე ლ წ ო დ ე ბ უ ლ მ ა და ს ვ ი მ ო ნ კ ა ნ ა ნ ე ლ მ ა. განგებითა ღვთისათა მოციქული სვიმონ კანანელი აღესრულა საქართველოში და მისი საფლავი ჩვენს კურთხეულ მიწაზეა. მოციქულების მიერ დატოვებული რწმენითა და მადლით ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი ეკლესია.

ქართველი ერი მუდამ იდგა ქრისტიანობის მთლიანობის სანუკვარ გზაზე. ჩვენ მუდამ სისხლითა და სიცოცხლით ვიცავდით ეროვნულ და რელიგიურ მთლიანობას. ჩვენ გვიყვარს ყველა ქრისტიანი და, მათ შორის, რომის კათოლიკური ეკლესია. მეტ ყურადღებას ვაქცევთ არა იმას, რაც განასხვავებს და აშორებს ჩვენს ეკლესიებს, არამედ — იმას, რაც გვაერთიანებს. ჩვენმა ეკლესიებმა ფეხი ერთად აიდგეს და ათი საუკუნე ერთად იარეს. გათიშვის შემდეგაც კი მათ არ შეუწყვეტიათ ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა.

ჩვენს ბობოქარ და არც თუ ისე უშიშარ დროს მშვიდობის დაცვის პრობლემა აფიქრებს მთელ კაცობრიობას. გვჯერა, რომ საქართველოსა და რომის კათოლიკური ეკლესიები მუდამ ერთად და მტკიცედ იდგებიან მშვიდობის სადარაჯოზე.

ქრისტიანული სიყვარულის ასეთი გრძნობით კიდევ ერთხელ მოგესალმებით, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო. ჩვენი ეკლესია მზადაა იქონიოს რეალური და მრავალმხრივი ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, რათა ხელი შეუწყოს კაცობრიობის სულიერი კულტურისა და მეცნიერების განვითარება-განმტკიცებას.

გთხოვთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, გადასცეთ ჩვენი სულიერი სიყვარულით აღვსილი გრძნობები და კეთილი სურვილები მის უწმიდესობას, რომის პაპს იოანე-პავლე მეორეს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

დაე, ღვთის ლოცვა-კურთხევით, გაძლიერდეს და განმტკიცდეს ძმური ურთიერთობა და თანამშრომლობა თბილისსა და ვატიკანს შორის.

კარდინალი იოანე ვილებრანდსი:

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ!

ძვირფასო ძმებო!

ჩვენი სტუმრობის მთავარი მიზანია რომისა და საქართველოს ეკლესიების დაახლოებაა. ორივე ეს ეკლესია ერთ მიზანს ემსახურება — ქრისტიანობის გაძლიერებას. ამის საფუძველი გახლავთ იესო ქრისტეს სიტყვა, რომელიც გულისხმობს ეკლესიათა ურთიერთობას. რაც ჩვენ აქ ვნახეთ, — იქნებოდა ეს ძველი ქართული ხელნაწერები, წიგნები თუ არქიტექტურის ძეგლები, — შესანიშნავია. ყოველივე ეს იწვევს სიხარულს იმის გამო, თუ რა ჭარბად გამოსჭვივის მათში ქრისტიანული სული და ძალა. ჩვენი ურთიერთობა თანდათან ღრმად იდგამს ფესვს. საქართველოსა და რომის ეკლესიები ძმური კავშირით უერთდებიან ერთმანეთს. უწმიდესმა ილია მეორემ გაგვახსენა ანდრიასა და პეტრეს ძმობა. წმიდა პეტრემ საფუძველი ჩაუყარა რომის ეკლესიას, წმიდა ანდრიამ — ქართულს. ძმები უნდა ვიყოთ ჩვენც!

დიდად ამაღელვებელი იყო დიდი საეკლესიო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი ფილმის ნახვაც. ამ ფილმმა ისევე, როგორც თავის დროს თვით მიხეილ თამარაშვილმა, კიდევ უფრო გააღრმავა ჩვენი მეგობრობა.

ვწუხვართ, რომ საქართველოში ბევრი რამ უნახავი დაგვრჩა. მაგრამ ეს, ამავე დროს, გვაძლევს იმედს, კვლავაც ჩამოვიდეთ აქ. კვლავაც შეგხვდეთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ.

ღმერთსა ვთხოვ თქვენს კარგად ყოფნასა და გაძლიერებას. დალოცოს უფალმა თქვენი ქვეყანა, თქვენი ერი.



მოკლე ცნობები

კონსულტაცია პრაღაში

26—30 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს საევანგელიზაციო კონსულტაციაზე მონაწილეობა მიიღეს ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა დავითმა (ჭკადუამ) და თბილისის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ამირან შენგელიამ.

კონსულტაციას, რომლის თემა იყო: „რას ნიშნავს ქრისტიანობის აღიარება დღევანდელ სოციალისტურ სამყაროში“ — ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 48 დელეგატი; ასევე, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ცენტრის წარმომადგენლები.

საქართველოს ეკლესიის წარსულისა და დღევანდელობის შესახებ კონსულტაციის შუალედში, 28 მარტს, მოხსენება წაიკითხა ეპისკოპოსმა დავითმა.

შეკრების მონაწილეებმა შეიმუშავეს გადაწყვეტილება: ასეთივე კონსულტაცია მოეწყოს 1980 წლის მაისში ქალაქ მელბურნში, რომლის თემა იქნება: „მოვედინ სუფევა შენი“.

უცხოელ სასულიერო სტუდენტთა დელეგაცია თბილისში

9—12 იანვარს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ლენინგრადის სასულიერო აკადემიის უცხოელ სტუდენტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის დეკანი ბ ო გ დ ა ნ ს ო ი კ ო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: არქიმანდრიტი მ ი ხ ე ი ლ ბ ო ლ ი ს ტ ო ს ი — იერუსალიმიდან; ბერმონოზონნი— მ ა თ ე მ ა ტ ა ხ ე ლ ი და მ ა თ ე ვ ა ი დ ა ნ ი ა ნ ი — ინდოეთიდან; მღვდელი კ ა ს ა ხ უ ნ ი და მღვდელი მ ა ნ გ ი ს ტ უ — ეთიოპიიდან, სტუდენტი პ ო ლ ხ ა ვ რ ი ლ კ ო — ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

10 იანვარს დელეგაციის წევრები მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და ესაუბრა მათ საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, მის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალ გეგმებზე. თავის მხრივ, საკუთარი შთაბეჭდილებები და სურვილები გამოთქვეს სტუმრებმა.

„თხუთმეტი წლის უმოქმედობის შემდეგ, — თქვა არქიმანდრიტმა მიხეილ ბ ო ლ ი ს ტ ო ს მ ა — მიმდინარე წელს იერუსალიმში კვლავ გაიხსნება სასულიერო აკადემია. ჩვენი დიდი სურვილია, ამ ფრიად მნიშვნელოვან დღეს უსათუოდ დაესწროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. არ გვავიწყდება, რომ ქართული ჯვრის მონასტერი დღესაც ჩაუქრობელ ლამპრად ანთია იერუსალიმის წმიდა მიწაზე. მისი ყოველი ქვა თვალნათლივ ღაღადებს, თუ რა დიდი ღვაწლი გაუწევია ქართულ ეკლესიას ქრისტეს მცნებათა აღსრულების საქმეში. დღეს კი — ეს მჭიდრო ღვთიური კავშირი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე საქართველოსა და იერუსალიმს შორის არსებობდა, შენელებულია...“

საქართველოს ეკლესიის მამათმთავარმა სტუმართან ერთად გამოსთქვა იმედი, რომ ურთიერთობა თანდათან აღსდგება არა მარტო იერუსალიმთან, არამედ, ყველა ქრისტიანულ ეკლესიასთან, ყველა ქვეყანასთან. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ქრისტეს მცნების განმტკიცებასთან ერთად, ხელს შეუწყობს კეთილი ნების ადამიანების ოცნების ხორცშესხმას — ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებას.



ნიკოლოზი (მახარაძე),

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს საპატრიარქოს საკარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე

„რაითა ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რაითა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყუნენ“, — ასე მიმართავს უფალი ჩვენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე გეთსამანიის ბაღში მ ა მ ა ღ მ ე რ თ ს და შესთხოვს მას, რომ მოწაფენი მისნი „რაითა იყუნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ“ (იოანე 17. 21-22).

ერთობისა და ძმობისაკენ, სოლიდარობისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებდა დედამიწაზე მოვლენილი ღმერთკაცი ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე კაცობრიობას, რადგან ერთობაშია ძალა, ერთობაშია სიყვარული, ერთობა საფუძველია მშვიდობიანი ცხოვრებისა და ერთად აღვლენილ ლოცვაშია ჩაქსოვილი დაუშრეტელი სიყვარული ღმერთის, სათნოება და მოკრძალება მისდამი.

ჩვენი სამოციქულო ეკლესია, მისი მამათმთავარი — უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა მ ე ო რ ე დიდად აფასებს თანამედროვე ეკუმენური მოძრაობის მნიშვნელობას, თავად ბრძანდება ეკუმენიზმის ფუძემდებელი ქართულ ეკლესიაში და მისი ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი მთელ მსოფლიოში. იგი წლების მანძილზე მონაწილეობს საერთაშორისო საეკლესიო თათბირებისა და კონგრესების მუშაობაში, მაღალი ტრიბუნიდან მოუწოდებს ქრისტიანებს ერთობისაკენ, მშვიდობისაკენ, ძმობისაკენ.

ეკუმენური მოძრაობის დევიზია: „ერთი ღმერთი, ერთი სარწმუნოება, ერთი ეკლესია!“, რადგან ყველა ქრისტიანული ეკლესია შეადგენს ერთ მთლიან სხეულს, რომლის სათავეში დგას ერთი ღმერთი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „რამეთუ ერთი არს ღმერთი და ერთი არს შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაი, კაცი იესო ქრისტე“.

ქართული ეკლესიაც ქრისტეს ერთიანი სხეულის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს სამოციქულო ეკლესია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიათა გაერთიანებას, აღავლენს ლოცვას ამ დევიზის ჭეშმარიტად განხორციელებისათვის, იღწვის მშვიდობისა და ხალხთა ერთიანობისათვის. ამიტომაც იგი აქტიურად უჭერს მხარს ეკუმენურ მოძრაობას და ცდილობს თავისი გარკვეული წვლილი შეიტანოს მის გაღრმავებაში და გაძლიერებაში, რათა ახლო კონტაქტები ჰქონდეს მომე

ეკლესიებთან, დაამყაროს მათთან მეგობრული ურთიერთობა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია, — რომელსაც ქრისტიანული სარწმუნოების ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს უღალატია ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, რომელიც თავის სამშვიდობო მოღვაწეობაში ეყრდნობა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და წმიდა მამათა ცხოვრებას, — დღესაც მოითხოვს, რომ ქრისტიანული ერთობის საფუძველი სწორედ ამ კრებათა დადგენილებანი და წმიდა მამათა სწავლებანი იყოს.

ქართული ეკლესია ეკუმენურ თანამშრომლობას ეწევა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებთან. ჩვენ ახლო მეგობრული კონტაქტები გვაქვს ეთიოპიის, სირიის კოპტურ, სირიის იაკობიტურ ანგლიკანურ, კათოლიკურ, ლუთერანულ და რეფორმისტულ ეკლესიებთან. ჩვენი ეკლესიის დევიზია — „ქრისტიანული, ძმური სიყვარული". ამ გზით ცდილობს იგი მიაღწიოს აზრთა ერთიანობას სხვა ეკლესიებთან და მუდამ გულისყურით ეკიდება ყველა იმ ახალ წამოწყებას და აზრს, რომელიც ახალ სოციალურ პირობებში ქრისტიანული სარწმუნოების გაღრმავებასა და განმტკიცებას ემსახურება.

მართლმადიდებელი ეკლესიები დღეს გარდუვალ ეკუმენურ ეტაპზე დგანან. ეს, როგორც სამეცნიერო ღვთისმეტყველების, ისე სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან პრაქტიკული ურთიერთდამოკიდებულების მთელი რიგი საკითხებით გამოიხატება. წინააღმდეგობები, რა თქმა უნდა, არსებობს... მისი დაძლევისათვის ჩვენს ეკლესიას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, აგრეთვე, მჭიდრო, ახლო კანტაქტების არსებობა ვატიკანთან, რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე აღდგა ეს კონტაქტები. ამის დამადასტურებულია 1977 წელს მონსინიორ ვ ი რ ვ ო ლ ი ს ჩამოსვლა ვატიკანიდან კათოლიკოს-პატრიარქ დ ა ვ ი თ მ ე ხ უ თ ი ს დაკრძალვაზე; ასევე — ორი ვიზიტი ვატიკანში გასული წლის ოქტომბრის თვეში პაპის ი ო ა ნ ე-პ ა ვ ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი ს დაკრძალვასა და ახლადარჩეული პაპის ი ო ა ნ ე-პ ა ვ ლ ე მ ე ო რ ი ს კორონაციაზე, რასაც ფართოდ გამოეხმაურა დასავლეთის პრესა. დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე, კარდინალ ი ო ა ნ ე ვ ი ლ ებ რ ა ნ დ ს ი ს ვიზიტი საქართველოში (ვატიკანიდან). საერთოდ, აღმოსავლეთის მართლმადიდებელ და რომის კათოლიკურ ეკლესიათა მესვეურთ გულთბილი ურთიერთობა აკავშირებს ჩვენთან. თავის მხრივ, ჩვენს წმიდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას მეგობრული დამოკიდებულება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რომის კათოლიკური ეკლესიის სამწყსოსთან; მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ჩვენი მეზობელი სომხეთის სამოციქულო ეკლესიასთან: ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას, ქართული და სომხური სამოციქულო ეკლესიების ძმურ კავშირს ღრმა ფესვები აქვს. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო განმტკიცდა ბოლო წლებში — მას შემდეგ, რაც სომხურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი, უწმიდესი ვ ა ზ გ ე ნ პ ი რ ვ ე ლ ი.

გასულ წელს ქართული ეკლესიის წარმომადგენელმა ქუთაის-გაენათელ-ნიკორწმიდელმა ეპისკოპოსმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა შ ი ო მ მონაწილეობა მიიღო უწმინდესი ვ ა ზ გ ე ნ ი ს 70 წლის საიუბილეო ზეიმში.

მეგობრული, მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს ეკლესიას მოძმე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ბოლო წლებში. ჩვენი ეკლესიების სულიერმა სიახლოვემ და ურთიერთგაგებამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ დღეს ეს ორი ეკლესია არსებობს, როგორც ერთი ძმური ოჯახი. ამის დადასტურება იყო უწმიდესი პ ი მ ე ნ ი ს უშუალო მონაწილეობა კათოლიკოს-პატრიარქის ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს აღსაყდრების დღესასწაულში 1977 წელს და შემდეგ — კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს ვიზიტი რუსეთის მოძმე ეკლესიაში 1978 წლის თებერვლის ბოლოს.

ქართული ეკლესია ისწრაფვის ახლო კავშირი იქონიოს კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან — მსოფლიო პატრიარქთან. საამისოდ სათანადო ნაბიჯები უკვე გადადგმულია. სულ ახლახან, ამ მიზნით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს მეთაურობით კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა ჩვენი დელეგაცია.

საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულით შეხვდა ქალკიდონის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოეს მ ე ლ ი ტ ო ნ ი ს ვიზიტს საქართველოში. ამ ვიზიტის დროს მიტროპოლიტი მ ე ლ ი ტ ო ნ ი მიიღო კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა მ ე ო რ ე მ და საქმიანი საუბარი ჰქონდა მასთან. ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს ამ ეკლესიების დაახლოებას მომავალში.

ეკუმენურ მოძრაობაში ჩვენი ეკლესია კიდევ უფრო აქტიურად ბოლო წლებში ჩაება. არ ტარდება თითქმის არცერთი საერთაშორისო თათბირი, კონგრესი, ფორუმი — ქართული ეკლესიის წარმომადგენლები რომ არ მონაწილეობდნენ. გასული წლის ივნისში კი პრაღის მე-5 მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას თვით მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა მ ე ო რ ე ესწრებოდა. კათოლიკოს-პატრიარქს ახლდნენ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნ ი კ ო ლ ო ზ ი და სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი გ უ რ ა მ შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე.

ივნისის ბოლოს ეპისკოპოსი ნ ი კ ო ლ ო ზ ი მონაწილეობდა ჟენევის მართლმადიდებელი კომისიის მუშაობაში (რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას რომის კათოლიკურ ეკლესიასთან), ხოლო დეკანოზი გ უ რ ა მ შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე — მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს სემინარის მუშაობაში, ასევე — ჟენევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ანგლიკანური ეკლესია ცდილობს ახლო კავშირი დაამყაროს მართლმადიდებელ და, განსაკუთრებით, ქართულ ეკლესიასთან. მისასალმებელია ინგლისის პრიმასის არ-

ქიეპისკოპოს დონალდ კოგანის მდივნისა და საერთაშორისო დეპარტამენტის თავმჯდომარის კანონიკ მაიმელ მურის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 1977 წლის ოქტომბერში მოეწყო.

ქართული ეკლესია ასევე მიესალმება ქართული და აშშ-ის ავტოკეფალური ეკლესიების დაახლოებას და კონტაქტების დამყარებას. ორივე ეკლესიისათვის საინტერესოა ნიუ-იორკისა და სრულიად კანადის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოეს თეოდოსის ვიზიტი საქართველოში 1978 წლის ოქტომბრის თვეში.

თანამედროვე ეტაპზე ეკუმენური მოძრაობის წინაშე მთელი რიგი დოგმატური და კანონიკური ხასიათის საკითხები დგას, რომლებიც დეტალურ შესწავლას მოითხოვენ. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ისწრაფვის, უფრო ახლო კავშირი ჰქონდეს ამ საბჭოს წევრ ეკლესიებთან. ამ მიზნით საქართველოს ეკლესიას 1977 წლის ნოემბერში ეწვია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს „საეკლესიო წყობისა და რწმენის“ დეპარტამენტის თავმჯდომარე დოქტორი ლუკას ფიშერი.

ქართული სამოციქულო ეკლესია თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა მსოფლიო ეკლესიათა კრებების დადგენილებებსა და კანონებს და მომავალშიც, რჩება რა უცვლელად მათი ერთგული, მათი დაცვითა და შენარჩუნებით ეცდება კიდევ მეტად გააღრმაოს ძმური კავშირი და თანამშრომლობა სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან, ემსახუროს ხალხთა მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების საქმეს.



დავითი და ბერსებე
(ფლანდრიული ხალიჩა. XV ს.)

ქართული მართლმადიდებელი მრევლი

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

დიდი სიხარულით მივიღე თქვენი უწმიდესობისაგან გამოგზავნილი 1979 წლის საეკლესიო კალენდარი.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი, პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და მრევლი თავისი დაარსების პირველივე დღიდან (ეს მოხდა 1929 წელს), იმყოფება მსოფლიო პატრიარქის იურისფიქციაში. მაგრამ ჩვენ მუდამ ვგრძნობთ სულიერ, განუყოფელ კავშირს ჩვენს ქართველ ერსა და თქვენი უწმიდესობის მფარველობის ქვეშ მდგომ საქართველოს ეკლესიასთან.

ჩვენ, პარიზში მცხოვრები ქართველი ქრისტიანები ვხარობთ იმის გამო, რომ დღეს თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პატრიარქი ბრძანდებით.

უმორჩილესად გამოვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას.

ქართული მართლმადიდებელი მრევლის სახელით

დეკანოზი ილია მელია

29 ივლისი, 1978 წელი.
პარიზი



საფრანგეთი, პარიზი

წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლის წინამძღვარს, მაღალღირს დეკანოზ ილია მელიას

თქვენო მაღალღირსებავ!

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩემმა მცირედმა საჩუქარმა ესოდენ დიდი სიხარული მოგანიჭათ ღვთის კეთილ მსახურს. დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ ჩემდამი გამოგზავნილი მადლობის წერილის გამო, რომელშიაც ჭეშმარიტი ქრისტიანის სიყვარულით აღიარებთ წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი მრევლის სულიერ კავშირს ქართველ ერსა და საქართველოს დედა-ეკლესიასთან. დიახ, ჭეშმარიტად, უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთათვის პარიზის წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის ნაწილი მშობლიური ქართული სამოციქულო ეკლესიისა, ნაწილი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს კურთხეული მიწა-წყლისა და მათი წინაპრებისა.

ღმერთსა ვთხოვ, უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა სიცოცხლესა და ბედნიერებას. ხოლო თქვენ, თქვენო მაღალღირსებავ, გისურვებთ ჯანმრთელობას და უფრო მეტ ენერგიას იმ დიდი საქმეების განსახორციელებლად, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენს თანამემამულეთათვის.

ქრისტეს მიერ სიყვარულით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია მეორე

5 სექტემბერი, 1978 წ.

მ ა ტ ი ა ნ ე დ ა ნ

დ ი დ ე ბ ა ა წ დ ა მ ა რ ა დ ი ს!

წყალკურთხევა

* * *

1979 წლის 7 იანვარს ქ. თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ლიტურღია და საშობაო პარაკლისი.

დილის 10 საათია. გაისმის სიონის ზარების საზეიმო გუგუნი. მარადმწვანე ცოცხალი ნაძვის რტოებით მორთულ ტაძარში შემობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, სიონის გუნდი მრავალჟამიერის გალობით შეეგება მას. უწმიდესმა და უნეტარესმა აღავლინა წირვა-ლოცვა უფლისა და მაცხოვრისადმი.

თბილისისათვის უჩვეულოდ ცივი ამინდის მიუხედავად სიონის ტაძარი ხალხს ვერ იტევდა. ყველას ერთი გრძნობა ამოძრავებდა — სიყვარული ქართული წმიდა ეკლესიისა და მისი ღირსეული საჭეთმპყრობლის მიმართ; მრევლის გაბრწყინებულ თვალებში გამოსჭვიოდა უსაზღვრო მადლიერება მაღლისა უფლისადმი, რომ მან განკაცებული თავისი ძე მოუვლინა კაცობრიობას.

ღვთისმსახურების შემდეგ ტაძარში მყოფ მრევლს დაურიგდა საქართველოს ეკლესიის მესვეურის დასტამბული ეპისტოლე ქრისტეს შობისა. ძნელია, ორიოდე სიტყვით შეაფასო ეს უბადლო საღვთისმეტყველო დოკუმენტი, რომელიც სულ ორიოდე გვერდს მოიცავს, მაგრამ ხატოვანი ენითა და თეოსოფიური სიღრმით გვითვალისწინებს უფლის ხორციელად შობის რაობასა და მნიშვნელობას: ეს არის ჭეშმარიტი მეგზური, რომელიც სულიერი სიმაღლეებისაკენ წარუძღვება ღვთისმოსავთ; ეს არის მორწმუნეთა სადღეისო მოქმედების აზრი და ხვალინდელი დღის გეგმა; მასში გამოხატულია მართლმადიდებელი ქრისტიანის დიდი მრწამსი.

შობის დღისადმი მიძღვნილ საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურღიაში მონაწილეობდნენ: ყოვლადუსამღვდლოესი წილკნელი ეპისკოპოსი თ ა დ ე ო ზ ი (იორამიშვილი), სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი შ ე ნ გ ე ლ ი ა, მღვდელი თ ა მ ა ზ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, მთავარდიაკონი ღ ვ თ ი ს ო შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დიაკონი თ ო რ ნ ი კ ე (წამალაიძე).

* * *

25 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა, რომელიც მიეძღვნა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო ე კ ლ ე ს ი ი ს ა ვ ტ ო კ ე ფ ა ლ ი ი ს 62-ე წლისთავს. გადახდილია სამადლობელი პარაკლისი და პანაშვიდი ავტოკეფალიის აღმდგენელთა სულის საოხად.

* * *

5-10 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ი ლ ი ა მ ე ო რ ე ეწვია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას. იმავე დილით მან სოხუმის საკათედრო ტაძარში გადაიხადა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, საღამოს კი აღასრულა მწუხრისა და შემდგომ ცისკრის ლოცვა.

7 აპრილს ჩატარდა ხ ა რ ე ბ ი ს დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი.

სრულიად საქართველოს მწყემსთმთავარმა მოინახულა მოქვისა და ილორის მონასტრები, წმ. გიორგის ეკლესია და ახალი ათონი, სადაც დაკრძალულია საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი — ს ი მ ო ნ კ ა ნ ა ნ ე ლ ი.

კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს და სოხუმის სახელმწიფო ქართულ თეატრში დაესწრო სპექტაკლს.

მოგზაურობის დროს კათოლიკოს-პატრიარქს ახლდნენ: წილკნელი ეპისკოპოსი თ ა დ ე ო ზ ი (იორამაშვილი), ბოდბელი ეპისკოპოსი ა თ ა ნ ა ს ე (ჩახვაშვილი), სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელი თ ო რ ნ ი კ ე (წამალაიძე), პროტოდიაკონი ღ ვ თ ი ს ო შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, სიონის ვაჟთა მგალობელი გუნდი და სხვანი.

* * *

15 აპრილს, ბ ზ ო ბ ა დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ი ლ ი ა მ ე ო რ ე მ სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა. მიუხედავად უამინდობისა, როგორც ტაძარი, ასევე მისი ეზო და თვით ქუჩაც ხალხით იყო სავსე. ყველას სურდა მიეღო ნაკურთხი ბზის ტოტი — როგორც გახსენება იმ დიდი დღისა, როცა უფალი ჩვენი და მაცხოვარი იესო ქრისტე იერუსალიმში შებრძანდა; როცა ხალხი მას გზაზე ყვავილებს, ბზას თუ პალმის ტოტებს უფენდა და ერთხმად გაიძახოდ:: „...ოსანა დავითის შთამომავალს!“, „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“, „ოსანა მაღალთა შინა!“.

ვნების შვიდეულის მთელ კვირას სიონის ტაძარში და ყველა სხვა მოქმედ ტაძარში გაისმოდა უფლის დიდება, რომელიც 22 აპრილს ქ რ ი ს ტ ე ს ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ა ღ დ გ ო მ ი თ დაგვირგვინდა. ამ დღის სიხარული კიდევ უფრო გააძლიერა კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლემ, რომელიც თვითონ მან დაურიგა ხალხს.

* * *

21 აპრილს, ვნების შვიდეულის დიდ შაბათს ქართული ეკლესიის მწყემსთმთავარმა ი ლ ი ა მ ე ო რ ე მ აკურთხა ახალი ხატი მაცხოვრისა.

ხატი შესრულებულია ენკაუსტიკის ტექნიკით, ჩასმულია მელქიორის მოჩუქურთმებულ პერანგში და მოოქვილია მარგალიტის თვლებით. მასზე ასეთი წარწერაა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ესე ხატი მაცხოვრისა... აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ამინ!“

—⊙—

1978 წლის 19 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სიხარულით აღნიშნა მირონლუკიის მთავარეპისკოპოსის, საკვირველმოქმედი წმიდა მამის ნიკოლოზის ხსენების დღე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში აღასრულა საღმრთო ლიტურგია. დასასრულს, ქართული ეკლესიის წინამძღვარმა ჩვეული სიწმიდითა და შთამაგონებლობით იქადაგა წმ. მამის ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის საქმენიც, თექვსმეტ საუკუნეზე მეტი ხანია, აღაფრთოვანებენ ქრისტიანულ სამყაროს. დიდი მეუფისა და სულიერი მამის წარმოთქმულმა სიტყვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ტაძარში მყოფ მრევლზე, რომელმაც მადლობა შესწირა ჩვენი ეკლესიის ღირსეულ მესვეურს.

წმიდა მამის ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ხსენების დღეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი), ყოვლადუსამღვდლოესი წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი (იორამიშვილი); აგრეთვე სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურნი.

—⊙—

8 თებერვალს ქართულმა ეკლესიამ აღნიშნა თავისი ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის, დიდი დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. უწმიდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სიონის ტაძარში აღასრულა საზეიმო საღმრთო წირვა მიძღვნილი „გალობანი სინანულისანის“ ავტორისადმი, რომელიც საეკლესიო საბუთებში ასე იწოდება: „კეთილად მსახური და ღმრთივ დაცული“.

—⊙—

1 მარტს საქართველოს ეკლესიამ აღნიშნა ღირსი მამის შიო მღვიმელის ხსენების დღე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შიო მღვიმელის მონასტერში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. სარკინეთის თვალწარმტაცი სანახები ხალხით იყო სავსე. გაზაფხულის პირველი დღის სითბო უხვად დაღვრილიყო შემოგარენში, სადაც 1400 წელია ჩაუქრობელ კელაპტრად ანთია წმიდა შიო მღვიმელის დიდებული სავანე. მის საფლავთან ილია მეორემ აკურთხა საქართველოს ყოველი მხრიდან მოსული მრევლი და გადაიხადა ღირსი მამის შიოს პარაკლისი.

—⊙—

25 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წესი აუგო ახალმიცვალებულ მიტროპოლიტ რომანოზ პეტრიაშვილს, რომელიც დასვენებული იყო სიონის საპატრიარქო ტაძარში. საქართველოს ეკლესიის მამათმთავარმა ვრცლად ილაპარაკა მიტროპოლიტ რომანოზის სულიერ ცხოვრებასა და ღვაწლზე ქართული ეკლესიის წინაშე.

მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი დაკრძალეს სიონის ეზოში, ტაძრის სამხრეთ კედელთან.

ᲘᲦᲐᲕᲜ!

1978 წლის 14 დეკემბერს საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა წმიდა სინოდის სხდომა. მან განაჩინა:

აწყურის ეპარქიას ეწოდოს **ახალციხისა** და **მესხეთ-ჯავახეთის** ეპარქია. ცაგერის ეპარქიას — **ცაგერისა** და **ლეჩხუმ-სვანეთის** ეპარქია.

ილია მეორის წინადადებით, აღდგენილია საქართველოს ეკლესიაში ოდითგანვე არსებული **მთავარეპისკოპოსის** ხარისხი, ხოლო მას, ვინც ამ ხარისხს მიიღებს, უფლება ენიჭება კუნკულა-ბარტყუულაზე ატაროს ჯვარი.

ამავე სხდომაზე ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსის კანდიდატად წამოაყენეს სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი **ანდრია ჩახვაშვილი.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ჩვენი ავტოკეფალური წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სინოდის დადგენილებით:

1978 წ. 20 ოქტომბერს თბილისის საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელზედაც მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ჭკადუა დადგენილ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და ეწოდა დავითი.

—⊙—

1978 წლის 29 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი დიმიტრი მელიქიძე ეკურთხა ეპისკოპოსის ხარისხში, ეწოდა მას სახელი კონსტანტინე და დადგენილ იქნა ურბნისის ეპარქიის მეთაურად.

—⊙—

1978 წლის 19 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში, ომარ წამალაიძე ეკურთხა დიაკვნის ხარისხში და ეწოდა სახელად თორღვა. სიონის საკათედრო ტაძრის დიაკონი თორღვა (ომარ წამალაიძე) დაიბადა 1943 წელს. იგი 1978 წლის თებერვლიდან საპატრიარქოს თანამშრომელია.

—⊙—

1978 წლის 24 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის ინტრონიზაციის წლისთავის დღეს აყვანილნი არიან მთავარეპისკოპოსის ხარისხში: ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მეთაური ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდის ეპარქიის მწყემსთმთავარი იოანე (ანანიაშვილი) და ქუთაის-გაენათისა და ნიკორწმიდის ეპარქიათა მმართველი შიო (ავალიშვილი); ამავე ბრძანებით, სიონის ტაძრის არქიმანდრიტი ანდრია ჩახვაშვილი იკურთხა ეპისკოპოსად, ეწოდა მას სახელი ათანასე და დადგენილ იქნა ბოდბის ეპარქიის მეთაურად.

—⊙—

1979 წლის 7 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში, იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღეს, დიაკონის ხარისხში ეკურთხა ბერი რომანოზი (ერისკაცობაში — უშანგი შიომღვდლიშვილი). იგი დაიბადა 1938 წელს. დიაკონი რომანოზი (შიომღვდლიშვილი) 1978 წლის 4 აპრილიდან კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტია, ხოლო 1978 წლის 14 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად.

—⊙—

1979 წლის 14 იანვარს სამთავროს საპატრიარქო ტაძარში, ამავე ტაძრის მღვდელი თამაზ კოჭლამაზაშვილი აღიკვეცა ბერად და ეწოდა მას სახელი მღვდელმონოზონი ექვთიმე.

—⊙—

1979 წლის 27 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში, ამავე ტაძრის დიაკონი თორღვა წამალაიძე ეკურთხა მღვდლის ხარისხში და ეწოდა სახელად თორნიკე.

—⊙—

1979 წლის 18 თებერვალს სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკონი ზაზა მიხეილის ძე გიორგობიანი ეკურთხა მღვდლის ხარისხში და დანიშნული იქნა მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის წინამძღვრად.

—⊙—

1979 წლის 31 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში, იოანე კიბისაღმწერელის ხსენების დღეს, სიონის საპატრიარქო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტი პავლე სერაპიონის ძე ბერიშვილი აკურთხა დიაკონის ხარისხში.

—⊙—

1979 წლის 20 მაისს სიონის საპატრიარქო ტაძარში იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს, ბეთანიის მონასტრის ბერი მამა გიორგი (ბედოშვილი) ეკურთხა მღვდელმონოზნის ხარისხში და დანიშნული იქნა ალავერდის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად.

მადლი უფლისა

1978 წლის 24 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიჰმადლა სახელდებული პანაღიის ტარების უფლება — მიტროპოლიტ ზინობის (მაჟუგას), თეთრწყაროელად წოდებულს; მეორე პანაღიის ტარების უფლება — მახგლელ მიტროპოლიტ გიორგის (ღონღაძეს) და ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლს (ცერცვაძეს).

—⊙—

1979 წლის 7 აპრილს საქართველოს ეკლესიის მამათმთავარმა წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინამძღვარი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე).



მცხეთის სასულიერო სემინარია

ცნობილია, რომ მტრის ჭარბი ურდოების განუწყვეტელ, მრისხანე შემოსევებს ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე ჯვრითა და მახვილით ხელში იგერიებდა. ჯვრითა და მახვილით იმარჯვებდა არაერთგზის ჯვარცმული, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი დიდჭირნახული საქართველო და მისი წმიდა სამოციქულო ეკლესია, რამეთუ, მაცხოვრის ბრძანებისაებრ, მის მიერ კლდეებზე აგებულ ტაძრებს „ჯჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან" (მათე 16:18). გამარჯვებასთან ერთად საქართველო ინარჩუნებდა თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობას. 1783 წლის 24 ივლისს მან გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულებით აღიარა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობა. XIX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნდა იმდენად, რომ ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას (1811 წ.) რამდენადმე მნიშვნელოვანი რეაქცია არც კი გამოუწვევია ხალხში. თანდათან დავიწყებას მიეცა ქართველთა მოქცევა ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ; მხოლოდ მოციქულთასწორი წმიდა ნინო იხსენიებოდა ქვეყნის განმანათლებლად. გარდასულ ჟამთა ნისლში ჩაინთქა დიდ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა სახელები, თითქმის წაშალა მათი ნაკვალევი იერუსალიმსა და სინას მთაზე, სირიასა და ბულგარეთში; თითქოს არასოდეს არსებობდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიები... თანდათან მიჩუმდა ნეკრესელ განმანათლებელთა „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა" (მათე 3:3).

XX საუკუნის პირველივე წლებიდან კვლავ იმძლავრა ქართულმა ეროვნულმა გენიამ: ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ და სხვებმა ცივილიზებულ სამყაროს მიაწვდინეს ჩვენ მამა-პაპათა ღვაწლი და სიბრძნე. მხოლოდ 1917 წლის რევოლუციამ დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ოდინდელი უფ-



ლებები, მაგრამ დღემდე აღსადგენი რჩება ჩვენი ეროვნული სასულიერო ტრადიციები; ამ დიდ საქმეს კი სათანადო კადრები სჭირდება. ამ მეტად მტკივნეულ საკითხის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ აწ განსვენებულ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (1921–27 წწ.) უზრუნია, შემდეგ კი, — უფრო ენერგიულად, — ნეტარხსენებულ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს 1932–52 წწ.). 1951 წლის 6 ივნისის წერილობითი მიმართვით, სამწლიანი სასულიერო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით, დაევალა დეკანოზ მ. ხელიძეს წესდებისა და პროგრამის შედგენა. ეს წესდება და პროგრამა მართლაც შემდგარა და იგი დაუმტკიცებიათ კიდეც, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მისი განხორციელება ვერ მოხერხებულა. ასე რომ კადრების მომზადების მხრივ, ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა ისევ სავალალო იყო.

ძალზე ცოტანი იყვნენ ქართველი ღვთისმოსავნი, რის გამოც ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა თითქმის აღარ მიმდინარეობდა. და აი, აწ განსვენებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ (1960–1972 წწ.) ბოლოს-დაბოლოს, დიდის მეცადინეობითა და საერო მთავრობის ხელშეწყობით, აღასრულა ქართველ მორწმუნეთა სანუკვარი ჩანაფიქრი: 1963 წლის 14 ოქტომბერს გაიხსნა მცხეთის ორწლიანი სამოძღვრო-საღვთისმეტყველო სასწავლებელი. ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის სვეტიცხოვლობის დიდ დღესასწაულთან დამთხვევამ, მართლმადიდებელ ქრისტიანთა განსაკუთრებული სულიერი აღფრთოვანება გამოიწვია.

საღვთისმეტყველო სასწავლებელი დროებით სვეტიცხოვლის გალავნის შიგნით მდებარე შენობაში იყო. დაინიშნა დირექტორი — შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (ახლანდელი კათოლიკოს-პატრიარქი); პედაგოგები: დეკანოზი მ. ხელიძე, ი. ჭეიშვილი, თ. ტორონჯაძე და სხვანი. სულ მალე სასწავლებელი სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს, სადაც 1964–65 სასწავლო წლის ბოლოს გამოშვებულ იქნა კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი...

რა თქმა უნდა, სწავლის დაწყების პირველ ხანებში ბევრ დაბრკოლება-სიძნელეს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ღვთის განგებითა და დირექტორის (მიტროპოლიტი ილია) ხელმძღვანელობით, სასწავლებლის მთელი პერსონალის ჭეშმარიტად გულმოდგინე, დაძაბულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

1968 წელს სწავლების ხანგრძლივობა გაიზარდა სამ წლამდე, 1970 წლიდან კი სასწავლებელს ეწოდა ს ე მ ი ნ ა რ ი ა, ხოლო მის დირექტორს — რ ე ქ ტ ო რ ი.

მცხეთის სასულიერო სემინარიაში იკითხება შემდეგი სასწავლო დისციპლინები: ქართული ენა (ძველი და ახალი), აგრეთვე სლავური, ბერძნული და ინგლისური ენები; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ზოგადი საეკლესიო ისტორია, ქართული ეკლესიის ისტორია, ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, ძირითადი ღვთისმეტყველება, სამოძღვრო ღვთისმეტყველება, ლიტურგიკა, კატეხიზმო, ჰომილეტიკა, საეკლესიო სამართალი, სსრკ და საქართველოს კონსტიტუცია და საეკლესიო გალობა.

სემინარიის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მის წიაღში აღზრდილთაგან ოთხი უკვე ხელდასხმულია მღვდელთმთავრად: ნიკოლოზი (მახარაძე) — მთავარეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთისა და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე; იოანე (ანანიაშვილი) — მთავარეპისკოპოსი ჭყონდიდისა და აგარაკ-წალკისა; თადეოზი (იორამაშვილი) მთავარეპისკოპოსი წილკნისა და საქართველოს საპატრიარქოს ქორეპისკოპოსი; ათანასე (ჩახვაშვილი)— ეპისკოპოსი ბოდბისა; ხოლო ოთხი — არქიმანდრიტი სოკრატი (ჭულუხაძე), დეკანოზი ამირან შენგელია, დეკანოზი არსენ ბერუაშვილი და მღვდელი ანტონ შიოშვილი — სემინარიის პედაგოგები არიან.

სემინარია პანსიონატის ტიპისაა. მისი დანიშნულებაა ღვთისმსახურთა მომზადება საქართველოს ეკლესიის სათანადო კადრებით უზრუნველსაყოფად. პირველი ხარისხის დიპლომით სემინარიის კურსდამთავრებული მსმენელები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მოსკოვისა და ლენინგრადის სასულიერო აკადემიებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის სასულიერო სემინარიისათვის მიმდინარე 1978–1979 სასწავლო წელი უდიდესი აღმავლობა-გარდატეხის წელი იყო არა მარტო აკადემიური წარმატებებისა და შინაგანაწესის (რეჟიმის) დაცვის თვალ-



საზრისით, არამედ მსმენელთა მორალურ-ზნეობრივი ამაღლება-ჩამოყალიბებისა და სულიერობა-ეკლესიურობის სრულყოფის გაგებითაც. გადახალისდა პედაგოგიური პერსონალი, წარჩინებულ მსმენელთაგან ათი სამღვდლო ხარისხში აღზევდა და დამოუკიდებელ საქმიანობას — ღვთისმსახურებას ეწევა. დაწესდა სტიპენდიები, მსმენელთათვის სავალდებულო სატარებლად შემოღებულ იქნა ფორმა, წმიდა ნინოს ორდენითა და მოოქროული ჯვრებით დაჯილდოვდა სემინარიის შემადგენლობის გარკვეული ნაწილი. ჩამოყალიბდა სამხატვრო, საძერწი, მხატვრული ლიტერატურისა და უცხო ენების შემსწავლელი წრეები. საყოფაცხოვრებო და სასწავლო პირობების — ბინის, წიგნსაცავ-ბიბლიოთეკის, სახელმძღვანელო ლიტერატურის, კონსპექტებისა და სხვათა გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკულად უკვე ტარდება ქმედითი ღონისძიებები.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად უნდა მოვიგონოთ, რომ წმიდა მოციქულ პავლეს მოძღვრებით: „ეკლესია არის სვეტი და სიმტკიცე", ჭეშმარიტების შეცნობა-შემეცნება კი მოითხოვს მსმენელთა თეორიული დონის მუდმივ ზრდა-ამაღლებას. საქართველო დიდი მწიგნობრული ტრადიციის ქვეყანაა. ამის ერთი ნათელი დადასტურება ის უძველესი აკადემიებიცაა, რომელთა ნაფუძარი თუ საუკუნეთა ქარტეხილებში გადარჩენილი კედლები დღესაც მღელვარებით ავსებენ მათ, ვისაც თუნდაც ერთხელ დაუდგამს ფეხი იყალთოსა და გელათში, ვისაც თვალი შეუვლია უძველესი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისათვის.

უნდა აღდგეს ძველი ტრადიცია!

იმედი გვაქვს, ეს დიდი ნატვრა მალე სინამდვილედ იქცევა.

ილია ჯეიშვილი

მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგი



ქრისტიანობის გარიჟრაჟზე მაცხოვრის მარადიული სიტყვა ცხოველმყოფელ ნერგად ახარეს ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს მიწა-წყალზე ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, და აქ, ცხუმის მახლობლად განსვენება ინება სიმონ კანანელმა.

ახალციხის მხარე

ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის აღდგენასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ის, თუ როგორ დაგვიბრუნდა ეს მხარე ამ 150 წლის წინათ და რანაირად ხედავდნენ მას ჩვენი ძველი მოღვაწენი. ამ მიზნით გთავაზობთ ისტორიულ ნარკვევს სასიქადულო მამული-შვილის — იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“.

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობდენ, ეს ქვეყნები დიდი ხანი იყვნენ ოსმალეთის ხელში, და მხოლოდ 1829 წელს შემოიერთა რუსეთმა.

ახალციხის მხარეს მეტად მაღალი მდებარეობა აქვს. ამის გამო აქ ძალიან გრილი ჰავაა. ზამთარი ცივი იცის და ხშირად სამოთხს თვეს დედამიწა თოვლით არის დაფენილი. გიორგობისთვეში, როცა შემოდგომის მშვენიერი თბილი დღეებია ქართლსა და კახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი სძევს და ზამთარი გაჩაღებულია. სიგრილისა და სიცივის გამო ამ ქვეყანაში ქართლისა და კახეთის ბევრი ხილი სრულიად არა ჰხარობს. აქ ვერ ნახავ წაბლსა, უნაბსა, ლეღვსა და ბროწეულსა; ყურძენი ვერ იტანს აქაურ ცივს ზამთარსა და ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რასაკვირველია, აქაურნი მცხოვრებნი მოკლებულნი არიან. ვაშლი და მსხალი კი ჩინებული მოდის და ბლომადაც. ახალციხის მაზრაში ქართველი ტომი სცხოვრობს, მაგრამ ყველა კი ქრისტეს სარწმუნოებას არ აღიარებს. ეს მხარე, როგორც ვთქვით, დიდხანს ოსმალეთს ემორჩილებოდა. უმეტესი ნაწილი აქაური ქართველებისა გაამაჰმადიანა და თუმცა ახლა ჩვენს სახელმწიფოს ეკუთვნიან, მაგრამ სჯული კი მაჰმადისა უჭირავთ. ქართული ენა კი ბევრმა წმინდად იცის. ერთს ნაწილს ახალციხის მაზრის მცხოვრებისას აქამდინ ქრისტიანობა მტკიცედ დაუცავს. გამაჰმადიანებული ქართველები და ქართველი ქრისტიანები უფრო ცალკ-ცალკე სოფლებში სცხოვრობენ და ერთად არეულნი არ არიან; მაგრამ მისვლა-მოსვლა და მეზობლობა კი ერთმანეთში გახშირებული აქვთ.

ახალციხის მხარეში მამული სრულიად ბეგების საკუთრებაა. ეს ბეგები არიან ჩამომავალნი უწინდელის, აწ გამაჰმადიანებულის, ახნაურ-თავადიშვილებისა. გლეხ-კაცი საკუთარს მამულს მოკლებულია, მაგრამ ბატონყმობის უღელს კი დიდი ხანია მოშორებულია. გლეხ-კაცი საღალოდ მუშაობდა და მუშაობს ბეგების მამულსა და ღალაში აძლევდა მეხუთედზე მეტს არა. თუ გლეხი ერთის ბეგის მამულიდან მეორე ბეგის მამულში გადასვლას მოინდომებდა, დამშლელი არავინ იყო. თვითონ ბეგებს კი არა ჰქონდათ უფლება გლეხები გადაესახლებინათ. აქაურის გლეხკაცების წარმოება მდგომარეობს ხვნა-თესვაში, შინაურის პირუტყვის მოშენებასა და ბაღოსნობაში. აქაური ბაღები ვაზების მაგივრად სხვა-და-სხვა ჩინებული ხეხილით არის სავსე; მეტადრე მსხალი და ვაშლი კარგის გემოსი და ჯიშისა ჰხარობს. კაკალი მეტად დიდი იზრდება და სხმაც ბევრი იცის. შინაურს საქონელში აქ უფრო ხშირია ცხვრისა და ღორის ყოლა. ჭირნახულში სთესავენ: სიმინდსა, შვრიას, ქერსა და პურსა, უფრო ახალთესლსა.

ახალციხის მხარეშიაც ერთი ქალაქია — ახალციხე. ძველს დროში ამ ქალაქს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა. ახალციხე სძევს პატარა მდინარე ფოცხოვზედ, რომელიც დასავლეთის მხრივ ერთვის ახლო მომდინარე მტკვარსა. ფოცხოვი ახალციხეს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს — ძველი ქალაქი. ახალი ქალაქი დაჭერილია სომხებითა და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორე და წმინდა ქუჩები, მანამ ძველს ქალაქში. ძველის ქალაქის მცხოვრებლებს შეადგენენ ქართველები და ურიები, სრულიად გაქართველებულნი ენით. ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართლ-მადიდებელი. ძველს ქალაქშივე არის განთქმული ციხე, მაღლა კლდეზე აშენებული, ზედ ფოცხოვის ნაპირზედ. ახალციხეში სულ 20.000 მცხოვრებელია. აქ ორი სასწავლებელია: სამოქალაქო სასწავლებელი და უფასო სკოლა ქართველი ქალებისა.

ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: აბასთუმანი, სადაც სამკურნალო წყლებია; რუსთავი, სადაც დაიბადა უწარჩინებულესი პოეტი მთელის საქართველოსი შოთა რუსთაველი; ურაველი, შესანიშნავი რკინის წყლითა; აწყური, თავისი ფრიად შესანიშნავი ძველი ციხითა; ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა და სხვანი.

აქვე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა: ვარძია და საფარა. საზოგადოდ, ძველად ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებითა. პირველ მონასტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც სძევს სამხრეთ-აღმოსავლეთით ახალციხიდგან, მტკვრის ახლო, ხერთვისის ხეობაში. ყველა სხვა ქართული მონასტრებიდან ვარძია გაირჩეოდა იმითი, რომ იგი აშენებული როდი იყო სხვა მონასტრებივით, მისი მრავალი სენაკები ბერებისათვის, ეკლესიები და სამეფო სასახლეები გამოქვაბულნი, გამოჭრილნი იყვნენ კლდეებში, და ისეთი ოსტატობით, რომ ბევრად სჯობდნენ აშენებულს შენობებსა. ვარძიის აგება დაიწყო თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ხოლო დაამთავრა იგი თვით თამარ მეფემ. მანვე გამართა აქ ორი სამეფო სასახლე — ერთი საზაფხულო და ერთიც საზამთრო, რომელნიც კლდეში იყვნენ გამოჭრილნი. აქ ხშირად უყვარდა მყუდრო ცხოვრება და დასვენება საქართველოს სამაგალითო დედოფალსა. ეს დიდებული და მდიდარი მონასტერი მტრის სარბს თვალს ძლიერ იზიდავდა, რის გამოც ვარძია რამდენჯერმე იქმნა გაცარცული უსჯულოებისაგან საქართველოს სისუსტის დროსა. უკანასკნელად მეთექვსმეტე საუკუნეში ვარძია სრულიად აოხრა და ბერებიც ამოჟლიტა სპარსეთის ერთმა შაჰმა. მასუკან ვარძია ვეღარ წამოდგა ფეხზედ და ვეღარც მოღონიერდა. ბოლოს სრულიად დაცარიელდა, გაუქმდა, როცა ახალციხის მხარე საქართველოს მოსწყდა და ოსმალოს ჩაუვარდა ხელში.

მიუხედავად ამისა, 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესა, რომლის სახელზედაც აშენებულია აქაური მთავარი ეკლესია, აქ მოდიან სალოცავად მრავალი ქართველები, არა მარტო ქრისტიანები, არამედ თვით გათათრებულებიცა.

ექვსი ვერსის მანძილზედ ახალციხიდგან სამხრეთით სძევს მეორე შესანიშნავი მონასტერი — საფარა. რა დიდებული მონასტერი იყო წინად საფარა, ცხადად სჩანს იქიდგან, რომ მასში აქამომდე დაცულია თორმეტი ეკკლესია. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა სიდიდითა და სიმშვენიერით წმიდა საბას ეკკლესიას. ეს ეკკლესია ძლიერ ჰგავს გელათის ტაძარს, მხოლოდ მშვენიერი ჩუქურთმებით და ქანდაკოვანებით ბევრად ამჯობინებენ მას. საუცხოო მდებარეობა მონასტრისა ტყით შემოსილს მთებში, მეტად წმინდა და საღი ჰაერი და ანკარა წყაროები იყო იმისი მიზეზი, რომ ამ კუთხის მთავრებს, რომელთაც ათაბაგები ერქვათ, აქ ჰქონდათ აშენებული საზაფხულო სასახლე, რომელშიც ატარებდნენ ზაფხულის თვეებსა. უფრო სახელოვანი ათაბაგების სურათები მშვენიერ ქართულ ტანისამოსით აქამომდე დაცულია ამ მონასტრის კედლებზედ. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნეში ეს მხარე ჩაუვარდა სელში ოსმალეთსა. მან დევნა დაუწყო ქრისტიანებს და საფარის მონასტერი გაუქმებამდინ მიიყვანა. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ეს მონასტერი განახლეს რუსმა ბერებმა და დაისადგურეს შიგ. ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ შესანიშნავი მაცხოვრის ხატი საფარის მონასტრისა ქართველებმა წამოასვენეს მეთვრამეტე საუკუნეში და დასვენეს თბილისში ანჩისხატის ეკკლესიაში, სადაც დღესაც ასვენია.

ხელთდასხმისათვის

დავითი (ჭკადუა), ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი



თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, მაღალყოვლადუსამღვდელოესნო, პატიოსანნო მამანო, ჩემი ერის მორწმუნე შვილებო!

დღეს წარმოუდგენელი სიხარულის დღე დადგა ჩემს ცხოვრებაში. ჯერ არ შენელებულა ის დიდი მღელვარება, რომელიც მე განვიცადე ამ რამდენიმე თვის წინათ: მაშინ, მთელი რწმენით, ჩავიცვი ანაფორა.

როდესაც მე შევუდექი ამ, მართლაც მძიმე და რთულ სამსახურს, — თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, გზა დამილოცეთ. ამ ხნის მანძილზე ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: შევძლებ თუ არა, რომ გავამართლო თქვენი იმედები და, კიდევ, შევძლებ თუ არა, არ შევარცხვინო ჩემი წინაპრების — მამაჩემის პაპის და მისივე მამის — პაპაჩემის სახელი, რომელნიც უმწიკვლოდ ემსახურნენ საქართველოს ეკლესიას; არ შევარცხვინო თვით მამაჩემის სახელი, რომელიც დღესაც მისი მსახურია. ეს კითხვები ყოველთვის მაწუხებდა და მაღელვებდა.

ერთი შეხედვით, მღვდლობა თითქოს სულ არ არის ძნელი. სინამდვილეში მღვდლობა ისეთივე მძიმე სამსახურია, როგორც ექიმობა. მათ შორის ძალიან ბევრია საერთო. ექიმი ავადმყოფის მკურნალია, — ეს ასეა, მაგრამ რაგინდ კარგი მკურნალიც უნდა იყოს ექიმი, თუ მას არა აქვს უნარი მორალურადაც დაამშვიდოს და განკურნოს ავადმყოფი, ამ შრომას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება. მის კეთილ საქმეს შედეგი მხოლოდ მაშინ აქვს და მადლიც მაშინ მოსდევს, როცა იგი ავადმყოფის სულს ჩასწვდება.

მღვდლობაც ასეა... მოძღვარი მორწმუნე ხალხის სულიერი მკურნალია. არ არის იოლი მისი გზა. მღვდელი მორწმუნისათვის სიწმიდისა და სიკეთის მაგალითია, მისი გზის მანათობელი სანთელია. დიახ, სასულიერო პირი თავისი ცხოვრებით, თავისი გრძნობით მორწმუნე ადამიანებს გზის მანათობლად უნდა ევლინებოდეს. აი, ასე მესახებოდა მე ის გზა, რომელიც ავირჩიე. არ ვიცი, — შევძლებ თუ ვერ შევძლებ, მაგრამ ღმერთს მუდამ შევსთხოვდი და შევსთხოვ, მომცეს ძალა და შეწევნა ამ დიდი სამსახურის შესრულებისათვის. მუდამ ამ ფიქრით ვემსახურები ჩვენს მრავალნატანჯ, მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას.

ამჯერად კი უღელი, რომელიც მხრებზე დამედგა, კიდევ უფრო დამძიმდა. ვდგავარ რა თავდახრილი თქვენს წინაშე უღირსი მონა ღვთისა, ჩემს თავს ვეკითხები: მე რითა ვარ ღირსი ვატარო ეპისკოპოსის სახელი? სახელი, რომელსაც ატარებდა დიდი გაბრიელი, ან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, ან ანტონ ჭყონდიდელი?.. ვატარო მათსავით ღირსეულად და შეურცხვენლად... დიახაც, დიდი ტვირთი და დიდი მოვალეობაა ეს.

ერთადერთს, ისევ თქვენ მოგმართავთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ: რადგან ზეგარდმო ღმერთის ნებით მიიღეთ ასეთი დადგინება, გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის და შეეკვეროთ უფალსა ჩვენსა, რათა მან შემაძლებინოს ეს უმძიმესი სამსახური ჩემი მშობელი ხალხის წინაშე, რათა გავამართლო მე თქვენი ნდობა და იმედები, თუნდაც — ნაწილობრივ მაინც.

მე მხოლოდ და მხოლოდ ის დამრჩენია, რომ მუდამ მახსოვდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს". პავლე მოციქული, აგრძელებს რა თავის აზრს, ამბობს: „ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ-მოყუარე, სწავლულ". ამ სიტყვების აზრი დიდია, დიდია ისევე, როგორც დიდია თვით ღმერთი მაღალი. ასეთი სირთულის წინაშე ვდგავარ და ისევ შევთხოვ უფალს — მის მოწყალებას: რადგანაც მე მყო მღვდელთმთავრად ბათუმ-შემოქმედის ეპარქიისა, მანვე სახიერმან მომცეს ძალა და გონება, რათა კეთილად აღვასრულო ნება მისი. მისი ბრწყინვალებით იყოს განათებული ჩემი შავი სამოსი და რთული გზა. ამინ!



ათანასე (ჩახვაშვილი), ბოდბელი ეპისკოპოსი

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქო, მეუფეო მამაო ილია!

სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სინოდის წევრნო!

წმიდანო მღვდელთმთავარნო და ყოველნო სამღვდელონო!

დიდი ღმერთისა და ზეცის უსხეულო წმიდა ძალთა განგებით, თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის, აგრეთვე, წმიდა სინოდის ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსად გამომარჩიეთ მე — დიდებული სიონის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი და დამადგინეთ ძველთაძველი სამწყოს — ბოდბის ეპარქიის მღვდელთმთავრად.

მღელვარება მიპყრობს იმის გაფიქრებაზეც კი, რომ უნდა მივეახლო მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლისა და მანათობლის წმიდა ნინოს სავანეს; რომ მწყემსად უნდა მოვევლინო თვით მის მიერ გამორჩეულ ქართულ ეპარქიას, სადაც ინება მან საუკუნო განსვენება; რომ მღვდელთმთავრად უნდა დავუდგე ბოდბის გულმართალ სამწყსოს, იმ მორწმუნეებს, რომელთა წინაპრებს უხილავთ ჩვენი დიდისა დედის ხელში ზეაღმართული ღვთივკურთხეული ჯვარი ვაზისა — მისივე თმებით შემკული.

მღელვარების დასაოკებლად; ვუკვირდები ჩემ მიერ განვლილი ნამდვილი ცხოვრების გზას იმ დროიდან, როდესაც ფეხი შემოვდგი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინებულ



სვეტიცხოველში. მაშინაც წმიდა ტაძარში მომიყვანა იმ გრძნობამ, იმ შეგნებამ, რომ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს ეკლესიას „...ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ..." (მთ. 16: 18). მართლაც, ჩვენი ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობის ისტორიაში ძ ე ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ი სასოებით გულში იკრავს მაცხოვრის კვართს და გუშაგად უდგას ჩვენი დიდი დედოფლის — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას; ქართული ტაძარი იზიარებს თავისი ერის ღირსსახსოვარ წარსულს, ამშვენებს მის აწმყოს და იმედიანად გვახედებს მომავლისაკენ.

ვუკვირდები სიტყვის აზრს: რას ნიშნავს ეპისკოპოსი? — ეს ბერძნული სიტყვა ხომ ქართულად არის — „მაღლიდან ვჰვრეტ". მექნება თუ არა არწივის მზერა, რომ ამ მძლავრი, შორით დამნახველი ფრინველის თვალსაწიერიდან გამოვარჩიო ყოველგვარი წვრილმანიც კი ჩემი ეპარქიისა? მაგრამ ეპისკოპოსობა ხომ მარტოოდენ ჰვრეტა არ არის: მექნება თუ არა ჩვენი დიდი, კეთილი მწყემსის გულისხმიერების ნაწილი მაინც, რომ დროული რჩევა-დარიგება არ მოვაკლო ღვთისმოსავთ? არც მხოლოდ რჩევა-დარიგებით შემოიფარგლება ეპისკოპოსის საზრუნავი: შევძლებ თუ არა, რამდენადმე მივბაძო დიდ საჰეთმპყრობელს სიმტკიცეში, ქარბუქმაც არ დამაბნიოს და სწორი გზით წარვმართო მორწმუნეთა ამქვეყნიური ცხოვრება?

მარტო სიტყვით კი არა, ეპისკოპოსმა საქმით, პირადი მაგალითით უნდა დაარწმუნოს ღვთისმოსავნი; როგორც ბერმუხა ღებულობს მეხის დაცემას, — ასევე მღვდელთმთავარმა პირველმა უნდა მიიღოს თავის თავზე წუთისოფლის ჭექა-ქუხილი და მეხი, თქეში და სეტყვა; უნდა გაუძლოს განსაცდელს და გააძლებინოს სამწყოს.

ეპისკოპოსი არის ჯვრისა და ხატის წინაშე მარადიული ცეცხლით დაგზნებული წმიდა სანთელი: იგი იწვის და თავის სითბოს აღავლენს ღვთის მიმართ, რათა მისი კურთხევა გამოითხოვოს მორწმუნეთათვის; იგი ხარჯავს თავის ცხოვრებისეულ ენერგიას, რათა ღვთისმიერი სიყვარულის დიდ ძალას აზიაროს მრევლი. წმიდა მამები ამბობენ: ეპისკოპოსის გარეშე არ არისო ეკლესია და ვინც არ არის ეპისკოპოსთან, მასთან არ არის ქრისტე! ეპისკოპოსი ხომ მღვდელთმთავარია, ხოლო მღვდლობა თვით მამაზეციერმა განამტკიცა ფიცით: „შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა" (ფსალმ. 109: 4).

ვცდილობ გავიაზრო ჩემი დღევანდელი მდგომარეობა და თავს უღირსად ვგრძნობ მაღალი ნდობის გამო, მაგრამ ვერ დავთმობ ჩვენი სასულიერო ცხოვრების უმაღლეს სათნოებას — მორჩილებას და ამიტომ ქედმოხრით ვასრულებ ჩვენი უწმიდესი და უნეტარესი საჰეთმპყრობლის ღვთაებრივ ნებას, ჩვენი წმიდა სინოდის მოწოდებას, რომ დავიკავო ღვთივკურთხეული მაღალდასაჯდომელი.

სასოებით აღმავსებენ მაცხოვრის სიტყვები: „...მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა" (მათე. 28:20), ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი არ მიმატოვებს ამ ძნელსა და ღირსთა სავალ გზაზე, რომელზედაც ამქვეყნად ჩემი სულის უკანასკნელ ამოფშვინვამდე უნდა ვატარო ესოდენ საპატიო და მძიმე ტვირთი. უკეთუ ღმერთმან მშვიდობისამან გამომარჩია მე, — დამიფარავს კიდეც და გამომიწვდის დახმარების ხელს, როგორც თავის დროს აღუპყრა ხელი მოციქულ პეტრეს.

იესო ქრისტეს მცნება მიმიძღვის იქ, „სადა იგი სამკალი ფრიადი არს და მომკალნი მცირედ". ამიტომაც ვპოულობ ჩემს თავში ძალას, რომ დავთრგუნო შიში და გავყვე უფლის ხმას მართლმადიდებელ სავანეში.

ჩვენი უფლისა და მაცხოვრის წინაშე მუხლმოდრეკილი აღვავლენ ლოცვას ჩემი გამორჩევისათვის!

მდაბლად ქედს ვიხრი თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის წინაშე — მეუფეო, მამაო ილია!

ნდობისათვის მადლობას გწირავთ თქვენ, წმიდა სინოდის წევრნო!

ახალ ხარისხში დადგენილი მოგესალმებით თქვენ — წმიდანო მღვდელთმთავარნო და ყოველნო სამღვდელონო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისანო!



პირველთაგან იყო სიტყვა...

ხვთისო შალიკაშვილი, მთავარდიაკონი

წმიდა ანდრია პირველწოდებული

30 ნოემბერი ანდრია მოციქულის ხსენების დღეა მთელს საქრისტიანოში, ამავე დღეს იხსენიება ჩვენში ვახტანგ გორგასალი: ქართლის ძლევამოსილი მეფისა და ეროვნული წმიდანის სახელი ჩაწერილია ჩვენს საეკლესიო კალენდარში იმ მოციქულის გვერდით, რომელსაც პირძნული ძველი ტრადიცია მიაწერს მიმოსვლას ჩვენს მხარეში და ზოგიერთი ჩვენი ტომის მოქცევას ახალი აღთქმის სჯულზე. ეს ტრადიცია წმ. მამის ორიგენის დაკარგული თხზულებიდან იღებს დასაბამს, მისი გამოძახილია ევსებიოს კესარიელის (260—339) ცნობა „საეკლესიო ისტორიაში". ჩვენი მაცხოვრის მოციქულნი და მოწაფენი განიფანტნენ მთელს მსოფლიოში: თომას, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, წილად ხვდა პართია; ანდრიას — სკვითია; იოანეს — ასია; ხოლო პეტრემ უქადაგა დიასპორის იუდეველებს — პონტოში, გალატიაში, ბითვინიაში, კაპადოკიაში და ასიაში; ბოლოს რომს ჩავიდა, სადაც თავდაყირა აცვეს ჯვარს; ასე მოისურვა, რათა უარესად გატანჯულიყო (III,1).

„სკვითია" მეტად ფართო გეოგრაფიული ტერმინია ამ დროისათვის: მასში იგულისხმება შავი ზღვის როგორც ჩრდილოეთი, ისე აღმოსავლეთი სანაპირო. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სკვითია" მიგვანიშნებს მოციქულის ძნელ გზაზე, რაც აისახა მის „მიმოსვლისა და ქადაგების" წიგნში და, აგრეთვე, რუსულ მატიანეში, რომლის მიხედვითაც, მას უქადაგია იმ მხარეში, სადაც ახლა „კიევი დგას", და აღუმართავს ჯვარი; მიუღწევია იმ ადგილამდე, სადაც შემდგომ გაშენდა ნოვგოროდი (და სოფელი გრუზინო) და სადაც აგრეთვე აღუნიშნავს თავისი კვალი: მიწაში ჩაურჭვია კვერთხი. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა საშიში გზა უნდა გაეარა მოციქულს, ასეთ შორეულ ქვეყანაში მისვლამდე.

დროთა განმავლობაში კონკრეტდება „სკვითიას" შინაარსი: ეფრემ მცირე იმოწმებს ბერძნულ თხზულებას („მიმოსვლა წმიდათა მოციქულთა"), სადაც ნახსენები ყოფილა მისი ღვაწლი, სამოციქულო საქმე: „ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაი შორის ავაზგიაისა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვლაი ოსეთად". გიორგი ათონელი უკვე თამამად იყენებდა ამ არგუმენტს ანტიოქიის პატრიარქთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამო დავისას: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზით, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და მმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი". ამ გადმოცემის მიხედვით, რასაც ეურდნობოდა გიორგი ათონელი, ანდრიას სამხრეთიდან, პონტოდან (სადაც, როგორც ჩანს, დაშორებია თავის მმას პეტრეს, რომისაკენ წასულს) ჩრდილოეთის მიმართულებით გაუვლია ჩვენი ქვეყანა ნიკოფსიამდე, სადაც დაუტოვებია თავისი თანამგზავრი — მოციქული სიმონ კანანელი.

ანდრიას სამოციქულო გზაზე ნახსენებია ტრაპიზონი, „რომელ არს სოფელი მეგრელთა", საიდანაც წასულა ქართლის ქვეყანაში, „რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების". ყოფილა კლარჯეთში და სამცხეშიც, რომლის საზღვარზე, მთაზე აღუმართავს რკინის ჯვარი (და დასაბამი მიუცია დღემდე არსებული ტოპონიმისთვის); დამდგარა სოფელ ზადენ-გორაში, სადაც შეუმუსრავს ყრუ კერპნი ხატის ძალით. აქ, სამცხეში, ძოუმოქმედნია მას მკვდრეთით აღდგინების სასწაული — გაუცოცხლებია ვინმე დიდებული ქვრივი ქალის, სამძივარის ვაჟი და მოუქცევია სამძივარი ქრისტეს სჯულზე; უჩვენებია მესხებისთვის ძალი ღვთისმშობლის ხატისა, რომლის წყალობითაც გააცამტვერა არტემისისა და აპოლოს კერპები. სრულიად მესხთა და სამძივარის თხოვნით, დაუტოვებია მათ ქვეყანაში „ხატი ესე თვით ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, პირსა ზედა დადებით გამოსახული" — ე. წ. ყოვლადწმიდა აწყვერის ღვთისმშობლის ხატი. ყოფილა სვანეთში, გაუვლია მთელი აფხაზეთი და აქედან გადასულა ჯიქეთს, სადაც ვერ გაჭრა მისმა ქადაგებამ, რადგან იქ ყოფილა ხალხი „ფიცხელი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უმდენნი".

კიდევ სხვაგან, სხვა გადმოცემებში მოხსენიებულია სიმბოლური ეპიზოდი მის მიერ ვეშაპის განგმირვისა ჯვრისსახიანი რკინის კვერთხით (რომელიც მუდამ თან სდევს ანდრიას მის სამოციქულო გზაზე); არაფანტასტიკური, მაგრამ მაინც სიმბოლურად ჩასათვლელი ეპიზოდები — ავაზაკთა მოქცევა გზაზე და კვლავ კერპების შემუსვრა — ნიშნად ძველის შემუსვრისა და მისთვის ახალი ბუნების მინიჭებისა. ამავე მიზანს ემსახურება შემთხვევები მკვდრეთით აღდგენისა, რომლის პირველი მაგალითი სახარებაშია და რასაც, უშუალოდ, როგორც შედეგი მოსდევს მრავალი წარმართის მოქცევა. ხალხური თქმულება ინახავს ხსოვნას ჩვენი მოციქულის ყოფნისას დღევანდელ მარტვილში, რომლის მიდამოები განსა-



სამთავრო, აღმოსავლეთის ფასადის ფრაგმენტი (XI ს.)

ადგილს, სადაც ეს ეკლესია აშენდა, მისივე სახელი — „სიონი“ ეწოდა. შემდეგ მომრავლდა ამ სახელწოდების ტაძრები და... შემორჩა სახელი — სიონის სიონი (ჯავახეთი, XV).

კუთრებული სიწმიდით არის მოსილი; ამ სამოთხის შესადარ ბორცვზე, სადაც ახლა ტაძარია, მდგარა უზარმაზარი მუხა, „დიდი ჭყონი“, რომელიც მოუჭრია ანდრიას და მის ადგილას ჯვარი აღუმართავს.

ალბათ ყველაზე ძნელი გზა შეხვდა სამოციქულოდ ანდრიას, თუმცა აღსასრული ყველას ერთი ჰქონდა — მოწამებრივი სიკვდილი. მას უხდებოდა ქადაგება ისეთ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობას კაციჭამიებად იხსენიებს ანტიკური გადმოცემები. ჯიქეთში ყოფილას დაუცავს იგი ღვთის მადლს, რათა არ მომკვდარიყო უგუნურ ველურთა ხელით, არამედ წამებულიყო ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, ცივილიზებული ხალხის ხელით „განათლებულ ქვეყანაში“. მოციქულნი, რომელნიც უნდა გაფანტულიყვნენ დედამიწის ზურგზე საქადაგებლად, შერიგებულნი იყვნენ ოავიანთ ბედს, რადგან ადრევე ჰქონდა მათთვის ნათქვამი მოძღვარს, როცა გაანდო მათ მოწვევნადის საიდუმლო: „მაშინ მიგცნენ თქვენ ჭირსა და მოგწყვიდნენ თქვენ და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათვის“ (მათე, 24,9).

ამაღლების შემდეგ, გვაცნობს ჩვენს მატიანეში ასახული წმიდა გადმოცემა, „რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა და ჩვენებით ეჩვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქვა: ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ (ქ. ცხ., 1, გვ. 38). ასე ზეგარდამო გადმოდის მესაია: ამაღლებული მაცხოვრიდან ღვთისმშობლის წიაღ სულიწმიდით მოფენილ ანდრიამდე. მან უნდა უქადაგოს საზეპურო ეს და მიუტანოს მას ღვთისმშობლის სახე წიაღთან გამოხატული ყჩჩითურთ.

სახარების ავტორებს მიზნად არ ჰქონიათ მოციქულთა ინდივიდუალური თვისებებისა და მათი პიროვნული ხასიათის წარმოჩენა. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ზოგიერთ მათგანს, ვიცით, რომ ყველას ერთი ძალი აქ ჰქონია და სხვადასხვა იყო მათი დანიშნულება როგორც მაცხოვრის სიცოცხლეში, ისე მისი აღდგომა-ამაღლების შემდეგ და საერთოდ, ქრისტიანობის ისტორიაში. ცხადად გამორჩეულია პ ე ტ რ ე, რომელსაც ადრე ერქვა ს ვ ი მ ო ნ და უწოდა მოძღვარმა „კლდე“ (არამეულად „კეფა“ ანუ „პეტროს“ ბერძნულად) და უთხრა პროვიდენციალური აზრის შემცველი სიტყვები: „რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და კარნი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე, 16, 18); მასვე ჩააბარა კლიტენი ცათა სასუფევლისა. მტკიცე იყო პეტრე და მოძღვრის უერთგულესი მოციქულთა შორის, თუმცა მასაც მეორია ადამიანური სისუსტე: სამგზის უარყო მამლის ყივილამდე თავისი მოძღვარი. გამორჩეულია ნ ა თ ა ნ ა ე ლ ი — იგივე ბ ა რ თ ლ ო მ ე, რომელზეც თქვა იესომ პირველ დანახვისთანავე: „აჰა, ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკვა არა არს“ (იოანე 1, 47); მასთან ჰქონდა იესოს საიდუმლოებრივი დიალოგი, სადაც სიმბოლურობა ენიჭება ლეღვქვეშ ნათანაელის ჯდომას, დაბოლოს, მისთვის ნათქვამი — „უფროისი ამათსა იხილო“ (იოან. 1, 48—50). ცნობილია თ ო მ ა ს თვისება, რომ იგი იყო „ურწმუნო“ — სიტყვის მიმართ და ჯვარცმულის ჭრილობებიც კი ხელით მოსინჯა, რათა ერწმუნა მისი აღდგომა. გამორჩეულია ი ო ა ნ ე — მოწაფე, „რომელი უყვარდა იესოს“, — ავტორი მეოთხე, განსხვავებული სახარებისა და გამოცხადებისა, რის გამოც იწოდა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ა დ; მისი ნიშანია არწივი — ძლიერი და აღმაფრენილი აზრის სიმბოლო.

გამორჩეულია ა ნ დ რ ი ა ც, რადგან იგი არის პირველწოდებული მოციქული, როგორც ჩვენი ტრადიცია უხმობს მას: „თავი მოციქულთა“, რითაც პეტრეს რანგშია აყვანილი. ვინ იყო იგი და რა განსხვავებული თვისება ჰქონდა, მას რომელიც ატაბეებდა ბერძნულ სახელს (ანდრეიას — „სიმხნე“)? მისი სამშობლო იყო „გალილეა წარმართთა“ (მათ. 4, 15), — იერუსალემისგან და ტრადიციულ იუდეველთაგან შეძულებული და გაკიცხული, საიდანაც არავინ მოელოდა ხსნას. მაგრამ იგი შეიქნა მაცხოვრის სანატრელი მხარე, სადაც მან თავისი მიწიერი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, — აქედან დაიწყო მისი სასწაულმოქმედება: კანას ქორწილის სასწაულიდან აღდგომისშემდგომ გამოცხადებამდე, რადგან ისურვა, რომ სწორედ გალილეაში ჩვენებოდა მათ („ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარით ძმათა ჩემთა, რათა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე“ (მათ. 28, 10). გენისარეთის ანუ გალილეის ზღვის ნაპირს მოხდა ეს ამბავი და, ნიშანდობლივია, რომ სწორედ აქ შეიძინა პირველი მოწაფეები: „და იქცეოდა რაი იესო ზღვის კიდესა მის გალილეაისასა, იხილნა ორნი ძმანი, სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმაი მისი, ითხევლიდეს რაი სათხეველითა ზღვასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხევლე“ (მათ. 4, 18). ასეთია ანდრიას პირველი ხსენება ახალ აღთქმაში: მეთევზენი იყვნენ ეს ორნი ძმანი და მაცხოვარმა ისინი წაიყვანა მოწაფეებად, რათა ექცია „კაცთა მებადურებად“. მოდით, შემომიდექითო, უთხრა და ამათაც უყოყმანოდ დააგდეს ბადეები, გაჰყვნენ მას. მტკიცე რწმენა და უყოყმანობა — აი, რა ამკობს ამ ორ მოციქულ ძმას; თუმცა კი მათე არ ამბობს, რომ ანდრია პირველწოდებულია.

ვნახოთ როგორ მოგვითხრობს მოციქულთა პირველწოდების ამბავს იოანეს სახარება. საგულისხმოა, რომ ყოფითი ფაქტების მიმართ მუნწი ეს დოკუმენტი უფრო მეტს გვამცნობს ანდრიას შესახებ, ვიდრე თხრობითი, ე. წ. სინოპტიკური სახარებები; კერძოდ: ანდრიას სამშობლო ქალაქი იყო ბეთსაიდა, ერთი იმ ქალაქთაგანი, „სადა-იგი იქმნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი“, ე. ი. ქრისტესნი (მათ. 11, 20); მაგრამ სავალალო მოწევნადი უწინასწარმეტყველა მას მაცხოვარმა: „ვაი შენდა, ქორაზინ, და ვაი შენდა ბეთსაიდა!“ ... რადგან არ შეინანეს. ასეთი ბედი ელოდა ბეთსაიდას, მიუხედავად ძმისა, რომ ეს ქალაქი სამი მოციქულის — ანდრიას, პეტრეს და ფილიპეს (შესაძლებელია, ნათანაილისაც) სამშობლო იყო.

იგივე მტკიცე რწმენა და უყოყმანობა ახლავს ანდრიას მაცხოვართან შეხვედრისას იოანეს მონათხრობში. ეს სახარება არ ამბობს, რომ პირველი ორი მოციქული მებადური იყო, სამაგიეროდ ინახავს მნიშვნელოვან ცნობას: ისინი იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები იყვნენ. მაგრამ არა ანდრია და პეტრე, არამედ ანდრია და იოანე — სახარების ავტორი, რომელიც არ ახსენებს თავის სახელს. ამრიგად, იოანე თავად იყო დამსწრე პირველწოდებისა და ამიტომაც მეტი ისტორიული სიმართლეა შემონახული მის სახარებაში. იგი ანდრიას გვერდით იდგა, როცა მათმა მოძღვარმა მოახლოებულ იესოზე თქვა: „აჰა, ტარიგი ღმრთისა“ (იოანე 1, 36). საკმარისი

იყო ამ სიტყვების გაგონება, რომ ამ ორ მოწაფეს დაეტოვებინა თავიანთი ძველი მოძღვარი და შედგომოდნენ ახალ მოძღვარს; მსგავსად იმ მებაღურებისა, იესოს დაძახილზე რომ დაგდეს სათხევლები, როგორც უქმი იარაღი, ამათაც იგრძნეს, რომ უქმდებოდა მათი მოძღვრის მოღვაწეობა, რადგან იგი ნეხოლოდ წინამორბედი იყო. თავადაც ხომ ამბობდა: „შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“ (იოან. 1, 30). იგი ამზადებდა გზას და როგორც კი გამოჩნდა გზა („მე ვარ გზა“), ის ორი მოწაფეც დაადგა ამ გზას უკანმოუხედავად. წინამორბედი ამ სიტყვებით ანიშნებდა მათ, რომ გაჰყოლოდნენ კრავს, „რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოან. 1, 29), და გამხდარიყვნენ „კრავის მოციქულნი“ (გამოცხ. 21, 14). შორეული დროიდან მოდის წინასწარმეტყველება კაცობრიობის მხსნელზე, რომელიც გამოხატავს სახეს კრავისას, ცოდვათა გამოსასყიდ მსხვერპლად რომ მიჰყავთ: „ჭეშმარიტად მან წაიღო ჩვენი სნეულებანი და იკისრა ჩვენი სატანჯველი, ჩვენ კი გვეგონა, რომ ღვთის მიერ იყო იგი ნაგვემი და მოწყლული და დამცირებული. იგი დაიჭრა ჩვენი ცოდვების გამო და იგვემა ჩვენი უკუდმართობის გამო, დაისაჯა ჩვენი მშვიდობისათვის და ჩვენ მისი ჭრილობების წყალობით განვიკურნეთ. ჩვენ ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, ყველანი ჩვენ-ჩვენს გზაზე მივდიოდით, ხოლო უფალმა მას დააკისრა ყოველი ჩვენგანის დანაშაული: იგვემებოდა და როცა სატანჯველში იყო, პაგე არ დაუძრავს იმ კრავივით, რომელიც დასაკლავად მიჰყავთ...“ (ისაია 53, 4–7).

ეს კრავი გაიხსენა ნათლისმცემელმა იესოს დანახვაზე და ამავე კრავის სახით იხილა მხსნელი „გამოცხადებაში“ ნათლისმცემლის ერთ-ერთმა მოწაფემ — „კრავი მდგომარე, ვითარცა დაკლული“ (6,6); მერე აპოთეოზი კრავისა, როცა მრავალი ანგელოზის ხმა ამბობდა: „ღირს არს კრავი იგი დაკლული მიღებად ძალისა და სიმდიდრისა და სიბრძნისა და პატივისა და კურთხევისა“ (5, 12); ბოლოს იხილა, რომ ეს კრავი იდგა სიონის მთაზე მის მიერ გამოსყიდულებთან ერთად, მოესმა გალობა კრაკუნი და ხარება კრავის ქორწილისა. ალბათ, იოანე ღვთისმეტყველის ეს ხილვა დასაბამს იღებს ნათლისმცემლის სიტყვებიდან: „აჰა ტარიგი ღმრთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი“, რომელნიც ესმა აგრეთვე ანდრიას და გულს ჩაებეჭდა.

რა იყო პირველი მოქმედება ანდრიასი მას შემდეგ, რაც მან და იოანემ უწოდეს რაბი („მოძღვარი!“) ტარიგად წოდებულ ძეს კაცისას, მიაცილეს სახლამდე და ის დღე მასთან გაატარეს? პირველი ის იყო, რომ ანდრიამ მოძებნა თავისი ძმა სვიმონი და ახარა რწმენით: „ვპოვეთ მესია“ (იოან. 1, 14) და ახალ მოძღვარს მიუყვანა. ამით შესძინა ქრისტიანულ მოძრაობას მოციქული პეტრე — კლდე. პეტრე შეიქმნა თავი მოციქულთა (სინოპტიკურ სახარებებში მოციქულთა ჩამოთვლისას პირველ რიგში იხსენიება იგი), ხოლო ანდრიას შერჩა პირველწოდებულის დირსება. ქართული ეკლესიის ავტორიტეტისა და დამოუკიდებლობის დასაცავად თავის დროზე ამგვარ ინტერპრეტაციას აძლევდა გიორგი ათონელი ზემოხსენებულ ეპიზოდს: „წამიდაო მეუფეო, — ეუბნებოდა ანტიოქიის პატრიარქს, — შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრიას და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ“.

შესაძლებელია, ანდრიას ხასიათის გასაგებად მნიშვნელობა ჰქონდეს იოანეს სახარების იმ ეპიზოდებს, სადაც მას სხვები მიჰყავს მაცხოვართან. სვიმონის შემთხვევის გარდა არის კიდევ ორი შემთხვევა. ხუთიათასი კაცის დაპურების სასწაულის წინ მან ჰპოვა ვინმე ყრმა, რომელსაც ხუთი პური და ორი თევზი ჰქონდა. ყრმა გახდა სასწაულმოქმედების საშუალება მესამეჯერ წარმართთა (ანუ ელინთა) ეპიზოდში. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფილიპე ბეთსაიდელი, ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი ოთხთაგან, ანდრიას გარეშე ნაბიჯს არ დგამს (ჩამოთვლაში მათი სახელები უმეტესწილად ერთად იხსენიება). ფილიპეს მარტომ არ იკისრა წარმართთა მიყვანა იესოსთან, არამედ ჯერ ანდრიას მოეთათბირა და ერთად მიუყვანეს მას წარმართნი. ეს ეპიზოდი მნიშვნელოვანია. აქ თქვა იესომ ყველას გასაგონად განთქმული სიტყვები: „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაი-მე ვთქვა? მამაო, მიხსენ მე ჟამისა ამისგან? არამედ ამისათვის მოველ ჟამსა ამას“ (იოან. 12, 27).

მოძღვარმა რიცხვით ათორმეტი ამოარჩია მოწაფეებად, მაგრამ არა ყველას, არამედ თორმეტივეს უცხადებდა ხოლმე იგი საიდუმლოებას, არამედ მხოლოდ რჩეულთა, რომელთა შორის არის ანდრიაც. ჯვარცმამდე ორი დღით ადრე ზეთისხილის მთაზე უკანასკნელ ქადაგებაში მეორედ მოსვლის ნიშნები ამცნო ოთხს, რომელთაც სახელდებით ჩამოთვლის მარკოზი. ესენია: პეტრე, იაკობი, იოანე და ანდრია (მარკ. 13, 3). არა იგავურად, არამედ აშკარად ელაპარაკა ამ ოთხს მაცხოვარი: „ხოლო თქვენ იხილეთ და ეკრძალენით. აჰა ესერა, წინასწარ გითხარ თქვენ ყოველი“ (მარკ. 13,23).

როგორც მოციქულთა უმრავლესობამ, ანდრიამაც მოწამებრივად დასრულა სიცოცხლე. გადმოცემის თანახმად იგიც ჯვარზე ყოფილა გაკრული თავის ძმასავით, ოღონდ განსხვავებული სახე ჰქონდა მის ჯვარს (ე. წ. წმ. ანდრიას ჯვარი). თქმულების მიხედვით იგი ჯვარზეც არ დადუმებულა, იქიდანაც ქადაგებდა ოთხ დღეს და ოთხ დამეს, ვინაიდან მილურსმული არ ყოფილა და ტანჯვაც გახანგრძლივებულა: „ძლიერ იყო ხმა და სიტყვა მისი და მხიარულად ასწავებდა“. ეს მომხდარა 60 წელს. წმ. იერონიმეს ცნობით, 357 წელს კონსტანტი მეორეს გადმოუსვენებია ანდრიას ნაწილნი პატრასიდან, მისი მოციქულობის საბოლოო ადგილიდან, კონსტანტინეპოლში. ამავე ხანიდან ღღესასწაულობს ბერძნული ეკლესია წმ. ანდრია პირველწოდებულის დღეს.

ნეტარი ავგუსტინე და მისი „აღსარება“

(პირველი წიგნის მიმოხილვა)

ნეტარი ავგუსტინე (IV—V სს), ჰიპონის ეპისკოპოსი ერთი იმათთგანია, ვინც დააფუძნეს პატრისკისა ანუ ეკლესიის მამათა მოძრაობა პოლიტიკურ მიმდინარეობად და ფილოსოფიურ მოძღვრებად (III-V სს), ვინც განავითარეს ქრისტიანული ღვთისმეტყველება და შესძლეს განუყოფელი ჭეშმარიტების — ერთარსება და სამსახოვანი ღმერთის გონითი წვდომა.

ნეტარი ავგუსტინეს მოწოდება იყო ჩვენი უფლისა და მაცხოვრის სარწმუნოების შუქზე განეხილა კაცობრიობის მაშინდელი ნამოქმედარი და ნააზრევი, ადამიანთათვის გადაეშალა მანამდე უცნობი ღვთისმიერი ესთეტიკური სამყარო და დაემკვიდრებინა ცხოველმყოფელი ქრისტიანული ეთიკური ნორმები.

ჰიპონის ეპისკოპოსი ბევრს ზრუნავდა ადამიანისათვის, უფრო კი მისი საზრუნავი იყო ადამიანის მომავალი. ეს გარკვევით აისახა ამ დიდი მოაზროვნის თხზულებებში, განსაკუთრებით „აღსარებაში“. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იგი იმდროინდელი საზოგადოების ბევრი წევრის აღსარებაა და თანამედროვე ადამიანიც საცნაურს მრავალს ჰპოვებს მასში. ეს იმიტომ, რომ მეტად ფართოა ნეტარი ავგუსტინეს ინტერესთა წრე, თუნდაც მარტო ამ პირველ წიგნში ასახული.

I. „აღსარება“ იწყება უზენაესისადმი მიმართვით, მასთან კავშირის დამყარების ცდით: „... განა ჯერ არს შეცნობა შენი თუ ღაღადისი შენდამი“. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ „... ღაღადებს შენდამი, ღმერთო, ჩემი რწმენა, რომელიც შენ მომეცი მე, რომელიც შთამბერე კაცქმნილი შენი ძის მეშვეობით, შენი აღმსარებელი წირვა-ლოცვის მეშვეობით“.

II. ნეტარი ავგუსტინე ცდილობს, გაიაზროს ადამიანის ადგილი სამყაროში და ღმერთის გამოცხადება ადამიანურ ყოფიერებაში: „სად მოვა ჩემში ღმერთი... დედამიწისა და ცის ფარგლებს გარეთ სად გავიდე, რომ იქიდან მოვიდეს ჩემთან ღმერთი, რომელმაც თქვა: „ცა და დედამიწა აღმივსია ჩემით!“.

III. ჰიპონის ეპისკოპოსს აინტერესებს ღვთის სრული განფენილობა. მან იცის, რომ ღვთისმიერი სამყარო მხოლოდ დედამიწა და აქედან ხილული ცა არ არის: „სად იღვრება შენი ეს ნარჩენი, როდესაც ცა და დედამიწა ავსებულია?“ აქვეა მსჯელობა ერთარსება ღმერთის განუყოფლობის თაობაზე: „იქნებ ყველგან მთელი ხარ შენ და ვერაფერი იტევს შენს მთელობას?“ ამ რიტორიკული შეკითხვით (როცა პასუხი ნაგულისხმევია თვით საკითხის დასმაში) ავტორი გვეუბნება, რომ ღმერთი არ უნდა წარმოვიდგინოთ რაღაცით შემოფარგლულ არსებად თუ არსებობად; თუმცა სწორედ მის შემოზღუდვას ცდილობს ადამიანის მიწიერი გონება, რომელიც ვერ გასცილებია საგნებისა და მოვლენების წუთისოფლურ განზომილებებს.

IV. ღვთის გონითი წვდომისათვის „აღსარებაში“ წარმოდგენილია მისი მახასიათებლები: „უმაღლესი, უნეტარესი, უძლიერესი, ყოვლისშემძლე, უსათნოესი, ყოვლად სამართლიანი...“ ამავე დროს ადამიანის მიერ ღმერთის მიუწვდომლობა, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხველი ცნებებით არის გამოხატული; სინამდვილეში კი აქ გამოყენებულია ეგრეთწოდებული კონტრადიქციული მეთოდი (დაპირისპირებულით განსაზღვრა), რომელიც საშუალებას გვაძლევს, არამც თუ მთლიანობაში, არამედ როგორც ერთი ატრიბუტი აღვიქვათ ურთიერთსაპირისპირო ცნებები: „ვინა ხარ შენ, ღმერთო ჩემო... თუ არა ღმერთი უფალი?... უახლოესი და უშორესი... უძრავი და მიუღწეველი... მარად ჭაბუკი და მარად მოხუცი... მუდამ მოძრავი და მუდამ მდგრადი...“ ავტორი ასე გამოხატავს ღმერთის ყოვლისშემძლეობას: „...უცვლელო, რომელიც გამოსცვლი ყველაფერს... ეძებ, თუმცა შენ ყველაფერი გაქვს; შენ გიყვარს და არა მღელვარებ... ეჭვიანობ და არა თრთი, ნანობ და არაფერს ინაღვლი, მრისხანებ და რჩები მშვიდი;... არაფერი გჭირდება და ხარობ მონაგებით, ...შენ მოგეცემა მეტობით, რათა ვალში დარჩე, მაგრამ განა აქვს ვინმეს რაიმე, რაც შენით არ არის?“

V. „დაბადებიდან“ აქ მოყვანილია ღვთის სიტყვა: „...ადამიანს არ ძალუძს მნახოს მე და ცოცხალი დარჩეს“ (გამ. 33:20). ნეტარმა ავგუსტინემ ეს იცის და მაინც მზად არის, მის წუთიერ ხილვას ანაცვალოს თავისი ამქვეყნიური ცხოვრება: „ნუ დაფარავ ჩემგან შენს სახეს: მოვკვდები მე, თუ არ მოვკვდები, ოღონდ ვიხილო იგი“. რას ნიშნავს ავტორისეული — „თუ არ მოვკვდები?“ ღმერთი ხომ პირდაპირ ამბობს, რომ მისი მხილველი ძე-ხორციელი ვერ გადარჩება! ავტორი უთუოდ ფიქრობს, რომ ღმერთთან შეხვედრის შემდეგ იგი განაგრძობს იმქვეყნიურ ცხოვრებას, თუკი მას ექნება მისატევებელი ცოდვები.

შემდგომ აბზაცში სწორედ ცოდვების თაობაზეა მსჯელობა: იმდენად დიდია მორწმუნის სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, რომ ღმერთს, „... რომელიც არის ჭეშმარიტება“, ვერ დაუმალავს თავის ცოდვებს; პირიქით, უზენაესი მოსამართლის წინაშე ადამიანი თვით იქნება საკუთარ შეცოდებათა მამხილებელი.

VI. ნეტარ ავგუსტინეს აინტერესებს ისიც, თუ ღვთისმიერი უსასრულობიდან როგორ იშვა ის დროში თავისი მშობლების სხეულით, როგორია გარდასახვის ეს გზა: „... მე არ ვიცი, საიდან მოვსულვარ აქ, ასე ვთქვათ, ამ მკვდარ სიცოცხლეში თუ ცოცხალ სიკვდილში?“ ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ავგუსტინესთან თავისებურად აისახა მაშინდელ ეპოქაში გაბატონებული მეტამორფიზმის იდეა (ლუკა პატრელი, ფსევდო-ლუკიანე, აპულეოსი), რაც შემდგომ ერთგვარ საფუძვლად დაედო პლოტინისეულ (204—270 წწ.) ემანაციის თეორიას; მაგრამ ეს იდეა უარყო ოფიციალურმა ქრისტიანობამ (იხ. ფოტიოსი IX ს.). თუმცა აქ მთავარია ის, რომ ავტორი შესანიშნავად ფლობს ინტროსპექტულ (თვითდაკვირვების) ფსიქოლოგიურ მეთოდს, რაც ჯერ კიდევ პლატონმა შეიმუშავა როგორც ადამია-

ნის მიერ საკუთარი თავის შემეცნების საშუალება. მაგრამ ის ამითი არ იზღუდება და მიმართავს შედარებასაც, განსაკუთრებით როცა უნდა თავისი სიყმაწვილის გახსენება.

ბავშვის ბუნების გახსნისას, ნეტარი ავგუსტინე უარყოფითს დამოკიდებულებას კი არ ამყღავნებს მის მიმართ, არამედ გვისაბუთებს უარყოფის უარყოფის ფილოსოფიური კანონის მოქმედებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის იდეალი იქნებოდა არა ფიზიკური და გონებრივი სრულყოფა, არა ჰარმონიული განვითარებისაკენ სწრაფვა, არამედ — ბავშვური უსუსურობა, ან, როგორც ავტორი აღნიშნავს, ის ასაკი, როდესაც ძუძუთა ყმაწვილი პირის დაფჩენით გამოხატავს ჭამის მოთხოვნილებას: „...თუ მე ახლა მოვიქცევი ასე და პირდაფჩენილი გავიწევი... საკვებისაკენ... ხომ სრულიად სამართლიანად დამცინებენ...“.

ღვთის უშუალო ხილვა ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამორიცხულია. ამიტომ ნეტარი ავგუსტინე ყველგან და ყველაფერში ეძებს მის ნიშანს; უპირველესი და უმთავრესი ნიშანი კი ის არის, რომ ადამიანს არ ძალუძს თავისი თავის შექმნა: „... შენა გვქმნი ჩვენ, ღმერთო, შენ, ვისთვისაც არ არსებობს სხვაობა ყოფიერებასა და სიცოცხლეს შორის, რადგან შენა ხარ სრულყოფილი ყოფიერება და სრულყოფილი სიცოცხლე“.

ღვთისმიერი დრო დაუსაბამო და უსასრულოა, მისი „დღეს“ ერთად იტევს წუთისოფლის განზომილებებით მიღებულ დროის ცნებებს — „გუშინ“, „დღეს“, „ხვალ“ (ნამყოს, აწმყოსა და მყოფადს). ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს წინაპირობა იმისა, რომ აღვიქვათ და გავიაზროთ დრო-სივრცის ერთიანობის ფილოსოფიური პრობლემა. ამის შემდეგ უფრო გასაგებია ავტორის მსჯელობა ღმერთთან ურთიერთობის თავისებურების თაობაზე, ვინაიდან ღვთისმიერი დრო არ ემთხვევა წუთისოფლურს (როგორც განსხვავებულ განზომილებათა მქონენი), ამიტომ ადამიანს „.. ურჩევნია მოგძებნოს შენ მოუგნებლად, ვინემ მოძებნილს ვერ მოგაგნოს შენ“.

VII. ღმერთმა შექმნა ადამიანი, მაგრამ ცოდვები მას არ შეუქმნია. ცოდვების არსებობით არის გაპირობებული ბოროტება, თუმცა ამ უკანასკნელს თავისი სუბსტანცია არა აქვს, — იგი ადამიანური ცდომილებებით საზრდოობს: ადამიანი მართებულად ვერ ეუფლება ღვთისმიერი ბუნების საგნებსა და მოვლენებს, სწორად ვერ წარმართავს თავის ურთიერთობებს საზოგადოებაში და ამიტომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სცოდავს. ამ მხრივ იგი განსაკუთრებით უსუსურია ბავშვობის წლებში, როდესაც ცდილობს, რომ თავის უმწიფარ ნებას დაუმორჩილოს ყველაფერი; ღვთისმიერი საწყისი კი ის არის, რომ მან ყმაწვილს „შთაბერა ყველა სულიერი არსებისათვის დამახასიათებელი სწრაფვა სიცოცხლის სისრულისა და დაცვისა“. მაგრამ ბავშვს არ შეუძლია იმისი გააზრება, რომ ერთარსება ღმერთისგანაა ყველაფრის საზომი, რომ ის „... ყველაფერს აწესრიგებს თავისი კანონის მიხედვით“ (კანონის ობიექტურობას ბევრი სრულასაკოვანიც ვერა სწვდება). შეგნებულმა ადამიანმა უნდა უარყოს თანდაყოლილი უარყოფითი ჩვევები, რომლებიც შემდგომ ახალი შეცდომებისაკენ და, საბოლოოდ, ბოროტებისაკენ უბიძგებენ მას.

VIII. ავტორის აზრით, მიზეზშედეგობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფაცხოვრებითი მომენტების ჯაჭვში არაფერი ქრება: განვითარების ერთი საფეხურიდან ადამიანი მეორეზე გადადის, ყმაწვილობის შემდეგ დგება ყრმობა: „მაგრამ ყმაწვილობა არ გამქრალა, — სად წავიდა იგი?“

აქვე საყურადღებოა მსჯელობა, თუ ადრეულ ასაკში (ყმაწვილობისას) როგორ ეუფლება ბავშვი ენას და რანაირად უვითარდება მას აზროვნება: „მე ვხედავდი და ვიხსომებდი — წარმოთქმული სიტყვით სწორედ ეს საგანია სახელდებული“. რაც მეტ სიტყვას ეუფლება ბავშვი, თანდათან აღწევს მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას და პარალელურად ვითარდება აზროვნება: „მე თანდათან დავიწყე აზროვნება, თუ ნიშნები როგორ წარმოგვიდგენენ სიტყვებს, რომელნიც სხვადასხვა წინადადებაში თავ-თავის ადგილზეა“. ენა აქ წარმოდგენილია როგორც ნიშანთა სისტემა, მაგრამ ავტორი გვისაბუთებს მის საკომუნიკაციო ფუნქციასა და სოციალურ დანიშნულებასაც: „...ჩემი სურვილის გამოსახატავად დავიწყე მე ამ ნიშნებით ურთიერთობა მათთან, ვის შორისაც ვცხოვრობდი; მე უფრო ღრმად შევდგი ფეხი ადამიანთა საზოგადოების მღელვარე ცხოვრებაში“.

IX. ნეტარი ავგუსტინე აკრიტიკებს იმდროინდელ დიდაქტიკაში გაბატონებულ სქოლასტიკას და მახვილგონივრულად აღნიშნავს, რომ ეს არის „..შრომისა და ნაღვლის მომრავლება ადამის შვილთათვის“. ბავშვს სასჯელის შიშით აიძულებდნენ, რომ მოეპოვებინა „...წარმატება და მიეღწია სრულყოფისათვის სიტყვათმთხზველობაში“, რითაც უნდა დაემსახურებინა „კაცებრივი პატივი და მოჩვენებითი სიმდიდრე“.

ავტორის აზრით, არ არსებობს ძე-ხორციელი, რომელიც გულგრილად შეეგებება სატანჯველს, რომელსაც იგი „..არაფრად ჩაეგდოს“ და აქვე შენიშნავს — „(ზოგჯერ ასე ხდება ერთგვარი გონებაჩლუნგობის გამო)“. რასაკვირველია, ამით ავტორი არ უარყოფს მაღალი იდეალისათვის თავგანწირვას (რაც გონებაჩლუნგ ადამიანს არ შეუძლია), მაგრამ საკუთარი მაგალითით გვარწმუნებს, რომ გვემა არ არის ცოდვების გამოსყიდვის საშუალება. ბავშვობისას მას მუდამ ეშინოდა დასჯისა, მაგრამ ცემას არ გამოუღია ის კეთილი ნაყოფი, რისთვისაც გაუმიზნიათ აღზრდისა თუ სწავლების ეს მეთოდი: „...და კვლავაც ვცოდავდი, ნაკლებად ვვარჯიშობდი წერაში, კითხვაში და გაკვეთილის გააზრებაში“.

როგორც ქრისტიანს, კაცთმოყვარე ღვთისმოსავს — ნეტარ ავგუსტინეს ეცოდება დასჯილიცა და... დამსჯელიც: „...უფროსები მათ (ბავშვებს) სჯიან და არავის ეცოდება არც ბავშვნი და არც უფროსნი“. უნდა ვიფიქროთ, აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ დასჯის აქტი დამსჯელის ფსიქიკაზეც ახდენს გარკვეულ უარყოფითს გავლენას.

ავტორი აღნიშნავს თამაშობათა დიდაქტიკურ ხასი-

ათს: „სრულასაკოვანთა თავშექცევას უწოდებენ საქმეს, ბავშვისთვისაც ხომ საქმეა იგი“, ე. ი. სწორედ თამაშის დროს უმუშავდება ბავშვს საქმის კეთების ჩვევა. მაშინ რატომღა ისჯება იგი თამაშისათვის? აქვეა ასეთი საგულისხმო პარალელი: „აღმზრდელი, რომელიც მცემდა, იმასვე არ მოიმოქმედებდა, რასაც — მე, თუკი რომელიღაც საკითხში მას აჯობებდა სწავლული მომმე; განა ის ნაკლებად იხრჩობოდა ღვარძლისა და შურისაგან, ვინემ — მე, როდესაც, ბურთაობაში შეჯიბრებისას, ამხანაგი მაგემებდა დამარცხებას?“

X. ქვეყნად ყველაფრის შემკავებელი და შემოქმედია ღმერთი, ოღონდ ცოდვების მიმართ იგი მხოლოდ შემკავებელია. ბავშვური შეცოდების წყარო ისევ უფროსთაგან მომდინარეობს და აი რით გამოიხატება ეს პარადოქსი: ყრმა სცოდავს, როცა არ უგონებს უფროსებს და, გაკვეთილების ნაცვლად, გული მიუწევს ვინმე დიდად პატივცემული მოქალაქის მიერ გამართული თამაშა-სეირის საყურებლად. მშობლები და მასწავლებლები მას ამისათვის სჯიან, — აიძულებენ, რომ მიიღოს შესაფერისი განათლება და მიაღწიოს თუნდაც იმავე პატივცემული მოქალაქის მდგომარეობას (ე. ი. თვითონაც გამართოს სასეირო თამაშობანი).

XI. ღვთის მოწყალება იმდენად უსაზღვროა, რომ ძე-ღმერთად მოევლინა ადამიანურ ამპარტავნებას. მან თავმდაბლობისა და ჭირთა თმენის უდიდესი მაგალითი უჩვენა კაცობრიობას, დაუსახა სასოება და ასწავლა გზა, რათა ადამიანებს სულ არ დაეკარგათ ღვთაებრივი საუკუნო სასუფეველი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი თითოეულ ჩვენგანს ხელჩაკიდებულს დაატარებს წუთისოფლის უსწორმასწორო გზებზე. ადამიანმა დროულად უნდა ინიშნოს ღვთის ნიშანი და გამოიცნოს ჭეშმარიტება; ხოლო ნათელ-მირონმიღებულს უფრო მეტი ევალება ღვთის წინაშე.

XII. ნეტარმა ავგუსტინემ ორიგინალურად გაიაზრა დანაშაულისა და სასჯელის ოდინდელი პრობლემა: ცხოვრებაში ყველაფერი ღვთისმიერი კანონზომიერებებით ხდება, ღვთის ნებით გამოიცდება ადამიანი ბავშვობიდანვე და ისჯება არა იმიტომ, რომ არ დაინტერესდა „ღატაკური სიმდიდრითა და საძრახისი დიდებით“, არამედ — იმისათვის, რათა „...ყოველი მოუწესრიგებელი სული თავის თავში ატარებდეს სასჯელს“.

XIII. ავტორი აღნიშნავს მაძიებელი გონების დაუდგრომლობას: „მე ვიყავი სხეული და სული, რომელიც დაეხეტებოდა და არასოდეს დაბრუნდებოდა“. ხოლო ეძებდა იგი ქრისტიანულ მრწამსს, რომელიც იმდროინდელ საზოგადოებაში ჯერაც არ იყო საყოველთაოდ დამკვიდრებული. ეპოქამ უკვე უარყო ადრინდელი სოციალური ღირებულებანი და ადგილი მოუმზადა ახალს. ანტიკურ კლასიკოსთა მემკვიდრეობაზე აღზრდილს, მას აღარ აინტერესებდა „დიდონი, რომელიც ენეასადმი სიყვარულმა მოკლა“, — ეს მას შემდეგ მოხდა, როცა შეიცნო, რომ უფრო დიდი სიყვარული იქადაგა იესო ქრისტემ; რომ ეს სიყვარული კი არა კლავს ადამიანს, არამედ — საუკუნო ცხოვრებისათვის ამზადებს მას.

XIV. დღესაც მსჯელობის საგანია პედაგოგიკის მეთოდოლოგიური სისტემა, როდესაც საქმე ეხება „უცხო ენის“ პრობლემას. ნეტარმა ავგუსტინემ მარტივად, მაგრამ საფუძვლიანად ჩამოაყალიბა საკუთარი პრინციპი — „ენის შესწავლისას უფრო მნიშვნელოვანია თავისუფალი გულისხმიერება, ვინემ სასტიკი აუცილებლობა“. მაგრამ საკითხი მაინც გადაწყვეტილი არ არის, აქაც ღვთისმიერ კანონზომიერებას აქვს ადგილი „...პირველის დინებას ჯებირად ეღობება მეორე“.

XV. ნეტარმა ავგუსტინემ უარყო ამაოებებით გატაცება. სულის სიმტკიცე და ცდუნებებისაგან დაცვა შესთხოვა ღმერთს: „..იქმენ ჩემთვის უტკბესი ყველა ცდუნებაზე, რომელნიც მითრევენ...“. იგი აღშფოთებულია იმით, რომ მის დროს ბავშვებს ავარჯიშებდნენ ეპოქისათვის შეუფერებელ, იდეურად და იდეოლოგიურად გაუმართავ სასწავლო საგნებში. მაგრამ სწავლა-აღზრდის იმდროინდელ პრაქტიკაში ყველაფერი როდი იყო უარსაყოფი, თუკი მას გონივრულად გამოიყენებდა ადამიანი.

XVI. ავტორი კარგად ხედავს იმ უმთავრესს, რაშიც ქრისტიანობა დაუპირისპირდა ანტიკურობას: მონათმფლობელურმა საზოგადოებამ ამქვეყნიური ჯოჯოხეთი შექმნა, სადაც ნამდვილი ქაოსი სუფევდა ადამიანის მიერ შექმნილ ღმერთებსა, ღმერთკაცებსა თუ კაცღმერთებსა და ხალხის ბრბოს შორის; აქვე მოყვანილია ციცერონის სიტყვები: „ეს ჰომეროსის გამონაგონია, — ადამიანური თვისებები მან ღმერთებზე გადაიტანა; მე კი ვირჩევდი, რომ ღვთაებრივი გადმოტანილიყო ჩვენზე“. ამასთან დაკავშირებით, „აღსარებაში“ ყურადღება გამახვილებულია რწმენის ერთ თავისებურებაზე: „როცა დანაშაულის მოქმედ ადამიანებს მიეწერებათ ღვთაებრივი ღირსება, დანაშაული აღარ ითვლება დანაშაულად და მისი მოქმედნი შეირაცხებიან არა თუ გზააბნეულ ადამიანებად, არამედ — თვით ღმერთებად, ცათამსუფევლებად“. ეს აზრი ავტორმა ნათელყო მკაფიო ილუსტრაციით (ტერენციოსიდან): დარდიმანდი ჭაბუკი შესცქერის კედელზე დახატულ სურათს და „...გარყვნილების ნიმუშად ღებულობს იუპიტერს“.

XVII. ქრისტიანად მოქცევამდე ნეტარ ავგუსტინეს არასოდეს უგრძვნია ნამდვილი რწმენა, ამიტომაც ამაოებად თვლის თავის ადრინდელ გატაცებას კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობით. მის დეკლამაციურ ნიჭიერებას სხვები დიდად აფასებდნენ, თვითონ კი ზღაპრად მიუჩნევია ის სიუჟეტები, რომელთაც ხელოვანებით გადმოსცემდა: როგორც რიტორთა სკოლის წარმომადგენელს, მას იზიდავდა მხატვრული გამომსახველობა. თავისთავად ცხადია, რომ ავტორი ხელაღებით არ უარყოფს წარსულის მთელ მემკვიდრეობას და ამის შესახებ ზევითაც (იხ. თავი XV) მსჯელობს: „მე ხომ იქ ბევრი სასარგებლო სიტყვაც ვისწავლე“...

XVIII. ზემოთ აღნიშნულია, თუ როგორ სწვდება ნეტარი ავგუსტინე დროის სამი განზომილების ღვთისმიერ ერთიანობას. აქ კი იგი მსჯელობს ღვთისმიერ სივრცეზე, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და დასასრული, ვინაიდან, ისევე — როგორც დრო, ეს სივრცეც

თვით ღმერთშია (აქედან — შესაძლოა დასკვნა ერთგანზომილებიანი დროსი და სივრცის მთლიანობისა).

ავტორი დიდად განიცდის, რომ ადამის მოდგმა გულმოდგინებით ეკიდება ბგერათა და მარცვალთა შეთანაწყობის გრამატიკულ წესებს, მაგრამ უგულებელყოფს საუკუნო ხსნის პირველსიტყვით გადმოცემულ კაცთმოყვარეობის კანონს: „თუ ადამიანი... გრამატიკას დაარღვევს სიტყვა „ჰომოს“ საწყისი მარცვლის არაფშვინვიერად წარმოთქმისას, მაშინ ხალხი უფრო მეტად აღშფოთდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იგი, ადამიანი, შენი მცნებების საწინააღმდეგოდ, შეიძულებს ადამიანს“ (აქ ზმაა: „ჰომო“ ბერძნულად არის ადამიანი).

XIX. ნეტარი ავგუსტინე ასაბუთებს, რომ ბავშვობისას ჩადენილი ცოდვები მთლად უმანკოება როდია; მით უმეტეს, თუ ისინი უარყოფითს ჩვევებს გამოუმუშავებენ ადამიანს: „...სიცოცხლის დასაწყისში — აღმზრდელები, მასწავლებლები, კაკლები, ბურთები, ბეღურები; როცა ადამიანი სრულასაკოვანი ხდება — პრეფექტები, მეფეები, ოქრო, მამულები, მონები — ეს ყველაფერი არსებითად ერთი და იგივეა, ოღონდ სახაზავს ცვლის უფრო მძიმე სასჯელი“.

ღმერთს მოსწონს უმანკოება, რომლის სიმბოლოდ დაგვისახა ციდა ბავშვი.

XX. პირველი წიგნის დასასრულს, ნეტარი ავგუსტინე აღავლენს სამადლობელს სამყაროს შემქმნელი და წარმმართველი უსრულყოფილესი სიკეთის მიმართ. ღმერთი ბავშვობიდანვე გვინერგავს ზრუნვას თავშენახულობისათვის და ეს კვალია საიდუმლო ერთობისა, საიდანაც შევქმნილვართ. „ღმერთო ჩემო, შენ გმადლობ— შენგან მონიჭებულისათვის“.

„აღსარება“ შედგება არათანაბარი მოცულობის 13 წიგნისაგან. თითოეული წიგნი იყოფა აგრეთვე მეტნაკლები რაოდენობის თავებად: I—20, II—10, III—12, IV—14, V—14, VI—16, VII—21, VIII—12, IX—13, X—43, XI—31, XII—32, XIII—38 (სულ — 266 თავი). მაგრამ თხზულება დაყოფილია უფრო მცირე 462 მონაკვეთადაც, (I—31, II—18, III—21, IV—31, V—25, VI—26, VII—27, VIII—29, IX—37, X—70, XI—41, XII—43, XIII—53). აქ მრავლად არის დამოწმებული ადგილები საღვთო წერილებიდან; ალბათ, ავტორისეულმა მხატვრულმა სტილმა განაპირობა ის, რომ დიდი ადგილი უკავია დაკითის ფსალმუნებს (მარტო პირველ წიგნში 22 ფსალმუნია).

რუსეთის საპატრიარქოს სამეცნიერო კრებულში („ბოგოსლოვსკიე ტრუდი“, 1970, № 19) დაბეჭდილ ამ ნაშრომს ახლავს დიდად საყურადღებო კომენტარები, რომელნიც ნეტარი ავგუსტინეს ეპოქას ეხება.

გ. ბოჰორაძე

საპატრიარქოს გამოცემათა
პასუხისმგებელი მდივანი



ქართულითა ენითა ქამი შეიწირვის

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა...“

ქართული წყობილსიტყვაობის (პოეზიის) უკვდავი ძეგლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ დედანი ინახება სინას მთაზე დაცულ მე-10 საუკუნის ხელნაწერებში — „საგალობელნი იადგარნი“. საგალობელთა ამ კრებულის გადამწერად და ზოგიერთი წყობილი სიტყვის (ლექსის) ავტორად დასახელებულია იოანე ზოსიმე, რომელიც მე-10 საუკუნეში ჯერ პალესტინაში, საბაწმიდის ლავრაში, ხოლო შემდეგ სინას მთაზე ღვაწლით ცხოვრობდა ქართულ მონასტერში.

ღირსი მამის იოანე-ზოსიმეს მამულიშვილობაზე მეტყველებს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა: მის მიერ შედგენილი „იადგარი“ (ანუ მოსახსენებელი), ტიპიკონ-კალენდარი, პასქალისტური კრებული და სხვ.

თუ რაოდენ მძიმე, მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტესმიერი იყო იოანე-ზოსიმეს, — ამ ფიზიკურად სუსტი, ავადმყოფი და თვალნაკლული ბერის, — მოყვასისადმი თავდადება, ნათლად ჩანს მისივე სიტყვებიდან: „დავჩხრიკე ხელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისაითა წიგნი ესე კანონო დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისათა დიად ხაშმან და ბრმამან მრავალითა ჭირითა“[1]. ხელნაწერს, რომელშიც აღნიშნული თხზულებაა დაცული, პირველად პროფ. ალ. ცაგარელმა მიაკვლია და გამოაქვეყნა სათაურით: «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае»[2]. 1902 წ. სინას მთაზე ყოფნისას თხზულება კვლავ გადმოიწერა აკად. ნ. მარმა და დაბეჭდა პ. ინგოროყვამ ჟურნალ „კავკასიონში“[3]. ამის შემდეგ ეს ტექსტი რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა.

ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, თუ ვის კალამს ეკუთვნის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. გაბატონებული აზრის თანახმად, ამ ლექსის ავტორად სახელდებულია მისივე გადამწერი იოანე-ზოსიმე (აკად. კ. კეკელიძე)[4]. პ. ინგოროყვას აზრით კი, „ქებას“ ავტორი უნდა იყოს ან გიორგი მერჩულე (X ს.), ან მისივე ლიტერატურული სკოლის რომელიმე მწერალი[5]. ბოლო დროს ეჭვი გამოითქვა ამ ლექსის მე-10 საუკუნით დათარიღების თაობაზე. ვინაიდან იგი უფრო ადრინდელ ძეგლად მიაჩნია.

წყობილი სიტყვა (ლექსი) „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“ აღსავსეა ღრმა აზრებით უაღრესად რთული მხატვრული სახეებით, სიმბოლო-ალეგორიებით. მის დაფარულ შრეთა მიგნება ნათელს ჰფენს, რაოდენ შეუცვნია ავტორს მშობლიური ენის საღვთისმეტყველო ბუნება და რელიგიური ძალისხმევა: „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. მეორედ მოსვლის დღეს, როდესაც კაცობრიობა თავის იდეალს აისრულებს, ცოდვით დაცემული ადამის მოდგმა დაიბრუნებს პირველქმნილ სხეულს, უკვდავსა და უხრწნელს, „დამარხული“ ქართული ენაც გამოავლენს მოკვდავთათვის მიუწვდომელ გამომსახველობითს ძალას, დიდებულებას. ამით იგი დაადასტურებს („სწამებს“) თავის ღვთაებრიობას და ღმერთიც ყოველ ენას (ანუ ყოველ ხალხს) ამ ენით „ამხელს“ (ამხილებს), განსჯის, განიკითხავს.

ავტორი თავის აზრს ასე აგრძელებს: ქართული ენა განკითხვის დღემდის „მარხულია“, „მძინარეა“ — მსგავსად სახარებისეული ლაზარესი: „და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“. ლაზარე მეგობარი იყო ქრისტესი. იგი გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს მკვდრეთით აღადგინა მაცხოვარმა **(იოანე II, 1—44)**, ხოლო მის დებს — მარიამს და მართას — როგორც ძმის ჭირისუფლებს პატივი მიაგო და სამარადისო ცხოვრება აღუთქვა.

ავტორს სწამს, რომ ქართულ ენასაც ასევე ჰყავს ჭირისუფლები და ღმერთთან შუამდგომლები — ახალი ნინო და ჰელენე დედოფალი: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი“.

ვინ არის ეს ახალი ნინო?—იგი საქართველოს დიდი განმანათლებელია. მისი ხატება სამუდამოდ შეეთვისა ქართულ გულსა და სულისკვეთებას, როგორც ნათლის მომტანი მოციქულის ზოგადი სახე. „ახალი ნინო“ საქართველოს მეორედ (და სამუდამოდ) განმანათლებელს უნდა ნიშნავდეს. სიტყვა „ახალი“ ძველ ქართულში სხვა აზრსაც გამოხატავდა: „მეორე“ (მაგ. ახალი იერუსალიმი — მეორე იერუსალიმი, ახალი ათინა — მეორე ათინად და მისთ.). მოციქულთა სწორმა ნინომ ქრისტეს მოძღვრება საქართველოში მეორედ (ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის შემდეგ) იქადაგა. მან ეს მოძღვრება ვაზის ჯვრად აასხა, თავისი თმებით შეკრა და ქართულ ტაძარში (ქართველთა გულში!) საუკუნოდ დაასვენა[6]. ქართული ჯვარი — ქალწულის თმებით გასხივოსნებული — სიწმიდე-თავმდაბლობისაკენ ჰხრის ადამიანურ ბუნებას და ამავე დროს, მას უზენაესისაკენ აღმართავს.

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 145.

[2] იხ. Православный Палестинский сборник, т. V. вып. I, 1888, с. 203—204.

[3] „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 269.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 144—145.

[5] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. თხზულებათა კრებული, ტ. III, 1965, გვ. 215.

[6] „მოქცევაი ქართლისაი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 85.

სწორედ ამ სიწმიდემ და სიყვარულმა აღადგინა **მკვდრეთით** ლაზარე (ღმერთი ხომ თავადაა სიყვარული! — იოანე მახარებელი). აღსდგება ქართული ენაც, **რომელიც** თავის წიაღში ინახავს ყოველ საიდუმლოს: „და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

... და, აი, გასაღებიც ამ საიდუმლოსი: ქართული ენის აღდგომაც, ავტორის რწმენით, სწორედ მეოთხე დღეს მოხდება: „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“.

მეოთხე დღე, ამ შემთხვევაში, მისტიკურ, ზებუნებრივ დღეს ნიშნავს. ცნობილია, რომ ეს ოთხი მისტიკური, ზებუნებრივი დღე ქვეყნიერების მთელი ისტორიაა. ჩვენი ვარაუდით, ეს ისტორია ოთხ დღედ შემდეგნაირად დაიყოფა: პირველ დღეს ღმერთმა შექმნა სამყარო და ადამიანი, როგორც ხატი და მსგავსი თავისი; მეორე დღე დაცემის დღეა — ღმერთს განემსგავსა სამყარო და ადამიანი; მესამე დღე ისტორიის შემობრუნების დღეა — ქვეყანამ გამოსცა ნათელი და იესო ქრისტე ევას საშოში განხორციელდა „ქალწულისაგან მარიამისა“ („ევა“ ხომ ცხოვრებას, ქვეყნიურ სიცოცხლეს ნიშნავს — **(ებრ.)**, ხოლო ქალი ცხოვრებაა, სიცოცხლეა, ქვეყანაა, — ამ ქვეყანაში განკაცდა ღმერთი, კაცობრიობას მხსნელად თვით შემოქმედი მოევლინა, რომელმაც ადამის მოდგმას სამარადისო ცხოვრება ახარა; მეოთხე დღე ამ აღთქმული ცხოვრების — სამარადისო ცხოვრების დღე იქნება.

აზრს, რომ ათასი წელი ღვთისთვის ერთი დღეა, — გარდა დავით წინასწარმეტყველის ზემორე სიტყვებისა: „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“, — ავტორის რწმენით, ნათელს ჰფენს ქართულ ენაზე ამეტყველებული მათეს სახარების დასაწყისი ასო „წილი“ („წიგნი შობისა იესო ქრისტესი...“ — **მათე 1,1)**: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარავსა: — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მამისაითა“.

ასო-ნიშანი „წილ“ რიცხვითი მნიშვნელობით ოთხი ათასია. სწორედ ეს ოთხი ზებუნებრივი დღე: „და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი“. ამის შემდეგ ავტორის აზრი ასეთი უნდა იყოს: ქართული ენა დასაბამიდანვე უფლის ნათლით შეიმოსა, ნათელიღო. როდესაც ცოდვამ გადააგვარა ადამიანთა მოდგმა და მასთან ერთად მათი ენაც, პირველხატი ქართველი ერისა დაიმარხა (უფლის წიაღს დაუბრუნდა): „ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაითა“. დაიმარხა, რათა კვლავაც აღსდგეს, როგორც ამბობს მოციქული პავლე: „ეგრეიცა აღდგომაი მკუდართაი: დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით, დაეთესვის გონებით და აღდგების დიდებით, დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით, დაეთესვის ხორცი მშვინვიერი და აღდგების ხორცი სულიერი“ **(კორინთელთა მიმართ 15, 42—44).**

ავტორი ქართული ენის ღირსებად მიიჩნევს კიდევ ერთ ფაქტს: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან დღესამომდე“.

თუ რას ნიშნავს ეს 94 წლით უფროსობა ქართულისა სხვა ენებთან (საერთოდ, ეს ოთხმოცდათოთხმეტი წელი) მეცნიერთათვისაც უცნობია. ზოგი მკვლევარი (პ. ინგოროყვა, აკ. ბაქრაძე) ამას ქართული წელთაღრიცხვის ბერძნულ (ან სხვა) წელთაღრიცხვასთან შედარებით ქართულის ას ოთხი წლით აღმატებულობის საფუძველზე ხსნის და აქედან გამომდინარე ტექსტში შესწორება შეაქვს[7]. თუმცა თვით ეს მკვლევარებიც არ არიან დარწმუნებულნი თავიანთი აზრის უეჭველობაში.

ავტორის მინიშნებით, ქართული ენის მთელი საიდუმლოება ქართულ ანბანშია ჩაქსოვილი: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

აზრი ასეთია: რაც ზემოთ ითქვა ქართული ენის შესახებ, ამას ყველაფერს ადასტურებს ქართული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“. მაგრამ თუ როგორ და რა გზით, რაში ჩანს „წილის“ მისტიკური ძალა, ამის ახსნას ცდილობს რ. პატარიძე ნაშრომში „ქართული წარმართული კალენდარი“[8]. როგორც „ქებაის“ ავტორი მიუთითებს, ასო-ნიშან „წილს“ დიდი ქრისტიანული საიდუმლოება ჰქონია: ამ ნიშნით ეხარათ ქართველებს ქრისტეს მოძღვრება („წიგნი შობისა...“). ამასთანავე იგი („წილი“) აღნიშნავს ოთხ დღეს, როგორც კაცობრიობის მთელ ისტორიას და საგანგებოდ მიუთითებს მეოთხე დღეს როგორც ქართული ენის აღდგომის სანატრელ მომეტს. ასო „წილი“ გულისხმობს 4000 წელს, როგორც ოთხი დღის საკრალურ წელს.

აქედან ჩანს, თუ რაოდენ მრავლისმომცველი და მიუწვდომელი ყოფილა ასო-ნიშანი „წილი“. „მიუწვდომელი“, რადგან ამ და კიდევ სხვა უაღრესად იდუმალქმნილი სახეების სრულად გახსნა ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს. იგი საგანგებო ძიებასა და მომავალ ქართველ ღვთისმეტყველთა ხელს მოითხოვს.

---

7 პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, III, 1965, გვ. 212; აკ. ბაქრაძე. კრიტიკული გულანი, 1977, გვ. 18.

8 რ. პატარიძე. ქართული წარმართული კალენდარი. ჟურნ. „მნათობი“, 1976, № 12, 3, 4, 6; 1978, № 10, 11.

ნ. პაპუაშვილი, საპატრიარქოს თანამშრომელი



XVIII—XIX საუკუნეთა ნეკრესელი განმანათლებლები

ქართული ეკლესია-მონასტრები დიდმნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ მატერიალური კულტურის უძვირფასესი ძეგლებია, რომლებშიც თავმოყრილია ფერწერის, ჭედურობის, ქვაზე ჭრის ნიმუშები, — არამედ იმიტომაც, რომ ისინი კულტურისა და საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ.

ნეკრესის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ერთი უძველესთაგანია საქართველოში. იგი საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით და როგორც ძველი ქართული კულტურის კერა, როგორც ფეოდალური ჩამოყალიბების დროის სამონასტრო კომპლექსი და როგორც უშვიათესი ისტორიული ძეგლი. ციხის გალავნით შემოფარგლული ნაშთი ნეკრესქალაქისა უხვად წარმოგვიდგენს როგორც საეკლესიო, ისე უძველეს საერო ნაგებობებს.

VI საუკუნიდან მოყოლებული, ნეკრესში თითქმის არ შეწყვეტილა სამონასტრო მოღვაწეობა. აქ შექმნილია არაერთი საინტერესო ნაშრომი ფილოსოფიასა თუ ისტორიაში. განსაკუთრებით გამოცოცხლდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა ნეკრესში XVIII საუკუნის 40—50-იანი წლებიდან, რაც XIX საუკუნის ათიან წლებამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი პირები, როგორებიც იყვნენ იოანე ჯორჯაძე, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ამბროსი მიქაძე და სხვ.

იოანე ჯორჯაძე, ენისელთ მოურავის — გივი ჯორჯაძის ძე ერთ ისტორიულ საბუთში ასე იხსენიება: „ნეკრესელი მიტროპოლიტი და დავით გარეჯის მამა", „დავით გარეჯის მონასტრის მამა და მეურვე" და ა. შ. 1740 წელს თეიმურაზ მეფის, მისი მეუღლის თამარისა და კართლ-კახეთის სამღვდელო პირთა თხოვნით დომენტი კათალიკოსმა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრა სამიტროპოლიტოდ გარდაქმნა და პირველ მიტროპოლიტად იოანე განაწესა; ალავერდელმა ეპისკოპოსმა კი მას ბისონი უკურთხა.

„ღმერთების გუჯარში" აღნიშნულია, რომ პორფირ-ბისონი შეეძლო ეტარებინა მხოლოდ იმ მღვდელმთავარს, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, სამშობლოს დაცვაში იღებდა მონაწილეობას. დასახელებული ძეგლის მიხედვით, ცნობილი ნიკოლოზ რუსთველის შემდეგ ბისონის ჩაცმა მოუსურვებია ნეკრესელ მღვდელთმთავარს იოანეს; ამასთან დაკავშირებით, თეიმურაზ მეორეს ალავერდელის სახელზე გაუცია სიგელი, რომელიც იოანე ჯორჯაძის ბისონით კურთხევის დამადასტურებელი საბუთია და დაცულია თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში". საბუთში ნათქვამია: თეიმურაზ II და მისმა თანამეცხედრემ, ვახტანგ მეფის ასულმა თამარმა, ერეკლე მეფემ და მისმა შვილიშვილმა — მირზამ, მტკიცე „წიგნი დასაფიცარი" დასდეს წმ. გიორგის ტაძრისა ალავერდს ისე, რომ ნეკრესელმა იოანემ ბისონით კურთხევა მოინდომა. ამ ჩვენს მეფეთა ხსოვნაში არ იყო ნეკრესელი ნაკურთხი". აქედან გამომდინარე, ორი დებულებაა ხაზგასმული: პ ი რ ვ ე ლ ი რომ ბისონის ღირსნი იყვნენ არა მარტო ის მღვდელთმთავრები, რომლებიც დროშის პატრონები და სარდლები იყვნენ, არამედ — ისინიც, ვინც ქალაქში ისხდნენ წმიდა მამათა თანამოსაყრდეებად; მ ე ო რ ე ც, შესაძლებელი ყოფილა, რომ დროთა ვითარებაში „ქვეყნის არეულობისაგან" მღვდელმთავარს დაჰკარგოდა ბისონის ჩაცმის უფლება და თანაც ისე, რომ უფლების არსებობის ხსოვნაც კი წაშლილიყო.

მართალია, 1740 წლიდან იოანე ჯორჯაძე ნეკრესის მიტროპოლიტია, მაგრამ გარეჯთანაც არ გაუწყვეტია კავშირი. იგი საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა და ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლებაზე; მისი თაოსნობით შექმნილია წიგნები, რომლებიც შემდეგ ლავრას შესწირა, — ასეთებია: „ღვთისმეტყველების ცხოვრება", რომელიც 1740 წელს არის დაწერილი; „დიალოღნი" კი — 1748 წელს. ნეკრესის შემდეგ მან ცოტა ხნით ბოდბის მონასტერში იმოღვაწა. 1746 წელს, ნეკრესის ლეკებისაგან აოხრების გამო, გრემის მთავარანგელოზის ეკლესია საეპისკოპოსოდ მიუციათ ნეკრესელ მიტროპოლიტ იოანესათვის.

ნეკრესში მოღვაწე მღვდელმთავართა პლეადაში საყურადღებო ადგილი უკავია დოსითეოზ ჩერქეზიშვილს (ნეკრესელს), რომელიც ნეკრესის ეპარქიას განაგებდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" ამბობს: „ნეკრესელი დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, კაცი მეცნიერი ღვთისმეტყველების... და რომელ ჟამსა მტრიანობისა და ომიანობისასა ყოველთვის ამხნობდის ერსა და კეთილსა რჩევითა თვისითა კარგად წარმართავდის საქმეთა და ესრეთ მოხუცებულობისა ჟამსა დაასრულა ცხოვრება თვისი".

1758 წელს დოსითეოზ ნეკრესელმა აკურთხა თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა და თვითონაც პირველ მსმენელად ჩაირიცხა, შემდეგ კი დოსითეოზმა თავის საკუთარ ეპარქიაშიც დააარსა პირველდაწყებითი სკოლა სამწყსოთათვის, რამაც ძალიან გაახარა ერეკლე მეორე. ამის გამო იგი ნეკრესელ დოსითეოზს 1762 წელს წერდა: „მეტად სასიამოვნოდ დამირჩებით, თუ ბეჯითად იზრუნებთ შკოლისთვისო". შემდგომაც მეფე ერეკლე მიტროპოლიტისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „შემატყობინე რა მდგომარეობაში არის შკოლა, ხომ იცი, მე ძლიერ მესიამოვნება, თუ ბეჯითი მზრუნველობა გვექნება შკოლაზე".

დოსითეოზ ნეკრესელი აქტიურად შრომობდა, ენერგიულად იღწვოდა ნეკრესის გაძლიერება-გამდიდრებისათვის. პლატონ იოსელიანის ცნობით, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი კახელი კაცი იყო, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.

დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, როგორც ლიტერატორი, ანტონ კათალიკოსის სკოლის წარმომადგენელია.

დოსითეოზ ჩერქეზიშვილი არა მარტო მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა, არამედ პოეტიც იყო. ყამთა სიავის გამო მის ყველა შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია.

დოსითეოზ ნეკრესელი რომ ქვეყნის თავდაცვითს საქმეშიც მონაწილეობდა, ამას ვიგებთ 1769 წელს ერეკლე მეორის წერილიდან, რომელიც ნეკრესელსა და იასე მოურავს მისწერა: „ერთმანეთში ნუ იძლავრებთ და ნურც სხვაზე გაიბრძოლებთ: თუკი სალაპარაკო გექნეთ, ამისათვის სამეფო კარს მოაკითხეთ და სამართალს იქ გამოიტანენ“.

ჯარი თუ დასჭირდებოდა მეფეს, უნდა გამოცხადებულიყო ნეკრესელი მეფესთან და ბოლოს ასე სწერს ერეკლე მეორე: — „ბატონო ნეკრესელო და მოურავო იასე, გრემიდან მოკიდებული ჩათვლით გავაზამდის სოფლის მოხელეთ, დიდსა და პატარას, სულ აცოდინეთ ეს აზრები და შეატყობინეთ ახლავეო“.

1789 წლიდან დოსითეოზ ნეკრესელი უკანასკნელად იხსენიება. პლატონ იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისაში“ ამტკიცებს, რომ დოსითეოზ ნეკრესელი ამავე წელს გარდაიცვალა.

1794 წლიდან ნეკრესის სამიტროპოლიტო კათედრას განაგებდა ამბროსი მიქაძე — XVIII საუკუნის დამდეგის საეკლესიო მოღვაწე და მქადაგებელი, რომელიც ნეკრესის ეპარქიის უკანასკნელი ეპისკოპოსი იყო. მის სამწყსოს შეადგენდა კახეთის გაღმა მხარე და დიდოეთი. იგი იყო გამგრძელებელი ანტონ ბაგრატიონის ბრწყინვალე ტრადიციისა. ამბროსი მიქაძემ ბევრი ეკლესია მოიარა, კერძოდ, გრემის, წილკნის, მანგლისის,— მაგრამ, როცა ნეკრესში მოვიდა, ბევრი სამუშაო დახვდა. ამბროსის დრომდე საეპისკოპოსო კათედრა ნეკრესში იყო, მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლეკთა თარეშისაგან თავდასაცავად შილდაში გადმოიტანა და თვითონაც აქ დასახლდა. მისი ბიოგრაფიიდან ბევრი რამ არ შემორჩა ისტორიას. დაბადებისა და გარდაცვალების თარიღად 1728-1812 წლებს მიიჩნევენ. ამბროსი მიქაძე ნეკრესს წინამძღვრობდა 1794-1812 წლებში და თითქმის 20 წლის განმავლობაში დაუღალავ მუშაობას ეწეოდა. მან თავის საქმეში სახელმძღვანელო დევიზად გაიხადა ბიბლიური წინასწარმეტყველის ისაიას სიტყვები: „ხმა ჰყავ ძლიერად და ნუ რიდებ, ვითარცა საყვირმა აღიმაღლე ხმა შენი, მიუთხრენ ერსა ჩემსა ცოდვანი მათნი“.

ლეკთაგან აოხრებულ სოფელ შილდაში საეპისკოპოსო შანდლებიც (დიკირი და ტრიკირი) გატაცებული იყო. მათს გასაკეთებლად ერეკლე მეორეს ორასი მანეთი შეუწირავს. ამბროსი მიქაძეს 57 სკოლაც ჰქონია გახსნილი. იგი მოქმედებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც — 1806 წელს. მთავრობამ ამბროსის მისცა მიტროპოლიტობა, ჯამაგირი კი 100 მანეთი დაუნიშნა სიკვდილამდე, ხოლო სკოლისთვის 200 მანეთი გამოუყო. ამბროსი მიქაძე მქადაგებელი იყო და სამქადაგებლო მემკვიდრეობასაც დიდად აფასებდა. სპეტაკი დარაჯი თავისი მრევლისა დაჯილდოვებული იყო კეთილი თვისებებით: „საქართველოს შვილნო, ვიტიროთ, ვიგლოვოთ და ჩვენს უბადრუკს ცხოვრებას ვაბრალოთ და ვაყვედროთ“ — ღაღადებს ამბროსი, როდესაც აღა-მაჰმად ხანმა 1795 წლის 13 სექტემბერს დაიპყრო თბილისი.

ორი დიდებული მასწავლებლისაგან მიიღო განათლება ამბროსიმ: კათალიკოსების — ბესარიონ ორბელიანისა და ნიკოლოზ ხერხეულიძისაგან; მრავალი ენაც იცოდა. შესანიშნავმა ისტორიკოსმა ამბროსი მიქაძემ აღწერა საქართველოს რთული პოლიტიკური ვითარება XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე. კერძოდ, ლეკთა თარეშისაგან შეწუხებული ქვეყანა, რომელიც სამუდამოდ რუსეთს დაუკავშირდა. ამბროსი მიქაძემ სხივნათელ შუქზე გამოიტანა ცნობილი ისტორიული მოვლენები: ლეკიანობა, აღა-მაჰმად ხანის შემოსევა და კრწანისის ომი, ომარ ხანის შემოჭრა და ნიახურას ბრძოლა. მისი შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. შესანიშნავ მამულიშვილს არ მოსწონდა ქვეყნის შინაგანი არეულობა, მტრობა და შური, რომელთა აღმოსაფხვრელად ყველას მოუწოდებდა: „განიღვიძეთ საქართველოს შვილნო, სამღვდელონო და საერონო, დიდნო და მცირენო, ღმერთი აღარავისა გვწამს? დავყრუვდით, არა გვესმის? ვეღარა დავინახეთ რა?“ იგი ერთიანობის, მეგობრობის, შეკავშირების მოქადაგეა. ამბროსი მიქაძე მომსწრეა 1804 წლის მთიულების აჯანყებისა. მან ნეკრესს შესწირა მრავალი წიგნი, რომელსაც თან დართული აქვს ანდერძი შემწირველისა; მაგალითად — სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი: „ესე მაინც დარჩეს ჩემს მოსახსენებლად ამ წმიდას შილდასა ეკლესიაში. დაგლოცავთ მამანო და ძმანო, ცოდვილი მოხსენებასა ჩემსა: წილკნელ-მანგლელ ყოფილ ნეკრესელი ამბროსი (1813 წ.)“.

ამბროსი მიქაძე მრავალი ლექსის ავტორია. მას ნეკრესშიც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მოღვაწეობა და სწორედ აქ ყოფნისას დაწერა დოსითეოზ ჩერქეზიშვილის პასუხი — „ეროიკონი აბიბოს ნეკრესელზე“. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველო ორ ეპარქიად გაიყო: მცხეთა-ქართლისა და კახეთ-ალავერდისა. ნეკრესის ეპარქიის გაუქმებისთანავე შრომით დაღლილი ამბროსი მიქაძე შილდიდან თბილისში გადმოსახლდა, მაგრამ მისი ცხოვრება ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა.

ამბროსი მიქაძე (ნეკრესელი) გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

ნ. ბეჟანიშვილი



„კაცთა ბუნებისადა აღმატებული ცხოვრებაი და მოძალაძობაი“

(კ. კეკელიძის დაბადების 100 წელი)

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე (1902 წ.) იერუსალიმისა და სინას მთის ქართულ სიძველეთსაცავებს, უკვე დაშრეტილთ, ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი ეწვივნენ. ეროვნული კულტურის მინავლებულმა კერებმა მკერდი გადაიხსნეს, ფერფლსა და მტვერს მიღმა მთვლემარე საუნჯე გამოაჩინეს. 1903 წელს ნ. მარმა ამ მოგზაურობის მოკლე წინასწარი ანგარიში გამოაქვეყნა. როცა ეს ანგარიში გაიცნო ქრისტიანული კულტურის ისეთმა აღიარებულმა მკვლევარმა, როგორიც იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ჰარნაკი, სრულიად ოფიციალურად, საქვეყნოდ განაცხადა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და ახლო გაგვაცნონ მისი საუნჯე?“ ასეთი ახალგაზრდა მეცნიერი მართლაც გამოჩნდა, მაგრამ არა გერმანიაში, არამედ — ჩვენში, საქართველოში. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ამ განცხადებიდან (1904 წ.) კიევის სასულიერო აკადემიას წარედგინა საკანდიდატო ნაშრომი — „ქართული ლიტურგიკის ისტორიიდან“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე. ამ ნაშრომის ავტორი იყო აკადემიის კურსდამთავრებული კორნელი კეკელიძე.

დაბადებულა კორნელი კეკელიძე 1879 წლის 18 (30) აპრილს სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი), ადგილობრივი ეკლესიის დიაკვნის ოჯახში. ტობანიერელი ყრმა ჯერ ქუთაი-

ხის, მერე თბილისის გზას გაუყენეს სწავლის საპებნელად. თბილისის სასულიერო სემინარიის წარჩინებული კურსდამთავრებული ჭაბუკი ცნობილი მწიგნობრისა და საეკლესიო მოღვაწის კირიონ სამაგლაშვილის ხელშეწყობით „სახელმწიფო ხარჯით“, ეწყობა კიევის სასულიერო აკადემიაში (1900 წ.).

ქართული სასულიერო მწერლობისადმი ინტერესი კ. კეკელიძემ სტუდენტობის წლებშივე გამოამჟღავნა. ეს დაინტერესება მარტო მეცნიერული პოზიციებით არ არის განსაზღვრული; ძველი ქართული მწერლობის დამუშავებაში იგი ეროვნულ-პატრიოტული განწყობილებების გამოხატვასაც ხედავდა და 1902 წელს კირიონ სამაგლაშვილს კიევიდან წერდა: „ნება მიბოძეთ, მეუფეო, მოგმართოთ შემდეგის თხოვნით: მე ახლა მესამე კურსზე ვარ და დრო კანდიდატურ თხზულებისათვის ვიზრუნო. ჩემთვის სასურველიცაა და ვფიქრობ, სასარგებლოც, ავიღო თემა სამშობლო ეკლესიის ისტორიიდგან. მაგრამ საქმე ის არის, რომ სპეციალურად ქართული ხასიათის თემაზე წერის ნებას არ მომცემენ (წინანდელმა რექტორმა — დიმიტრიმ აღკრძალა ეს). მხოლოდ ისეთი თემების წამოყენება შეიძლება, რომელსაც აქვს რაიმე კავშირი ან რუსეთის, ან მსოფლიო ეკლესიის ისტორიასთან“. 1903 წლის 30 მარტს კ. კეკელიძე იმავე აღრესატს წერდა: „საუბედუროთ, ჩემგან დასახელებული და თქვენ მიერ მოწონებული თემები არც ერთი არ გამოდგა, ვისაც კი მივმართე, ყველამ მითხრა, ერთთან კერძო ხასიათისაა. ამნაირად იძულებული შევიქენი სამუდამოთ გამოვთხოვებოდი დიდი ხნიდგან ნაგოგმანებ ოცნებას — სამშობლო ეკლესიის ისტორიიდან საკანდიდატო თხზულებისათვის თემის აღებას“. 1904 წელს კ. კეკელიძემ დაამუშავა პროფ. ა. დმიტრიევსკის რეკომენდებული თემა — „ქართული ლიტურგიკული ძეგლები სამამულო წიგნთსაცავებში“ და წარადგინა საჯაროდ დასაცავად.

კ. კეკელიძის მოღვაწეობის დაწყება დაემთხვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის აღმავლობას. ამას მხარს უჭერდა ჩვენი ინტელიგენციის მთელი შეგნებული ნაწილი. კ. კეკელიძემ სათანადო ინსტანციებში შეიტანა განცხადება და მოითხოვა სპეციალური ჟურნალის („განახლება“) დაარსება, რომელშიც ქ ა რ თ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ი ს ისტორიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები იქნებოდა გაშუქებული.

1916 წელს გაზეთში „С-Петербургские Ведомости“. კ. კეკელიძემ — კალისტრატე ცინცაძესა და სერგო გორგაძესთან ერთად — დაბეჭდა წერილი, რომელშიც მკაცრად გაილაშქრა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოწინააღმდეგეთა მიმართ. მოგვიანებით იგი წერდა: „ვერ ურიგდებოდნენ მათ უწყებაში (ე. ი. სასულიერო სინოდი) მყოფ პირთა სამეცნიერო სულისკვეთებას, რომელიც ეროვნულ-კულტურული წარსულის ტრადიციებს აღვიძებდა საზოგადოებაში. უფრო მეტად ეს ვაებატონები მოთმინებიდან გამოჰყავდა იმ დროს მწვავედ წამოყენებულს საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხს, რომელიც მათ საშინელ რევოლუციურ აქტად და სეპარატიზმის გამოვლინებად მიაჩნდათ“.

1907 წ. კ. კეკელიძე კვლავ წარდგება კიევის სასულიერო აკადემიის წინაშე; ამჯერად — მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. საკანდიდატო ნაშრომის თემა მეცნიერს თვალსაჩინოდ გაეფართოვებინა და გაეღრმავებინა (დაიბეჭდა 1908 წ.). პირველად ხდებოდა, რომ კიევის აკადემიაში ქართველი კაცი იცავდა დისერტაციას ქართულ თემაზე. შესავალ სიტყვაში დისერტანტმა მიუთითა, რომ „ასეთი უყურადღებობა ქართულ კულტურას სრულიად არ დაუმსახურებია. ქართული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გაბიერაჟზე. მან ჯერ კიდევ IV და V სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიზმის გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად“.

სამაგისტრო დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის ერთი წლის შემდეგ კიევის სასულიერო აკადემია კ. კეკელიძეს ლიტურგიკის კათედრის გაძღოლას სთავაზობს. მეცნიერი უარს ამბობს ამ ფრიად მაღალ თანამდებობასა და პატივზე და თავის მიწა-წყალს მიაშურებს.

მაშინვე შეიძლებოდა შეენიშნათ, რომ კ. კეკელიძე „ყოვლითა გულს-მოდგინებითა და სასოებითა შეუდგა კვალსა“ და მაგალითს დიდ კულტურულ წინაპართა. გიორგი მერჩულე ყვება, თუ როგორ შეაქცია ზურგი გრიგოლ ხანთელმა ქართლის ერისმთავრის მემკვიდრის პატივს, ეპისკოპოსობაც ხორცელ პატივად ჩათვალა და უდვაწ ტაო-კლარჯეთს მიაშურა. 29 წლის კ. კეკელიძემაც ასევე „მოჰრიდა ყამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა“ და მთელი გატაცებით მიეცა ეროვნული სიძველეთსაცავების სიმყუდროვეს.

ვითარცა მშვენიერ ნაყოფს ამ შემართებისა, 1910 წ. კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში კ. კეკელიძე აქვეყნებს გამოკვლევას ბიზანტიური მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის მამამთავრის — სვიმეონ ლოდოთეტის (X ს.) შესახებ. ეფრემ მცირეს (XI ს.) დაუწერია „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოდოთეტისა“, რომლითაც შუქი მოეფინა დიდი ბიზანტიელი მწერლის შემოქმედებას, აქამდე ბუნდოვანსა და სადაოს.

სვიმეონის მეტაფრასული საქმიანობის გამგრძელებლის შესახებ მეცნიერებამ საერთოდ არაფერი იცოდა. 1912 წ. გელათის წიგნთსაცავებში კ. კეკელიძე მიაკვლევს უნიკალურ ქართულ მასალებს, რომელთაგან ცხადდება, რომ სვიმეონის შრომა გაუგრძელებია XII ს. აქამდე უცნობ მწერალს იოანე ქსიფილინოსს და ამისი თხზულებებიც მარტო ქართული თარგმანით გადარჩენილა. ამ მიგნებით გაოცებულ ევროპელ მკვლევართა აზრი გამოხატა აკად. ვ. ლატიშევმა, როცა ეს აღმოჩენა „თავისებურ ხილვად“ მონათლა.

ქართული ხელნაწერების მოსაძიებლად კ. კეკელიძე 1911 წ. ლეჩხუმის გავლით ცხენით გადაივლის ქვემო და ზემო სვანეთს. სოფელ ლატალში იგი იპოვის „იერუსალიმის განჩინების“ ისეთ ძველ ვერსიას (VII ს.), რომელზედაც მეცნიერები მხოლოდ ოცნებობდნენ.

1915 წ. კ. კეკელიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით შეუდგა სამზადისს ქართული თარგმანებით გადარჩენილი ჰაგიოგრაფიული ტექსტების რვატომეულის გამოსაცემად, 1918 წელს გამოვიდა ამ სერიის პირველი ტომი („კიმენი“), ხოლო 1946 წ. — მეორე. მეცნიერის ყურადღების სფეროში ექცევა ბიბლიოლოგია და ეგზეგეტიკა, დოგმატიკა და მისტიკა, ჰომილეტიკა და ლიტურგიკა, კანონიკა, ჰიმნოგრაფია, აპოკრიფები.

დიდმა მეცნიერმა ცხადყო, რომ ჩვენი წინაპრები უცხოურ კულტურას ქართულ ნაადგზე, ეროვნულ ფორმებში ითვისებდნენ, ყოველთვის მძლავრობდა სული ქრისტიანულ-ბიზანტიუ-

რი კულტურის ნაციონალიზაციისა". კორნელი კეკელიძეს გამოვლენილი აქვს, რომ ეს ტენდენცია შეხებია მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის ოვით უპირველესსა და შეუვალ საფუძველს — ბიბლიას. სხვა კანონიკურ ძეგლებთან ერთად თავის დროზე ქართველებს იგი უთარგმნიათ „არა მონურად, სიტყვა-სიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეთერთმეტესა და შემდგომ საუკუნეებში, (მეთერთმეტე საუკუნემდე) თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს — სადმრთო წერილი იქნებოდა ეს, თუ სხვა რამ — უკვე „ქართულს" უწოდებდენ; ალბათ, იმიტომ, რომ ისინი თანამედროვე ბერძნულს აღარ უდგებოდნენ. მაგალითად, გიორგი მთაწმინდელი მის მიერ ნათარგმნ დავითს უპირისპირებს „ქართველთა დავითთა". ექვთიმე მთაწმინდელსო, შენიშნავს ის, „ქართულნი დავითნი თანაესხანო". ეს არის უნიკალური მოვლენა, რომლის ანალოგს ძნელად თუ ვიპოვით სხვა ერთა ქრისტიანულ კულტურაში.

XX საუკუნის პირველ ოცეულში კ. კეკელიძე აქტიურად მოღვაწეობდა სასულიერო უწყებაში.

კ. კეკელიძის რექტორობის პერიოდში სემინარიის სტუდენტობამ მოაწყო ეროვნულ-პატრიოტული გამოსვლები. ქართველი სტუდენტები სემინარიის გაქართულებას, მშობლიურ ენაზე სწავლებას მოითხოვდნენ და რექტორი აქტიურად უჭერდა მხარს მათს მოთხოვნას. ეროვნულ-კულტურული მოძრაობისადმი ასე ცხადი და ენერგიული თანადგომისათვის, სინოდის საგანგებო ბრძანებით, კ. კეკელიძე რექტორობიდან გადაყენეს. ბრძოლას კი უშედეგოდ არ ჩაუვლია, 1917 წელს თბილისში ქართული სასულიერო სემინარია შეიქმნა. იმავე წელს აღდგენილი იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კორნელი კეკელიძე ამ საქმის სულისჩამდგმელთა დასს ეკუთვნოდა.

კ. კეკელიძემ იმთავითვე დაიწყო ზრუნვა დვთისმსახურებისათვის საჭირო წიგნების შესწორება-გამოცემაზე. 1912 წ. კორნელი კეკელიძისა და კალისტრატე ცინცაძის რედაქციით დაიბეჭდა „კურთხევანის" ტექსტი.

კორნელი კეკელიძემ მისთვის ჩვეული აკრიბეთით წარმოაჩინა ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამ ჩიგის გამოკვლევებით სარწმუნო შეიქნა, რომ „თუ ქართულ ლიტერატურას რაიმე დამსახურება მიუძღვის ბიზანტიური მწერლობის წინაშე, მას ეროგვარი დამსახურება ევროპის კულტურის წინაშეც ჰქონია".

1918 წელს სწავლულ მამულიშვილთა მცირერიცხოვანმა დასმა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი წინამძღოლობდა, თბილისში ქართული უნივერსიტეტი დააფუძნა. „ერთი ამ ბურჯთაგანი", ვისაც ეს ტაძარი დაემყარა, კორნელი კეკელიძე იყო. აქ შექმნა მან კათედრა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა. კ. კეკელიძის თავგანწირული სამეცნიერო მოღვაწეობით ამ დროისათვის უკვე სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინად გამოიკვეთა ქართველოლოგიის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი, ხოლო 1923 წელს მანვე დიდებული გვირგვინი დაადგა ეროვნული სიტყვიერი კულტურის კვლევის თავის ოცწლიან დვაწლს, — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი (სასულიერო მწერლობა) გამოაქვეყნა, რასაც 1924 წ. მეორე ტომი (საერო მწერლობა) მოაყოლა.

ორიგინალური ქართული ლიტერატურის მონუმენტურმა ორტომეულმა ისტორიამ განათლებული მსოფლიოს წინაშე ერობაშად და საოცარ სამაღლეზე ამოზიდა ჩვენი ეროვნული სულის ძალა, თვითმყოფობა და მოუდლელობა. ძველი ქართული ლიტერატურის ამ ბიბლიის მსგავს ორ ტომს კ. კეკელიძემ, სხვა ცალკეულ ნაშრომთა კარდა, გვერდში ამოუყენა ეტიუდების კიდევ 14 ტომი. ასე რომ, როგორც ძველი ქართული მწიგნობარი იტყოდა, დიდი მეცნიერის ნაღვაწის აღნუსხვა „კნინდა და შეუძლებელ არს".

კორნელი კეკელიძემ საგანგებო კვლევის საგნად ქართული სასულიერო მწერლობა გაიხადა. სწორედ მან შეძლო, რომ ეს თავისებური ნაკადი ზოგადეროვნული პოეტური კულტურისათვის შეესისხლხორცებინა და ესთეტიკური მაჯისცემის პალმოსილება დაედასტურებინა იქაც, სადაც იგი დაშრეტილი ეჩვენებოდათ. დიდმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ „უძველესი საეკლესიო-სასულიერო სტილის მწერლობა ისეთივე ორგანული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის საერთო მდინარისა, როგორც საერო. ის პირველი, აუცილებელი საფეხურია ჩვენი ლიტერატურული კიბისა". ამ გზით კორნელი კეკელიძემ ჩვენთან დაახლოვა იაკობ ხუცესი და იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და მიქაელ მოღრეკილი, ათონელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი... თვალსაჩინოდ გახადა მათთან ჩვენი ნათესაობა და რუსთველთან მისასვლელი გზა გამოაჩინა. სწორედ კ. კეკელიძემ გაჰფანტა ის ბურუსი, რაც კარგა ხანს ამნელებდა რუსთველის მსოფლმხედველობის კვლევას. იმავე გასაღებით — ქრისტიანული ღრმა კულტურის სპეციფიკის მომარჯვებით — გახსნა კ. კეკელიძემ საიდუმლო დავით გურამიშვილის თავისებური ჰიმნებისა.

მდვიძარე სული ჩვენი დიდი წინაპრებისა არსად დაგავიწყებთ თავს კ. კეკელიძის წიგნების კითხვისას: გრიგოლ ხანძთელის, ეფრემ მცირის, დიდი ათონელების ცხოვრების არსი და სული გადასულია მათი მემკვიდრეობის შთაგონებულ გამომძიებელზე.

უზომო თაყვანებით შესტრფოდა უნივერსიტეტს მისი ერთი მესაძირკვლეთაგანი. „ადგილი ესე წმიდა არს", — ამ სიტყვებით აფხიზლებდა იგი იმათ ეონებას, ვინც ამ ტაძრის ფრთეთ შეჰფარებოდა, შატბერდისა და ოშკის, ათონისა და ყელათის მემკვიდრეს ჭვრეტდა მასში. როგორც დიდ წინამძღვართაგან გაბრწყინებული ძველი სავანეებისაკენ არ წყდებოდა სწავლის მძებნელ ქართველთა ლტოლვა, კორნელი კეკელიძის სახელი და ღვაწლი ასევე უხმობდა თაობებს უნივერსიტეტისაკენ, მოდიოდნენ და „სწავლათა სძესა მის მიერ სუმიდეს".

ექვთიმე ათონელის ცხოვრების აღმწერი ამბობს: „არა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევენ, რამეთუ უფროისნი წიგნი ღამით სანთლითა უთარგმნიან". კორნელი კეკელიძე სიკვდილის წინა დღეებში არ მოსცილებია სავარძელს, სადაც მუშაობდა და იქვე ეძინა... ასე მუხლჩაუხრელი რუდუნებითა და საზვარაკო ღვაწლით მან მსოფლიო მეცნიერების წინაშე კიდევ უფრო თვალსაჩინულად გამოკვეთა ქართული ეროვნული კულტურული სულის შინაგანი მთლიანობა. თვითმყოფლობა და მოუდლელობა. თავისი ნაშრომებით მეცნიერი ჩვენს დიდ კულტურულ წინაპრებთან გვაკავშირებდა, ხოლო გარეგნობით, სულითა და სიდარბაისლით ამ წინაპართა ცოცხალი ძეგლი და განსახიერება იყო.

გ ა ნ წ ე ს ე გ ა

რაფაელი (მაჩაბელი), მედავითნე

წირვა მართლმადიდებელ ეკლესიაში

ქ რ ი ს ტ ე ს სარწმუნოების შუქი აცისკროვნებს და მსჭვალავს მორწმუნეთა გულებს. როგორც ერთი დიდი მწერალი ამბობს: „მთები რომ კალმად გადაიქცნენ და ზღვები მელნად, ვერ აღწერენ დიდებას მისსას“, — ესაა მარადიული ბედნიერების, უმაღლესი ჭეშმარიტებისა და უდიდესი კაცთმოყვარების სათავე. ი ე ს ო ნ ა ზ ა რ ე ვ ე ლ ი ს მოძღვრებას სიკვდილი არ უწერია, ე კ ლ ე ს ი ა ა მისი ჯავშანი და გული. 20 საუკუნეა, რაც ის შეურყვნელად ინახავს უბერებელ გენიას ნაზარეთისას. ეკლესია ერთიანია და მატარებელია მ ა დ ლ ი ს ა, რომელიც ღვთისგანაა ბოძებული და განუწყვეტლად გადაეცემა ქრისტიანთ.

ღვთის ტაძარში სრულდება ს ა ღ ვ რ თ ო ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა ნ ი (მისტერიები) და ს ა ზ ო გ ა დ ო ღ ვ თ ი ს მ ს ა ხ უ რ ე ბ ა, რომელსაც წ ი რ ვ ა ჰქვია. წირვის წინასწინ ძველი აღთქმიდან იღებს სათავეს.

ძველ აღთქმაში პირველ ღვთისმსახურად ენოქი ითვლება, რომელიც ნოეზე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა. ღვთისმსახურებას ასრულებდნენ ბიბლიური პატრიარქები: ა ბ რ ა ა მ, ი ს ა ა კ, ი ა კ ო ბ... მაგრამ მღვდლობის ინსტიტუტის დაარსება მ ო ს ე წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ძმის — ა ა რ ო ნ ი ს შტოდან იწყება. მოსე წინასწარმეტყველის მიერ შექმნილი იყო პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ლ ო ც ა ვ ი კ ა რ ა ვ ი, რომელიც ძველი აღთქმის პირველ ეკლესიას განასახიერებდა. მ ე ფ ე ს ო ლ ო მ ო ნ ი ს დროს კი ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი აგებულ იქნა პ ი რ ვ ე ლ ი ტ ა ძ ა რ ი, სადაც საჯაროდ ტარდებოდა საზოგადო ღვთისმსახურება.

ტაძრის დაცემის შემდეგ, დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე 444 წელს, ე ზ რ ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ი ს ხანაში იქმნება სალოცავის ახალი სახე — სინაგოგა, სადაც, ტაძრისაგან განსხვავებით, არ ხდება მსხვერპლშეწირვა; აქ მას უსისხლო მსხვერპლი — ლ ო ც ვ ა ცვლის, რომელიც დღეში სამჯერ სრულდება.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ძ ვ ე ლ ი ა ღ თ ქ მ ი ს ეკლესიის ისტორიისა.

წმიდა მამების გადმოცემით, ა ხ ა ლ ა ღ თ ქ მ ა შ ი პირველი წირვა თვით მაცხოვარმა ს ა ი დ უ მ ლ ო ს ე რ ო ბ ი ს ა ს ჩაატარა.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, ქრისტე გამოეცხადა თავის ძმას — ი ა კ ო ბ ს და ჩააწერინა წირვა. წ მ. ი ა კ ო ბ ი ს წ ი რ ვ ა დღეს მხოლოდ იერუსალიმში ტარდება. ი გი დიდი მოცულობისაა და ამიტომ წელიწადში ერთხელ იწირება.

დევნულების გამო, პირველი ქრისტიანები კატაკომბებში (მიწისქვეშა საიდუმლო თხრილებში) ლოცულობდნენ. ადრექრისტიანული წირვა ძალზე მრავალრიცხოვანი იყო და სინაგოგის ღვთისმსახურებას წააგავდა. IV საუკუნეში რომის ცარგვალზე ქრისტეს რელიგია იმარჯვებს. ვასილი დიდის, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ იქმნება ღვთისმსახურების ახალი წესი. ვ ა ს ი ლ ი დ ი დ ი ს წ ი რ ვ ა წელიწადში 10-ჯერ სრულდება. ის პრინციპულად არ განსხვავდება იოანე ოქროპირის წირვისაგან. ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს (ქრიზოსტომოსის) დროს არაერთი ერესი ურყევდა ქრისტეს ეკლესიას საფუძველს. წმ. იოანემ შეამოკლა საიდუმლო ლოცვები, რათა წირვას მომზიდველობა არ დაეკარგა.

წმ. წირვა სიმბოლურად განასახიერებს კაცობრიობის ისტორიას — ქრისტეს დაბადებიდან მეორედ მოსვლამდე. წირვა 3 ნაწილისაგან შედგება, ესენია: პროსკომედია (კვეთა), კათაკმეველთა წირვა და მორწმუნეთა წირვა.

პ რ ო ს კ ო მ ე დ ი ი ს (კვეთის) ჩატარების დროს მღვდელს აქვს შემდეგი საღმრთო ნივთები: ლ ა ხ ვ ა რ ი — ანუ ის იარაღი, რომელიც რომაელმა ჯარისკაცმა ჯვარცმულ მაცხოვარს აძგერა ფერდში; ბ ა რ ძ ი მ ი წ ყ ლ ი თ ა და ღ ვ ი ნ ი თ — სახარებისეული გადმოცემით, რაჟამს რომაელმა ჯარისკაცმა ქრისტეს ლახვარი აძგერა, ნაჭრილობებიდან გადმოვიდა სისხლი და წყალი (ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიაში პროსკომედიის დროს ბარძიმში ღვინოსთან ერთად უნდა ჩაისხას წყალი); ბარძიმთან ინახება დ ი ს კ ო — სიმბოლო ბეთლემის გამოქვაბულისა, სადაც ქრისტე ხორცეულად დაიბადა; ბარძიმი გადახურულია დ ა ფ ა რ ნ ი თ და ეს განასახიერებს ს უ დ ა რ ა ს, რომელშიც ქრისტე იყო გახვეული; იქვე ინახება ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი, რომელიც ნიშნავს მნათობს, მოგვებს რომ მიუძღოდა წინ; ს ა ც ე ც ხ ლ უ რ ი განასახიერებს ძღვენს, რომელიც მოგვებმა მიართვეს ქრისტეს; ს ე ფ ი ს კ ვ ე რ ი — ქრისტეს ხორცია, ხოლო მასზე ამოჭრილი კვადრატი — მაცხოვრის ჯ ვ ა რ ც მ ა ს მიგვანიშნებს.

მღვდელი იღებს ლახვარს, სეფისკვერზე მონიშნავს კვადრატს და ამ დროს ამბობს: „ვითარცა ცხოვარი კლუად მიმართ მიიყვანა და ვითარცა კრავი წინაშე მრისხველსა თვისისა უხმო ეგრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა. სიმდაბლესა შინა მსჯავრი მისი აღებულ იქმნა ნათესავი მისი ვინ მიუთხრას, რამეთუ აღებულ არს ქუეყანისაგან ცხოვრება მისი“. ეს სიტყვები მიეწერება ე ს ა ი ა ს, რომელმაც 8 საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა ქრისტეს მოსვლა, ჯვარცმა და აღდგომა (ხსენებული ნაწყვეტი აღებულია ისაია წინასწარმეტყველის 53-ე თავიდან).

შემდეგ იწყება საიდუმლო ლოცვები. ამ დროს კლიროსზე იკითხება მ ე ს ა მ ე და მ ე ე ქ ვ ს ე ე ა ვ ნ ი, რომელშიც შედის ექვსი — 3 სამგლოვიარო (მე-16, 24-ე, 50-ე) და 3 საზეიმო (51-ე, 52-ე და 90-ე)— ფსალმუნი.

ასე თავდება პროსკომედია, რომელიც ქრისტეს ჯვარცმასა და კაცობრიობის გამოხსნას განასახიერებს.

შემდგომ ამისა, იწყება კ ა თ ა კ მ ე ვ ე ლ თ ა წ ი რ ვ ა: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა, და წმიდისა სულისა,— აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე“.

ამით გამოხატულია სამების გამოცხადება, რომლის პირველი მოწმე იყო ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი. ძველი აღთქმის ზოგი წინასწარმეტყველი მიხვედრილია ღმერთის სამი ჰიპოსტასის არსებობას და ამის შესახებ წერდა, მაგრამ — ძალზე ბუნდოვნად; აქედან ქრისტეს ეკლესიას სწამს ორი: მ ო ს ე ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა სინაზე და ქ რ ი ს ტ ე ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ნ ა ზ ა რ ე თ შ ი. მოსეს გამოცხადების ჟამს ღვთაება ჰიპენციურად იყო სამი, ხოლო ნაზარეთში გამოცხადების ჟამს მან უკვე აქტიურად გამოავლინა სამი ჰიპოსტასი. სამების პირველი მოწმე იოანე ნათლისმცემელი გახდა, რომელსაც ამჟამად მ ღ ვ დ ე ლ ი განასახიერებს.

შემდეგ მღვდელი იწყებს დ ი დ კ ვ ე რ ე ქ ს ს, რაც აღნიშნავს იოანე ნათლისმცემელის ლოცვას მთელი მსოფლიოსათვის. ამის შემდეგ იგალობება ორი ა ნ ტ ი ფ ო ნ ი და ეს ნიშნავს მ ე ს ი ი ს მ ო ლ ო დ ი ნ ს. მესიას ელოდა როგორც ებრაული, ისე წარმართული სამყარო (ზოგი წმიდა მამის გადმოცემით, სიბილას წიგნებში, სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს ნაზრევში იყო ნაწინასწარმეტყველი მხსნელის მოსვლა, რომელიც თავის თავზე აიღებდა მსოფლიო ცოდვას). ამ დროს იკითხება ორი ფსალმუნი — მე-16 და 50-ე, რაც სიმბოლურად გამოხატავს სიხარულს, რომელსაც ეკლესია ელოდა მაცხოვრის მოსვლით.

მცირე შესვლა სახარებითურთ გამოხატავს ქრისტეს გამოსვლას ქადაგებით. შემდეგ იგალობება 9 ნეტარება როგორც მაცხოვრის ქადაგება. მღვდლის დგომა სახარებითურთ ამბიონზე განასახიერებს ჯვარცმას, ხოლო მღვდლის შესვლა საკურთხეველში — ქრისტეს აღდგომას. შემდეგ მღვდელი ადის მაღალ დასაჯდომელზე, რაც მაცხოვრის ამაღლებას ნიშნავს.

სამოციქულოს წაკითხვა მოგვაგონებს მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლას. შემდეგ იკითხება სახარება, რათა განვიცდიდეთ ქრისტეს მარადყოფნასა და არსებობას ეკლესიაში.

იკითხება კათაკმეველის ლოცვა. კათაკმეველი ნიშნავს ღვთის მაძიებელს; მეორე მნიშვნელობით ის იმ ღვთისმაძიებელს ნიშნავს, რომელმაც უკვე აღიარა ქრისტე მეუფედ და ღმერთად, აღიარა ეკლესიის შუამდგომლობა და ემზადება ნათლობისათვის. ეკლესია ამჯერად ორივეს იხსენიებს. კათაკმეველთა ლოცვა მთავრდება სიტყვებით: „კათაკმეველნო განვედით“. რას ნიშნავს ეს საგალობელი? ეკლესიური რწმენით, მხოლოდ ეკლესიასთან კავშირშია შესაძლებელი ჭეშმარიტი ცხონება, ნამდვილი ცხოვრება. ადამიანის მაღალი დანიშნულებაა შეიცნოს ჭეშმარიტება. ქრისტე არის ჭეშმარიტება, ხოლო ეკლესია — მფარველი დაუფარავი ჭეშმარიტებისა. ეს საგალობელი აუწყებს კათაკმევლებს, რომ წაწყმდებიან, თუ ცხოვრებაში ეკლესიურად არ იწამეს ქრისტე (არაეკლესიური რწმენა ქრისტესი ღვთისმაშენებლობაა, რომელიც ხშირად მთავრდება ერესით). დოგმატური ღვთისმეტყველებით, ღმერთმა ადამიანი თიხისაგან შექმნა, რაც ნიშნავს მის სუსტ ბუნებას, მიდრეკილებას ცოდვისაკენ. ამიტომ ყველა ცოდვა ეპატიება მორწმუნეს, გარდა ერთისა, რომელიც წარმოადგენს სახიფათო კავშირს ამპარტავნებასთან. წმ. იოანე ოქროპირი ზიარების ლოცვაში ახსენებს „მგელ გონიერს“. მგელი ნიშნავს მაცდურს, რომელიც ფანტავს მრევლს, ცოდვის ჯაობში სვრის ქრისტიანს; მაგრამ სხვაა „მგელი გონიერი“ ანუ, თანამედროვე ქართულზე რომ ვთქვათ: — „მგელი გონებითი“. ის ცრურელიგიური ბნელმეტყველებაა და აშორებს სამწყსოს ეკლესიისაგან. ძალზე მახვილი თვალი სჭირდება მოძღვარს, რომ შენიშნოს ეს მგლური ბუნება.

„კათაკმეველნო განვედით“ — ესაა მოწოდება ჭეშმარიტების ჭეშმარიტი სიყვარულისა, ჯავშანი უბერებელი ქრისტიანიზმისა.

კათაკმეველის წირვის დამთავრებისთანავე იწყება წირვა მორწმუნეთა — ქერუბიმთა საგალობელით. ქერუბიმთა საგალობელი იოანე ოქროპირის ლიტურგიაში დამკვიდრდა 573 წელს, პატრიარქ იოანე სქოლასტის მეუფების ჟამს. ამასთან, მორწმუნემ უნდა წარსთქვას 50-ე ფსალმუნი და მაკარი დიდის ლოცვა — „ღმერთო განმწმიდე მე ცოდვილი...“. ამ დროს ადრექრისტიანულ ეკლესიაში ხდებოდა საჯარო წინასწარმეტყველება, იყო ხილვები, განკურნებები და სხვ. ქერუბიმთა საგალობლის შესრულებისას მღვდლის ღვთისმსახურებას არ შევეხებით, მაგრამ უნდა დავძინოთ, რომ ის ამჟამად ასახიერებს ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდს გეთსამანიის ბაღიდან გოლგოთამდე.

მღვდელი გამოასვენებს ბარძიმსა და ფეშხუმს, რაც ქრისტეს ჯვარცმას ნიშნავს, ხოლო მისი შესვლა საკურთხეველში — დასაფლავებას. შემდეგ იღებს საცეცხლურს და აკმევს ბარძიმსა და ფეშხუმს. ეს გამოხატავს მორწმუნეთა მიერ ქრისტეს გვამის ზეთისცხებას.

გასახსენებლად მიწისძვრისა, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმისას მოხდა, „მრწამსის“ გალობის დროს საკურთხეველში მოძღვრები არხევენ დიდ დაფარნას.

იხურება კრეტსაბმელი. ეს ნიშნავს ქრისტეს საფლავზე დარაჯების დაყენებასა და ღამეს.

იგალობება სარწმუნოების სიმბოლო. დიდი ლიტურგების გადმოცემით, მხოლოდ მართლმადიდებელი რწმენის მაღიარებელთა აქვთ წირვაზე დარჩენის უფლება. ეს ერთგვარი გამოცდაა მრევლისა.

მღვდლის სიტყვები: „ზე გვაქვნდინ გულნი“, სოფლიურ ზრახვათა დატევებას აუწყებს მრევლს, ხოლო ოთხ მახარებელს მიგვანიშნებს წართქმა: „ქებისა გალობისა მგალობელნი, მხმობელი, მღაღადებელნი და მეტყველნი“. მათს მოსვლას წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ იეზეკიელი და მათს სახეებს ვხედებით იოანეს გამოცხადებაში: მგალობელი აღნიშნავს მათე მახარებელს, რომლის ხატებაა ანგელოზი; მხმობელია მარკოზი — ლომის სიმბოლოთი, მღაღადებლად ვცნობთ ლუკას — ხარის გამოსახულებით, მეტყველი ჰქვია იოანეს და არწივია მისი სიმბოლო. ეს ნიშნავს სამების ერთიანობას.

შემდეგ მღვდელს გამოაქვს ბარძიმი და ზიარების ლოცვისას ამბობს: „მიიღეთ და სჭამეთ, — ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა; სვით ამისაგან, — ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“. ამ დროს ხდება განმეორება საიდუმლო სერობისა. პური და ღვინო უქცეველად გარდაისახება სისხლად და ხორცად; იკითხება კვერექსი, ხოლო შემდეგ იგალობება „მამაო ჩვენო“.

გუნდი გალობს: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა“. ეს ანგელოზთა გალობაა, რომელიც მოისმინა ისაია წინასწარმეტყველმა, როცა სიზმარში იხილა უფალი საბაოთ ქერუბიმითა და სერაფიმებით.

მღვდლის ზიარება ნიშნავს ქრისტეს აღდგომას, მღვდლის მიერ ბარძიმის გამოტანა მაცხოვრის ამაღლებაა, ამბიონზე ჩუმი ლოცვა კი ქრისტეს უკანასკნელი საუბარია ელეონის მთაზე, ხოლო ჯვარზე მთხვევა — საშინელი სამსჯავრო.

ჯვარი ღმერთკაცობრიობის სიმბოლოა (ვერტიკალი — ღვთაებრივი და ჰორიზონტალი — კაცებრივი სიყვარულისა) ამავე დროს, ის ნიშნავს დასაბამსა და დასასრულს; ასევე — მეორედ მოსვლას.

ასე თავდება წმიდა წირვა. ის მარადიული ხსოვნაა ჯვარცმული გალილეველისა, ერთიანობა მიწიერისა და მიღმურისა, მარადიულის დამკვიდრება წარმავალში. „შენი შენთაგან შენდა შემწირველი ყოველთა და ყოვლისათვის“ — ლოცულობს საკურთხეველი.

ქრისტიანი სისტემატურად უნდა ესწრებოდეს წირვა-ლოცვას, მარხულობდეს და ლოცულობდეს მხურვალედ.

წირვა დიალოგია სამყაროს შემოქმედთან, და მისდამი მიმართული მონოლოგია, კავშირია მიწიერ და ზეციურ იერარქიებს შორის; ეს არის მარადიული სიყვარული, რომელიც ათბობს მორწმუნეთა ჭეშმარიტებისაკენ მიმსწრაფველ გულებს; ეს ზეციური ჰიმნია, ქორალია მარადიულ აღორძინებაში მყოფი საქრისტიანოსი.

აგრიპნიას შესახებ

ნ. დ. უსპენსკი. ღამისთევის განწესება (Н'АГРУПНІА) მართლმადიდებელ აღმოსავლეთსა და რუსეთის ეკლესიაში, „БОГОСЛОВСКИЕ ТРУДЫ“ („საღვთისმეტყველო შრომები“) № 19, 1978

ლენინგრადის სასულიერო აკადემიის დამსახურებული პროფესორის, საეკლესიო ისტორიის დოქტორის ნ. დ. უსპენსკის ამ ნაშრომიდან მე-19 კრებულში დაბეჭდილია გაგრძელება — VI თავი (დასაწყისი იხ. მე-18 კრებულში, გვ. 5—117). მისი სათაურია — „სრული ღამისთევის განწესება რუსულ ეკლესიაში“ (გვ. 3—69), ეს მონაკვეთი 7 პარაგრაფისაგან შედგება

§ 1. იერუსალიმის წესდება რუსულ ეკლესიაში [გვ. 3—4]. მოგვითხრობს ამ საბუთის კონსტანტინეპოლიდან რუსეთში შეტანის ისტორიას, რაც უკავშირდება მიტროპოლიტ კიპრიანეს სახელს. 1372 წლით დათარიღებული ნუსხა გადაწერილია არქიეპისკოპოს ნიკოდიმის სერბული ხელნაწერიდან (შესრულებულია იოანე ნათლისმცემლის მონასტერში 1319 წ.).

ავტორი აღნიშნავს: „რუსეთის ეკლესიის არსებობის ხუთასწლიან პერიოდში, ვიდრე აქ გამოჩნდებოდა იერუსალიმის წესდება. მასში საკმაოდ დამკვიდრებულა რუსეთის განმანათლებელი ბერძენი სამღვდელოების მიერ შემოტანილი დიდი კონსტანტინეპოლის ეკლესიის წესდება, აგრეთვე სტუდიური წესები... (XI ს.)“ [გვ. 4].

§ 2. სრული ღამისთევის საღვთისმსახურო პრობლემის გადაწყვეტა იერუსალიმის წესდების გამოჩენისას [გვ. 5—9]. აქ აღნიშნულია XV—XVII სს. რუსული საღვთისმსახურო პრაქტიკის მრავალგვარობა, გამოწვეული ძველი და ახალი წესდებების შერწყმით; მაგალითად: თუ ზოგჯერ თვით ღამისთევის წესში ჩაირთვებოდა სერობა, სხვა შემთხვევაში, — სადაც ღამისთევა ამ მხრივ ხელუხლებელი იყო, — ხდებოდა დიდი სერობის წესის დუბლირება, თუმცა არ გამოირიცხებოდა მცირე სერობაც; ე. ი. ერთსა და იმავე დღესასწაულზე სრულდებოდა იერუსალიმისა და სტუდიური წესდებებით გათვალისწინებული სამგვარი მწუხრი: პირველი — მცირე, იერუსალიმის წესდებით; მეორე — დიდი, რომელიც ცალკე სრულდებოდა (ცისკრით), სტუდიური წესების თანახმად; მესამე — აგრეთვე დიდი, რომელიც შედიოდა სრული ღამისთევის წესში.

§ 3. ზარის რეკა და ტაძრის მომზადება ღვთისმსახურებისათვის [გვ. 9—13]. რუსეთის ეკლესიამ მართლმადიდებელი აღმოსავლეთისაგან მიიღო ძელის რეკა (შდრ: „...დაჰკრა დეკანოზმან სარეკელსა, რაითა ძმანი შემოკრბენ დამარხვად ძმისა“ — (ლმ. 6, 5), ე. ი. ხეზე კაკუნით მოწოდება. ამავე დროს ხალხს ღვთისმსახურების დაწყებას ატყობინებდნენ გზირების საშუალებით (შდრ.: ბერძნული ლაოსინაკლები). ევროპაში IX ს-დან შემოიღეს ზარის რეკა. ნოვგოროდის პირველი (1066 წ.) მატიანე ახსენებს წმ. სოფიოს ტაძრის ზარებს. რუსეთში XV საუკუნემდე გამოიყენებოდნენ გზირებიცა და ზარებიც.

ღამისთევის საეკლესიო განწესების ერთი რუსული თავისებურებათაგანია ზაფხულის დღესასწაულებზე ტაძრების შემკობა მკენარეულით. ეს წესი დღესაც შემორჩა ერგასეულის (ორმოცდაათეულის) დღესასწაულს. აღმოსავლეთისაგან რუსულმა ეკლესიამ მიიღო ბზა და პარალელურად შექმნა ახალმოთიბული ბალახით ტაძრის შემოსვის თავისებური წესიც. მწვანით შემკობის დანიშნულების თაობაზე რუსულ ეკლესიაში ერთიანი აზრი არ არის.

§ 4. მწუხრი [გვ. 13—25]. სრული ღამისთევის თავისებურება, რომელიც მარტო რუსულ ეკლესიას ახასიათებს, — ეს არის მისი დაწყება დახურული წმიდა ბჭის წინ, ამასთან, უკმეველი რჩებოდა საკურთხეველი. ეს წესი იმდენად მყარი გამოდგა, რომ ტიპიკონის დამტკიცების (1682 წ.) შემდეგაც გვხვდება. ამ უკანასკნელის მოთხოვნით (იერუსალიმის წესდების შესაბამისად), ღამისთევა უნდა დაიწყოს გახსნილი წმ. ბჭით და იკმევა მთელ ტაძარში (ვიდრე წარმოითქმოდეს „დიდება წმიდას“).

საგალობელი — „მოვედით, თაყვანისვსცეთ“ — რუსულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში განსხვავებულია აღმოსავლურისაგან იმით, რომ სხვადასხვა შემსრულებელი ჰყავს: ზოგ ტაძარში მას წარმოთქვამს მღვდელთმთავარი, ზოგან კი — რომელიმე მგალობელი; ერთნაირი არ არის მისი ტექსტიც. გალობის დროს დიაკვანი უკმევს წმ. ბჭეს, მაგრამ ჯვარს არ გამოსახავს.

იგავის (საწინასწარმეტყველოს) წაკითხვა რუსულ ეკლესიაში აგრეთვე გამოირჩეოდა იერუსალიმის წესდებისაგან: თუ იგავი ძველი აღთქმის წიგნიდან იყო, ამ შემთხვევაში, დამსხდარნი ისმენდნენ და, პირიქით, თუ იგავი ახალი აღთქმის წიგნიდან წაიკითხებოდა, მაშინ ის ფეხზე მდგომთ უნდა მოესმინათ.

§ 5. მწუხრის ლიტი („განსლვა სტიხთა შინა ეკლესიისა სალოცველად“) [გვ. 25—29]. რუსულ ეკლესიაში ლიტის შესრულება გამოირჩეოდა იერუსალიმის წესდებით მიღებულისაგან: ლიტი განისვლებოდა არა ჩრდილოეთის კარიდან, არამედ წმ. ბჭით. პურის კურთხევას ასრულებდა „დიდი მღვდელი“ (ღვთისმსახურთაგან უხნესი), თუნდაც ამ დროს იქ ეპისკოპოსიც რომ ყოფილიყო. პატრიარქმა ნიკონმა დააკანონა მღვდელთმთავრის მონაწილეობა ლიტიში და ამიერიდან ის ასრულებდა პურის კურთხევას.

რუსეთში მწუხრის დასასრულს იწყებოდა ჩვეულებრივი (საწესო) პარაკლისი — საგალობლის შესრულებით; ამას დაემატა მეორე წირვა, რომელიც არ არის თანამედროვე საღვთისმსახურო წიგნებში და რომელიც წარმოადგენს პურის კურთხევისას შესრულებული ლოცვების პერიფრაზს. ეს

მეორე საწირავი, ალბათ, იერუსალიმის წესდების შემოღებას უკავშირდება.

§ 6. ცისკარი [გვ. 29—48]. ექვსფსალმუნეულს (დასკვნითს ექვს საგალობელს) რუსეთის მონასტრებში კითხულობდნენ ეკლესიარხები (ეკლესიარხი — კანდელაკი) ან მონოზონქმნილნი, ხოლო საკათედრო და სამრევლო ტაძრებში — რომელიმე მღვდელთაგანი; „ქებათა-ქება“ და „ალილუია“ ამას არ ახლდა. ცისკარზე შესასრულებელი კაფიზმებისათვის იერუსალიმის წესდებით მითითებულია „ნამდვილი ხმა“ ანუ ოქტოიხის რიგითი ხმა, მაგრამ რუსეთის XVI საუკუნის ძეგლებში ნაჩვენებია კაფიზმების ორგვარი პრაქტიკა: მათი წაკითხვა ან გალობით შესრულება.

სადღესასწაულო ცისკრის წირვაში ზოგჯერ „პოლიელეიოსი“, როგორც მესამე კაფიზმი უსწრებდა „უბიწოთას“, — ეს უკანასკნელი კი სრულდებოდა სამ რიგად, რომელთაგან თითოეულს თავ-თავისი მისამღერი ჰქონდა. აღნიშნული დამოწმებულია იერუსალიმის წესდებით (დაცული იყო თვით პალესტინაში და მის მომიჯნავე მონასტრებში). „უბიწოთას“ და „პოლიელეიოსის“ აღსრულების მრავალსაუკუნიანი პრაქტიკის შედეგად შეიმჩნევა მათი გავლენა ცისკრის საგალობელთა რიგზე.

კვირაძალის ცისკარზე რუსების საკათედრო ტაძრებში სრულდებოდა „სახარების“ ორმაგი კითხვა: ერთი, იერუსალიმის წესდების მიხედვით, ჩვეულებრივ დროს — „კანონის“ წინ; მეორე — „ქებათა-ქებას“ შემდგომ, რაც გათვალისწინებულია დიდი კონსტანტინეპოლის ეკლესიის წესდებით. ხატის მთხვევა გადატანილია იმ დროისათვის, როცა მთავრდება „ღირსთას“ გალობა, რაც ისევ იერუსალიმის წესდებას შეესაბამება.

§ 7. დიდი ლიტი [გვ. 48—60]. იერუსალიმის წესდებით გათვალისწინებული ცისკრის სვლა სტოაში ბევრ რუსულ ტაძარში არა სრულდებოდა. ადგილობრივი ტრადიციების მქონე მონასტრებში და სამრევლო ტაძრებში იგი შეცვლილი იყო ჯვარებრი სვლით, ხოლო წარგზავნის წესები მრავალგვაროვანებით ხასიათდებოდნენ.

1682 წ. გამოცემულმა ტიპიკონმა თანდათან გააუქმა ადგილობრივი საღვთისმსახურო პრაქტიკა, თუმცა ზოგიერთი თავისებურება მაინც შემორჩენილა; მაგალითად: პატრიარქმა ნიკონმა უარყო ორჯერადი წყალკურთხევა უფლის გაცხადებისას, მაგრამ მრევლმა მას მხარი არ დაუჭირა და ეს წესი ამჟამადაც სრულდება. ადგილობრივი წმიდანების პატივსაცემად გადიდდა ღამისთევათა რიცხვი, თუმცა შეინიშნება საპირისპირო მოვლენაც: ტიპიკონის მიხედვით, წინამძღვრის შეხედულებისამებრ სრულდებოდა მონასტრებში ზოგიერთი დღესასწაულის ღამისთევა, ამავე დროს, სრული ღამისთევის შემცირება ხდებოდა ფსალმუნთა, სტიქირთა, კანონებისა და სხვათა შემოკლებით. XIX საუკუნეში მთელ რუსეთში შემცირდა ღამისთევა.

„დასკვნა“ [გვ. 68—69]. აგრიპნია იერუსალიმს წარმოიქმნა — აღდგომის ტაძარში — ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო. შემდგომი ისტორიული მონაცემებით, იგი ცხოველუნარიანი გამოდგა იქ, სადაც მაღალი იყო ლოცვის ღვაწლისადმი ძმობის წევრთა სწრაფვა. ეს იწვევდა სრული ღამისთევით ღვთისმსახურების აუცილებლობას. საკუთრივ პალესტინის გარდა, ამ მხრივ გამოირჩეოდნენ სავანეები: სიმონ საკვირველმოქმედისა — ანტიოქიაში და ათონის მთისა — საბერძნეთში. მართლმადიდებელ აღმოსავლეთში ისე ძლიერი იყო იერუსალიმის წესდების ავტორიტეტი, რომ იგი თითქმის მთლიანად მიიღო დიდმა კონსტანტინეპოლის ეკლესიამ. ბიზანტიონის პოლიტიკური დაქვეითების შემდგომ აქ აგრიპნიამ დაკარგა ის ორიგინალური თავისებურებანი, რაც თავის დროს შეუქმნია საბა განწმენდილს და სრული ღამისთევის განწესებას მიეცა ზოგადი მნიშვნელობა.

ავტორს მოჰყავს გამონათქვამი არქიმანდრიტ ანტონისა (კაპუსტინის), რომელმაც ამ ასი წლის წინათ მოინახულა წმიდა ადგილები: „...განა კარგია... როცა... ღილის ღვთისმსახურება... სრულდება მწუხრზე და, გრძელდება რა ერთიდან სამ საათამდე, იწოდება „სრულ ღამისთევად“... თუ იქნებოდა უმართებულო, რომ ამას დავარქვათ ფარისევლობა და... თვითკმაყოფილება?“ (არქიმანდრიტი ანტონი. სინაელი მომლოცველის წერილები, „კიევის სასულიერო აკადემიის შრომები“, 1873, წიგნი III, გვ. 380—381).

ი. დ. უსპენსკის ნაშრომს ახლავს მშვენივრად გამართული სამეცნიერო აპარატი (გვ. 60—67, 69): საგულდაგულოდ დამუშავებული კომენტარები და უხვად დამოწმებული საჭირო ლიტერატურა, ამდენად, ეჭვმიუტანელია მკვლევარის მიერ დიდი სიზუსტით დადგენილი თითოეული ისტორიული ფაქტი.

პირველქრისტიანთა სიტყვა და საქმე ყველაზე უკეთ შემოგვინახეს მათს ნაკვალევზე შექმნილმა მონასტრებმა, რომელთაგანაც ორთოდოქსალურობით გამოირჩეოდა საბაწმიდის ლავრა.

რაკი გაბუნდოვანებულია ნაშრომში გადმოცემული პრობლემის პირველსაფუძველი, რუსეთში XIV საუკუნიდან დაწყებული ბრძოლა ქვეყნის ერთიანი საეკლესიო განწესების შესამუშავებლად, ეს ის ხანა იყო, როდესაც რუსეთი ისწრაფვოდა სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსის მოპოვებას. ამ საკითხის დასასაბუთებლად რუსეთის მღვდელთმთავრებმა საჭიროდ მიიჩნიეს საეკლესიო წესების ნიველირება, რისთვისაც ამოსავლად მიიღეს უძველესი — იერუსალიმის წესდება და მას შეუფარდეს დიდი კონსტანტინეპოლის ეკლესიის განწესება. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, მთელ ამ პროცესს მეტად ხელოვნური ხასიათი ჰქონდა.

ცნობილია, რომ დიდმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ — გრიგოლ ხანძთელმა (759—861 წწ.) ჯერ კიდევ IX საუკუნეში მიაქცია ყურადღება აღნიშნულ გარემოებას (შეუსაბამობას კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის წესებს შორის). ამ მიზნით, 826 წელს საბაწმიდის (იერუსალიმი) წესგანგების გადმოწერა დაავალა ერთ თავის მეგობარს, თვითონ კი იმავე წელს გაემგზავრა „მეორედ იერუსალიმად, რომელი არს კონსტანტინეპოლისი“ და უშუალოდ გაეცნო იქაურ საეკლესიო ცხოვრებას. მისი დიდი ღვაწლის შედეგმა მალე იჩინა თავი: გრიგოლის მიერ გაზრდილი ეფრემ მაწყვერელი ეპისკოპოსის (843—859) მეცადინეობით მირონის კურთხევა ქართლს განეწესა; ეს შეუძლებელი იქნებოდა, საყოველთაო აღიარება რომ არ მოეპოვებინა საქართველოს ავტოკეფალურ წმიდა მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია შემწყნარებლურად ეკიდება ეროვნული თავისებურებების გაძოვლენას ღვთისმსახურების პრაქტიკაში, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ძირითადი რელიგიური რიტუალების შემცირების ან უგულებელყოფის ხარჯზე. წინაადმდეგ შემთხვევაში, ძნელი მოსაგვარებელი შეიქნება ერთიანი ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტის საქმე, ხოლო ეს გარკვეულ დაბრკოლებებს შეუქმნის ეკუმენიზმს.

რწმენა, სასოება, სიყვარული

„აცადეთ ყრმებსა მაგას...“

ბუნება და ძეგლები ჩვენი ერის დიდი საუნჯეა. აქ არის ჩაქსოვილი ჩვენი დიდი წინაპრების უკვდავი სული და სიყვარული. სასიხარულოა, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან ამ ცხოველმყოფელ ტრადიციებზე.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ბავშვები და მათი ბრწყინვალე მომავალი.

ი ლ ი ა მ ე ო რ ე



ინდოელ ბავშვებთან

1979 წლის ბავშვთა საერთაშორისო წელიწადად გამოცხადებასთან დაკავშირებით 9 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა მ ე ო რ ე და მისი თანმხლები პირნი ნორჩ მხატვართა საგამოფენო გალერეას ეწვივნენ. სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვთა ნამუშევრებმა, რომლებშიც ასახულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: ტაძრები, ეკლესიები, სამრეკლო, ციხე-კოშკები და სხვა.

ამონაწერი შთაბეჭდილებათა წიგნიდან.

თადეოზი, წილკნელი ეპისკოპოსი

ბავშვი — სამყაროს საოცრება... ბავშვი — სიკეთის ყვავილი, ბავშვი — სიცოცხლის ხალისი და სილამაზე, დაუშრეტელი ფანტაზია, ოცნების წმიდა წყაროსთვალი.

არაფერს ისე მწარედ არ განიცდის მოზრდილი თუ ხანში შესული ადამიანი, ცხოვრების მძიმე ორომტრიალში ჩაბმული და გაბეზრებული, როგორც ბავშვობის დღეებთან დაშორებას. „ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია“-ო, ნატრობდა მსოფლიო პოეზიის დიდება ჯორჯ გორდონ ბაირონი.

ბავშვები და ყვავილები, უღრუბლო ცა და თეთრი მტრედები, ნაკადულთა რაკრაკი და დედის იავნანა, საღამოს უტკბეს ზღაპრებთან ერთად წარუშლელი, ხატოვანი სახეებით აღიბეჭდებიან ჩვენს მეხსიერებაში, რომელსაც შემდეგ დრო და ჟამი ვეღარასოდეს ვეღარ წაშლის.

უპირველესი ბრძენი სოლომონი წერდა: — „რამეთუ ღმერთმან ზრუნვა ბოროტი მოსცა ძეთა კაცთაო“, რაც ადამიანურ ცოდვათა გამო ჩვენს დასჯილებაში გამოიხატება. ბავშვი, განსაკუთრებით ნათელღებული, ამ ტანჯვისაგან სრულიად თავისუფალია, ფრინველის მსგავსად.

ბავშვების გარეშე ჩვენი გარემომცველი სამყარო ცივი და უსიცოცხლო (მოღუშული) მოგვეჩვენებოდა, ისინი ჩვენს სულს აცისკროვნებენ და უხილავი მადლით ავსებენ.

ბავშვი საოცარი შერწყმაა დიდი სიცოცხლისა, რომლის ტრაგედიით ირღვევა სამყაროს ჰარმონია:

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით—მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები
შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა: —
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა...
მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა. (გალაქტიონი)

ბალღობის დღეთა გატირება და ცრემლიანი წმიდა ნატვრაა გამოხატული მარად ჭაბუკად დარჩენილი და სუფთა ბავშვური გულის მქონე ლადო ასათიანის მშვენიერ პოეზიაში.

„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი
. . . . . .
ან შენ სადა ხარ დედილო,
რომ ლექსი გამაბედვინო?
რად არ ჭიხვინებს ვეება
ლაფშა, ლაგამის მკვნეტავი?..
ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!..

ან კიდევ:

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე; —
ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

ბავშვი სიცოცხლის ძლიერების გამომავლინებელია, რამეთუ წმიდაა იგი. ღვთის მადლი და კურთხევა რომ ყველაზე მეტად მასზეა გადმოსული, საღმრთო წერილის მრავალი ადგილი გვიმტკიცებს ამას. ჯერ კიდევ, მაცხოვრის მოსვლამდე ათასზე მეტი წლის წინ, დიდი მეფე და წინასწარმეტყველი, უპირველესი ბრძენის მამა და ფსალმუნთმგალობელი დავითი ღაღადებდა:

„უფალო, უფალო ჩვენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქვეყანასა ზედა, რამეთუ ამაღლდა დიდად შუენიერება შენი ზესკნელს ცათა. პირითა ყრმათა ჩუილთა მწოვართათა დაამტკიცე ქებაი, მტერთა შენთა-თვის, რათამცა დაიხსნა მტერი იგი და შურის-მგებელი. რამეთუ ვიხილნე მე ცანი ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკვლავები, რომელ შენ დააფუძნე. რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისა, რამეთუ მოხედავ მას. დააკლე იგი მცირედ რაიმე ანგელოსთა, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ იგი“. ფსალმუნი დავითისა, 8, 1—5 (მეექვსე მუხლამდე).

ბავშვი ზემგრძნობიერი არსებაა, რომელიც საოცარი, ჩვენგან მიუწვდომელი ალღოთი აღიქვამს ყველაზე დიდ და მართალ სიხარულს. ასე მოხდა მაშინაც, 1946 წლის წინ, იერუსალიმში მაცხოვრის დიდებით შებრძანებისას, ოდეს აღესრულა ეს შორეული წინასწარმეტყველება, წკრიალებდნენ ბავშვები, ღაღადებდნენ ეს სიცოცხლის წმიდა ყვავილები, და მათთან ერთად გამოუთქმელი სიხარულით იძვროდა ცა და ქვეყანა. ღვთივ განბრძნობილი, დიდი და ჭკვიანი მახარებელი მათე ასე აღწერს ამ ისტორიულ მომენტს: „და ვითარცა იხილეს მღდელმთავართა მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნნა სასწაულნი და ყრმები იგი, რომელ ღაღადებდეს ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსანნა ძესა დავითისსა, განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმის, რასა-ესე იტყვიან? ხოლო იესო ჰრქუა მათ: ჰე! არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაითა დაამტკიცე ქებაი? და დაუტევნა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ“ (მათე XXI—15, 16, 17).

ბავშვი სარკეა იდუმალი, რომელშიაც გარე სამყარო აირეკლება სიხარულითა და სიმარტივით, გულუბრყვილობითა და უბრალოებით, ოცნებითა და სინამდვილით, სიბრძნითა და ფანტაზიით, ღვთაებრივი სილამაზითა და უშუალობით. მხოლოდ ის ადამიანია მართალი და საყვარელი წინაშე ღვთისა და კაცთა შორის, ვისაც ბავშვის გული და წრფელი გრძნობა შერჩენია, ვისაც დაუცავს თავი თავისი მადლითა ღვთისათა იმ ბოროტებისაგან, რომელიც ჩვენი ბუნების ამ უპირველეს სათნოებას ებრძვის და სპობს ადამიანში ყველაზე მთავარს (უმთავრესს) — ადამიანობას.

აი, ნათელი დასტური კაცობრიობის მხსნელისა, უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, — იესო ქრისტესი, ოდეს „მოჰუგვრიდეს მას ყრმებსაცა, რაითა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ. ხოლო იესო მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაი არს სასუფეველი ღმრთისაი. ამინ გეტყვი თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთი-

საი ვითარცა ყრმაი, ვერ შევიდეს მას შინა“ (ლუკა XVIII—15, 16, 17).

ღმერთმა ყველა ქმნილების გვირგვინად შექმნა ადამიანი, ოდეს დაბადა იგი „ხატად და მსგავსად თვისა“ და დაადგინა ხილული სამყაროს მშვენიერების მჭვრეტელად, მოქმედად, მოაზროვნედ, რათა შეძლოს შორეულ, მიღმა სივრცეებში წვდომა და უხილავის, მაგრამ რეალურის, ჭეშმარიტად არსებულის დანახვა, შეგრძნება, რწმენა, აღიარება.

ესაა აზრი ჩვენი ამ ქვეყნად მოვლინებისა და საერთოდ, არსებობისა. იგი ღვთის მადლით ენიჭება ბავშვური წმიდა ბუნების მქონე ადამიანს.

ჩვენ გვყავს საოცრებამდე ნიჭიერი პატარები, მომავალი დიდი იმედები მრავალჭირნახული საქართველოსი. მათ სჭირდებათ დიდი სიფრთხილე, ზრუნვა, ალერსი, მშვიდობიანი ცხოვრება, ნათელი მაგალითები და სჭირდებათ ფაქიზად აღზრდა, მზე, სიხარული, ლურჯი, ლურჯი ცა და ბევრი ღიმილი... მათზე ფიქრობს ყველა და ყოველი, ვინც იცის მთავარი აზრი ყოფნისა, აზრი სიცოცხლის სილამაზის მარადი ყვავილობისა.

დაე, ჩვენს ბავშვებს არასოდეს ენახოთ გარდასული, აწ ისტორიის კუთვნილებად ქცეული სიცოცხლის მომსპობი დღეები; დღეები უაზრო ბოროტებისა, დაე ჰფარავდეს მათ აუმღვრეველ მზით სავსე მომავალს (ოცნებას) მეუფე მშვიდობისა და მაცხოვარი სულთა ჩვენთა — მწყემსი კეთილი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, თანა მამით და სულით წმიდითურთ და სიხარულით სავსე იყოს ცა და ქვეყანა, ამინ.

ეს სიხარულის სამყარო

(ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზე)

მათ ნააზრევს და საფიქრალს
სიცოცხლის მზე და ცა ლოცავს...
ბავშვობის დღეებს გახსენებს —
გულუბრყვილოს და საოცარს.

მთები, ტაძრები ჯვრიანი,
მზერა ძიებით გართული,
ოცნება ნაპერწკლიანი
და სული მარად ქართული.

სიცოცხლის გახანგრძლივებად,
გულს რომ დარდები აჰყარო,
ხშირ-ხშირად უნდა იხილო
ეს სიხარულის სამყარო.

ჩემო წმიდა ხატო...

შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო.
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო — მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს.
იმედით ცოცხლობდი — მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა, თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1978 წ.

—⊙—

რაა მთავარი? — იყოს კაცში
გმირული სული
და მოუძებნის იგი პასუხს
ყოველგვარ კითხვას.
არასდროს არის დრო ახალი,
არც გარდასული,
გზაჯვარედინზე თუკი ყოფნა
არ გიყვარს დიდხანს.
მოდი, მოსძებნე ცხოვრებაში
ადგილი შენი,
გამოდი მზეზე, გაბრუების
მავნე ჩეროდან
და დაამშვენე ესე აწმყო
იმგვარად შენით,
ვით მამულს გმირთა ცხოვრება და
ბრძოლა შვენოდა.

—⊙—

შენც დამუნჯდები, მეტყველო თიხავ,
დაგავიწყდება ვინ ან რა იყავ.
და ლტოლვილივით წავა ცისაკენ
სული — უცნაურ გაფრენის განცდა,
რომ იქ ღრუბლების ენით იტიროს
მარადიული სისუსტე კაცთა.

1970 წ.

...ლოცვა შენი

I

შეხე ზეცას: ოქროსფერი
მზე რარიგად შვენის, —
ეს ნიშნავს რომ მართალია
კვლავაც ლოცვა შენი.

II

მოქურუშდა უცაბედად
ცა ღიმილის მჩენი, —
ეს ნიშნავს, რომ ყალბი იყო
ქვეყნად ლოცვა შენი.

1971 წ.

დედა ღვთისმშობლისადმი

დედაო, დედა-წმიდაო,
სულ შენ გაქებდე მინდაო,
ნათელი ღვთისა, მტრედივით
წმიდა მხარს დაგაფრინდაო!..

პავლე ბერიშვილი, სამღვდელო დიაკონი

„ღმერთი, უფალი...“

ეს საგალობელი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია. იგალობება ცისკრის ლოცვისას, ყველა დღესასწაულზე (თუ დღესასწაული არ თანაჰხვდება დიდმარხვას), ყველა პარაკლისზე და ღვთისადმი სავედრებელი ლოცვების აღსრულების დროს.

